მწოდების ბოჭკოში სინათლის გავრცელების დამოკიდებულება გარსის გარდატეხის მაჩვენებელთან აქცევდა შუქსატარის გაშიშვლებულ გულარს მგრძობიარე რეფლექტომეტრად. შეიქმნა ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების ოჯახი, რომელშიც კონტროლირებადი სითხე გამოიყენებოდა შუქსატარის გარე გარსის სახით: ტემპერატურის, ნივთიერების შედგენილობის გასაზომად და აგრეთვე სითხის მოცულობის კონტროლისათვის. გავრცელება პოვა გადამწოდებმა დონის დისკრეტული მაჩვენებლებით. ისინი წარმოადგენდნენ შუქსატართა ნაკრებს გაშიშვლებული გარსებით. თითოეული შუქსატარი აკონტროლებდა გარკვეულ დონეს, იძლეოდა სიგნალს, „არის“ ან „არ არის“. მიუხედავად პრიმიტიულობისა, ასეთი გადამწოდები აღმოჩნდნენ სასარგებლო, ადვილად ფეთქებადია ნივთიერებების დონის განუწყვეტელი კონტროლისათვის, სადაც ელექტრული გადამწოდების გამოყენება თითქმის შეუძლებელი იყო.


მოვლენები, რომლებიც ჩვეულებრივ უარყოფითად მოქმედებს ბოჭკოვან-ოპტიკურ ხაზზე, ხშირად, სასარგებლოა ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდებისათვის. ბოჭკოს ჩაღუნვებს მიყვართ დამატებით სინათლის კარგვებთან, ხოლო შემთხვევით წარმოშობილ ძაბვებს სინათლის ორმაგ გარდატეხასთან, დამატებით ფაზურ ძვრებამდე და საინფორმაციო არხის სიხშირული თვისებების გაუარესებამდე.



ნახ. 8. გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდის ოპტიკური სქემა


1-გამოსაკვლავი ობიექტი; 2,3-ოპტიკური ბოჭკო; 4-სინათლის გამყოფი; 5-სინათლის წყარო; 6-სინათლის მიმღები, 7-ობიექტივი

ოპტიკური ბოჭკოს ერთ-ერთ ნაკლად კავშირგაბმულობაში ითვლება მიკროღუნვები, რომელზეც ხდება შუქის გაბნევა. ისინი შუქსატარში სინათლის კარგვის ძირითადი მიზეზია. მხოლოდ მიკრონული სიგრძის ასეთ ას ჩაღუნვას კავშირგაბმულობის ხაზში შეუძლია შეასუსტოს სინათლე რამდენიმე ათეულჯერ. მიკროღუნვორმაციებზე ასეთი მაღალი მგრძობელობა ეფექტურად გამოიყენება ბოჭკოვან-ოპტიკურ გადამწოდებში, სადაც მიკროღუნვებს წარმოშობენ წინასწარ სპეციალური მოწყობილობების დახმარებით. ეს მოწყობილობები გარდაქმნიან რეგისტრირებულ ფიზიკურ მოვლენებს რელიეფური ფირფიტის მცირე გადახრებად, რომლებიც იწვევენ - ბოჭკოს დეფორმაციას [1]. ფოტომიმლები შუქსატარის გამოსასვლელ ბოლოზე აღრიცხავს სინათლის ნაკადის ყველა ცვლილებას, გამოწვეულს გამიზნული მიკროჩაღუნვებით. ეს პრინციპი გამოყენებულია ობიექტებში დაძაბული დეფორმირებული მდგომარეობის საკონტროლოდ, აკუსტიკური ტალღების გადამწოდებში, მაგნიტური და ელექტრული ველის, ტემპერატურის და აგრეთვე აჩქარების გასაზომად [1,2,4].



ნახ. 9. ამრეკლავი ტიპის გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების ოპტიკური სქემა
 1-გამოსაკვლევი ობიექტი; 2,3,4-ოპტიკური ბოჭკო, 5-სინათლის წყარო, 6,9-სინათლის გამყოფი; 7-ობიექტივი; 8-სარკე

არსებობს შიგა და გარე მოქმედების ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების სამი ტიპი: გამვლელი, ამრეკლავი და ანტენური [1,2,4]. გამვლელი ტიპის გადამწოდებში მიმდევრობითაა ჩართული სინათლის წყარო, ოპტიკური ბოჭკო, მოდულატორი, ისევ ოპტიკური ბოჭკო და მიმღები დეტექტორი. ასეთი მოწყობილობები მზადდება სხვადასხვა კომბინაციებით, მაგრამ ყველგან სინათლის სხივი მიემართება სინათლის წყაროდან მოდულატორის გავლით დეტექტორისაკენ, ე.ი. ოპტიკურ ბოჭკოში გავრცელებისას სინათლე მიმართულებას არ იცვლის. როგორც ამბობენ, ოპტიკური ბოჭკო მუშაობს სხივის ერთმაგ გამარტივებაზე. განსხვავებით ზემოაღნიშნულიდან, ამრეკლავი ტიპის გადამწოდებში სინათლე ოპტიკურ ბოჭკოში, მოდულატორიდან შიგა არეკვლის გამო, უკან ბრუნდება და შემდეგ მიემართება მიმღები-დეტექტორისაკენ. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ოპტიკური ბოჭკო მუშაობს სინათლის სხივის ორმაგ გატარებაზე.




ნახ. 10. ამრეკლავი ტიპის გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების სქემა
 1-მილსადენი; 2-ინდიკატორული ბადე; 3-ოპტიკური ბოჭკო ეტალონური ბადის სახით; 4-სინათლის წყარო; 5,8-ოპტიკური ბოჭკო; 7-ობიექტივების ბლოკი; 9-სინათლის მიმღები

როგორც ქვემოთ დაგრწმუნდებით, თმის კულულის დიამეტრის მქონე ოპტიკურ ბოჭკოში შეიძლება გავავრცელოთ ასობით სინათლის იმპულსი, ტალღების სახით - მოდები (ელექტრო-მაგნიტური ველის დაძაბულობის ტიპი), რაც განაპირობებს მათ უნიკალურობას, სპილენძის მავთულებთან შედარებით. რაც შეეხება ანტენური ტიპის გადამწოდებს, ისინი სინათლის ტალღებს ღებულობენ ან გამოასხივებენ ღია ეთერის მეშვეობით.

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების განხილვისას ძნელი არ არის დავადგინოთ, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნის გადამწოდი (შიგა და გარე მოქმედება) ან რა ტიპის გადამწოდა (გამვლელი, ამრეკლავი, ანტენური).

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შექმნის ისტორია

როგორც ხშირად ხდება, ტექნიკაში ახალი სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების შექმნას ყოველთვის ახლავს საიდუმლოების შენახვის ინტერესი. ასე მოხდა ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შექმნისას. ყველა სამუშაო, რომელიც მიმდინარეობდა სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ლაბორატორიებში გასაიდუმლოებული იყო, მათ შორის საქართველოშიც [1].



ნახ. 11. გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდები

1-მილსადენი; 2-ბოჭკოვან-ოპტიკური ელემენტები; 3,4-ბოჭკოვან-ოპტიკური ელემენტების მიმღები და გამომყვანი ტორეცები; 5-ეტალონური ბადე; 6-ობიექტივი; 7-ზოლოვანი ობიექტივი; 8-რგოლური ფარდა


როგორც ღიდი იაპონელი მეცნიერი, პროფ. ტ. ოკოსი [4] გვ.4,18] აღნიშნავს, ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შექმნის ისტორიაში განსხვავებით „ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირგაბმულობის ხაზების შექმნის ისტორიისაგან, ძნელია დავაფიქსიროთ რაიმე დასაწყისი მომენტი. პირველი პუბლიკაციები საზომი ტექნიკის პროექტებსა და ექსპერიმენტულ სამუშაოებზე, სადაც გამოიყენებოდა ოპტიკური ძაფი, გამოჩნდა 1973 წელს, ხოლო სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მათმა რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა“.

ალბათ, კმაყოფილი იქნებოდა პროფ. ტ. ოკოსი, რომ თავის დროზე ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდებისა და მათი პოტენციური შესაძლებლობათა გამოვლენაზე პირველი გამოკვლევები შესრულდა პროფ. ჯ. ბახტაძის მიერ 1962-1965წლებში [1,2]. როგორც აღვნიშნეთ, ეს ინფორმაცია საიდუმლო იყო, მოგვიანებით, ამერიკაში გამოქვეყნებულ შრომით გახდა ცნობილი [2].

ამჟამად, დამტკიცებულია და აღიარებული, რომ გარე და შიგა მოქმედების გამვლელი და ამრეკლავი ტიპის გადამწოდების კონსტრუქციები პირველად საქართველოში შეიქმნა [1,2,3,5,6,7].

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ქართული სამეცნიერო სკოლის დამსახურება ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შექმნასა და განვითარებაში განსაკუთრებულია და შეგვიძლია


თამამად ვთქვათ, რომ ნობელის პრემიას იმსახურებს. ეს უკანასკნელი მტკიცდება მსოფლიო გამოფენებზე სხვადასხვა დროს დემონსტრირებული ხელსაწყოებით და მიღებული ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, აგრეთვე დიპლომებით, დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებით, გამოქვეყნებული შრომებით, დამუშავებული და განხორციელებული პროექტებით და მიღებული გამოხმაურებებით და დასკვნებით.



ნახ. 12. ოპტიკური ბოჭკოებისაგან შედგენილი გაზომვისა და მართვის გამოთვლითი ლოკალური ქსელი მილსადენისათვის

1-მილსადენის მუხლი; 8-შუქსატარის მიმღები ტორსები; 10-ბოჭკოვან-ოპტიკური ელემენტი; 11-რეგისტრირების ბლოკი

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდები შეიქმნა 1965 წელს ამის დასტურია გამოგონებაზე გაცემული პატენტი [5] და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაცული დისერტაცია [6]. დისერტაციაში მოცემულია, რომ შეიქმნა ახალი საზომი ტექნიკა და ჩატარებული სამეცნიერო კვლევებით ამ დარგში მიღებულია საფუძვლიანი შედეგები.




ნახ. 13. ზესწრაფი ვიდეოგადასაღები სისტემის სქემა

1-მილსადენის ფრაგმენტი; 2-ობიექტივი; 3-ბოჭკოვან-ოპტიკური კოლექტორი; 4-ხელსაწყო მუხტის გადატანით; 5-ანალოგიურ-ციფრული გარდამქმნელი; 6,7,8,9,10-გამოსახულების დამუშავების ბლოკები; 11-სინათლის წყარო; 12-საცემელა

ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების სამრეწველო გამოყენება

ახალი ტიპის გადამწოდების მრეწველობაში ფართოდ გამოყენებას სჭირდება გარკვეული დრო, რათა მოხდეს მათი მანქანათმშენებლის შეგუება გამოყენების რთულ პირობებთან, მომხმარებლის ადაპტაცია, ახალი კონკურენტუნარიანი ხელსაწყოების წარმოების მოწყობა როგორც სათანადო ტექნიკური მანქანათმშენებლებით, ასევე დაბალი ფასით (გამოყენებაში არსებული ხელსაწყოებთან შედარებით).


ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების სამრეწველო გამოყენება ძირითადად დაიწყო 1980 წლის დასაწყისში [1,2,6,7]. ასეთმა გადამწოდებმა, უპირველეს ყოვლისა, გამოყენება პოვა ისეთ სფეროებში, სადაც ტექნიკურ მანქანათმშენებლებს აქვს უფრო დიდ მნიშვნელობა, ვიდრე მის ფასს. განსაკუთრებით ეს გამოიხატება სამხედრო სფეროში, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების მოხმარებაში. მთავარი ყურადღება მიექცა ჰიდროფონების და ჰიროსკოპების გამოკვლევებს და კონსტრუქციებს.



ნახ. 14. შიგა მოქმედების ამრეკლავი ტიპის გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების ოპტიკური სქემა
 1-ობიექტი-მილსადენი; 2,3-ოპტიკური ბოჭკო; 4-სარკე; 5-სინათლის გამყოფი; 6-ლაზერი; 7-სინათლის მიმღები;
 8-ობიექტივი; 9-დეფორმერის დამაგრების წერტილები

დღეს ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდები გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებში: გემებში, საზღვაო და საჟარისო თვითმფრინავებში, მშენებლობაში: ხიდებში, კაშხლებში, კოსმოსურ ობიექტებში [8,9,10,11]. მიღებულია პროგრამები სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, უნივერსიტეტებსა და სამრეწველო ფირმებში მათი დაჩქარებული განვითარებისათვის, სამუშაოების კოორდინაციისათვის და ფინანსური მხარდაჭერისათვის მრეწველების და მთავრობებისაგან [12].


აშშ-ში სამუშაოები ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შესაქმნელად და გამოსაყენებლად მიმდინარეობს ყველა შესაძლო პოტენციური მიმართულებით. ამისათვის მუშავდება თეორიული ბაზა, მაგრამ ყველა სამუშაო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონცენტრირებულ იქნა მათი სამხედრო მიზნით გამოსაყენებლად. მაგალითად, ჰიდროფონების, ჰიროსკოპების, დონისა და ტემპერატურის, აგრეთვე საავიაციო და კოსმოსური ობიექტების განათებისათვის. ამჟამად, შეინიშნება ტენდენციები მათ გამოსაყენებლად სხვა სფეროებშიც [8,9].



ნახ. 15. დეფორმირების კონსტრუქციები
 1-გასაჭიმი ჯაჭვი; 2-ოპტიკური ბოჭკო; 3-საფენი

დიდ ბრიტანეთში ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა სამრეწველო გადამწოდებასა და სიგნალიზატორებზე (გადაადგილების, წნევის, ხარჯის, გაზის აღმომჩენი, განსაკუთრებით ტოქსიკური და ფეთქებადსაშიშ კერებში გამოსაყენებლად) მულტიპლექსილურ სისტემებზე და მათ ელემენტებზე, გამოსხივების სტაბილიზატორებზე და სინშირის მოდულატორებზე, უინსტონის ხიდის ოპტიკურ ანალოგზე, ბოჭკოვან-ოპტიკურ შემკავებელ ხაზზე, ფაბრი-პეროს ინტერფერომეტრზე, კონსტრუქციებში ბზარების დასადგენ მოწყობილობებზე და ა.შ.


ფვრ - მიმდინარეობს სამუშაოები ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების შესაქმნელად, ასევე ყველა შესაძლო მიმართულებით, განსაკუთრებით, ნეიტრალურ კავშირგაბმულობის ხაზებში გამოსაყენებლად.



ნახ. 16. შიგა მოქმედების გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების სქემა
 1-ლაზერი; 2-სინათლის გამყოფი; 3-ოპტიკური ბოჭკოები; 4-დეფორმერი; 5-გამოსაკვლევი ობიექტი-მილსადენი, 6-ობიექტივი; 7-სარკე; 8-პოლარიზატორი; 9-დეტექტორი

იაპონიაში გადამწოდების შექმნისას დიდ ყურადღება დაეთმო კონტროლის ჰიბრიდულ სისტემებს საწარმოო პროცესების მართვისათვის და ინტეგრალურ-ოპტოელექტრონული სქემების შექმნას სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მიზნით [4].

საქართველოში მუშავდება ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდებით დიაგნოსტიკური ცენტრების მოწყობის პრობლემური საკითხები კონსტრუქციების სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისათვის. დამუშავებულია ევრ-აზიის სატრანსპორტო დერეფნის, ენერგოსისტემის უსაფრთხოების პროექტები [11]. ეს სამუშაოები შესულია დმთ-ს ქვეყნების მიერ მიღებულ პროგრამაში „უსაფრთხოება“ [12].




ნახ. 17. შიგა მოქმედების ამრეკლავი ტიპის გაბმითი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების სქემა.

- 1-საკვლევი ობიექტი-მილსადენი; 2-შუქსატარი ლაბირინთული სპირალის სახით; 3-ლაზერი; 4,5,6-შუქსატარები; 7-განმზღოებელი; 8-ოპტიკური გადამწოდი, 9-ფოტომიმღები; 10-პროცესორი; 11-მონიტორი; 12,12,14,15,16,17,18,19,20-დამხმარე მოწყობილობა


დღეისათვის მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების ხარისხის ასამაღლებლად, გამომაგალი სიგნალის სტაბილურობისათვის, ბოჭკოვან-ოპტიკური ელემენტების ფასების შესამცირებლად. მომზადდა სტანდარტული ბოჭკოვან-ოპტიკური კომპონენტები. მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი ხარისხი და მოიკლო ფასებმა.

მსოფლიოს უძლიერესმა ფირმებმა დაამუშავეს ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდების მთელი ოჯახი: ტემპერატურის, კვამლიანობის, გადაადგილების, მგრეხავი მომენტის, სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისათვის და სხვა ფიზიკური სიდიდეების გასაზომად.

მნიშვნელოვანი საკვლევი და საშემსრულებლო სამუშაოების მოცულობა შესრულდა აკადემიურ ინსტიტუტებში, სამედიცინო-კვლევით ლაბორატორიებში, აგრეთვე მრეწვლობაში. დამუშავებისას გამოყენებული იყო მოდულაციის ყველა ხუთივე სახე: ინტენსივობის, ტალღის სიგრძის, ფაზის, პოლარიზაციის და დროის.



ნახ. 18. მოწყობილობა მაგისტრალური მილსადენის სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისათვის
 1-მაგისტრალური მილსადენი; 2,3-ოპტიკური ბოჭკო ზიგზაგისებრი და რადიალური დამაგრებები; 4,5,6,7-
 ოპტიკური ბოჭკოს ტორეცები



ნახ. 19. დიაგნოსტიკის ცენტრის პრინციპული სქემა მაგისტრალური მილსადენების სტრუქტურული მთლიანობის
 მონიტორინგისათვის

1-მაგისტრალური მილსადენი; 2-ოპტიკური ბოჭკოს ტორეცები; 3-ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი;
 4,5,6,7,8,9,10,11,12-ინფორმაციის დამუშავების ბლოკები

ინტენსივობის მოდულაცია ფართოდ გამოიყენება სამრეწველო სიგნალიზატორებში, გადა-
მრთველებსა და ზოგიერთ დისკრეტულ გადამწოდებში: ტურბინებში ხარჯის მზომებად, ბოჭ-
კოვან-ობტიკური ტაქომეტრებად, მიკროგადამრთველებად, კონსტრუქციებში დაზიანების საკონ-
ტროლო გადამწოდებად; მაგრამ ინტენსივობის მოდულაცია ბოჭკოვან-ობტიკური გადამწოდების
გამომავალი ანალოგიური სიგნალით ვერ უზრუნველყოფს სათანადო სიზუსტეს საკომპენსაციო
და შედარებითი მეთოდების გამოყენების გარეშე.

აქტიურად მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები ბოჭკოვან-ობტიკური გადამწოდების შე-
საქმნელად, აგრეთვე მოდულაციის სხვა ხერხების გამოყენებით. ამჟამად, აშშ-ში, იაპონიაში,
დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს
ინტენსიური მუშაობა.

დასკვნა

1. დამუშავებულია გაბმითი ბოჭკოვან-ობტიკური გადამწოდის ე.წ. ბრტყელი ლაბირინთუ-
ლი ფორმის სახით გამოყენების მეთოდოლოგია.
2. დამუშავებულია გაბმითი ბოჭკოვან-ობტიკური გადამწოდის ე.წ. სივრცითი ტეხილი
ლაბირინთის ფორმის სახით გამოყენების მეთოდოლოგია.
3. დამუშავებულია გაბმითი ბოჭკოვან-ობტიკური გადამწოდის ე.წ. ბრტყელი და სივრცე-
თი ფორმის სახით გამოყენების მეთოდოლოგია დეფორმირების ჩათვლით.

ლიტერატურა

1. Бахтадзе Д.А. Волоконная оптика при исследовании деформации. Сакартველო,
1990, с. 213. Для служебного пользования.
2. J. Bachtadze Fibber- Optical controllers for diagnostics of damages. JSFOC 92
Proceeding boston, Massachusetts, USA, 1992, n.6.
3. ჯ. ბახტაძე. სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი და სასამართლო ექსპერტიზა.
თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 160.
4. Оокоси Т., Окомото К., Оцу М., Насихара Х., Кюма К., Хатате К. Волоконно-опти-
ческие датчики. Пер. с японского. Л.: Энергоатомиздат, 1990.- 256 с.
5. А.с. 189208 СССР, МПК G01n. Устройство для измерения ударных деформаций
полых эластичных изделий. Опубл. 07.11.1966. Приоритет 01.10.1965 (заявка
№10323443/23-5).
6. Бахтадзе Д.А. Исследование эластичных рабочих органов чаесборочных аппаратов
с применением световодов. Автореф. дисс. на соиск. учен. степени к.т.н. Тбилиси,
1966.- 28 с.
7. Бахтадзе Д.А. Динамические деформационные процессы в рабочих органах машин
и пути их оптимизации с применением волоконно-оптических элементов. Автореф.

- дисс. на соиск. учен. степени д. т. н.. Ленинград, 1986.- 35 с.
8. Peter L Fuhr Fider. Optikal Sensors in Smat Civil Structures. University of Vermont, 1995.
 9. By Joseph Friebele. Fiber Bragg Grating Strain Sensors. Optics Photonics news/August, 1998.
 10. Vu Lung Lo. Using in-fiber Bragg-grating sensors for measuring axial strain and temperature Simultaneously on surfaces of structures. National ChengKung University. Taiwan. 1998.
 11. Разработка методов функционирования волоконно-оптических датчиков с целью создания центров диагностики повреждений конструкций вычислительными локальными сетями измерения на оптических волокнах. МНТЦ (международный научно-технический центр) предложение по проекту. Проект пред. ГТУ. 1996. №201.
 12. Международная программа совместных научных исследований организации государств-участников содружеств в области чрезвычайных ситуаций природного и техногенного характера на период до 2003 года. Москва, 2000. Раздел II, пункт 2.5, с. 24.

ბეჩასინის მეტამორფული კომპლექსის გლაუკოფანიანი ვიქლები

Key words: sodium amphibole, paragonite, garnet, glaucophane, x-ray spectral, heterogenous chemical composition.

Abstract: **Glaucophane Rocks of the Bechasin Complex.**

On the basis of long-term mineralogical-petrological investigations of metamorphites of the Khasaut and Chegem Series of the Bechasin complex has been established, that metamorphites of the complex were metamorphosed in higher pressure conditions of green schist facies. Zonality of marking minerals of the subfacies points to prograde character of metamorphism. The Bechasin complex amphiboles are characterized by high content of Na_2O which is conditioned by temperature increase when regional metamorphism occurs. Attendance of phengite, paragonite, albite, chlorite, epidote, garnet in Na amphibole parageneses testifies to regional metamorphose of high baric type. It is determined that mineral formation takes place both by reactional substitution and steadyphase transformation when regional metamorphism occurs. Minerals of glaucophane group are developed in the suits of Khasaut and Chegem series in the basin of the Kuban river and its tributaries as well as in the basin of the Baksan river and its tributaries.

შესავალი



ს. გველესიანი

ჩრდილო კავკასიის კიდურა მასივის ალპიურის-წინა ფუნდამენტის მეტამორფიტები წარმოდგენილია ბეჩასინის კომპლექსით. ბეჩასინის მეტამორფული კომპლექსი გაშიშვლებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მდ. ყუბანისა და ჩეგემის შუამდინარეთში, ხოლო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ – მთა იალბუზის ჩრდ. მისადგომებიდან მდ. ხასაუთის განედამდე. კომპლექსი იყოფა ორ სერიად – ქვედა ხასაუთის და ზედა ჩეგემის [3]. ხასაუთის სერიის შემადგენლობაში გამოყოფილია მუშტას, მალკის, შიჯატმაზის (მალკის ჭრილი), ჯალანკოლის, ინდიშის, ტაშლიკოლის, ტუბალიკულაკის, მორალიკოლის (ყუბანის ჭრილი) წყებები; ჩეგემის სერიაში – ტალიკოლის, შაუკოლის და კესტანტის წყებები [3].

გლაუკოფანის ჯგუფის მინერალები ბეჩასინის მეტამორფულ კომპლექსში პირველად დაფიქსირდა გ. ბარანოვის მიერ [1]. იგი ამ მინერალების ლოკალურ გავრცელებას აღნიშნავს შაუკოლის ტექტონიკური ზეწრის საგებში და უკავშირებს შარიაჟული მოვლენებით განვითარებულ სტრესულ წნევას. ჩვენ მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების და დეტალური ლაბორატორიული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ნატრიუმიანი ამფიბოლების (მათ შორის გლაუკოფანიც) შემცველი ქანები გვხვდება ხასაუთისა და ჩეგემის სერიების მეტამორფიტების თითქმის ყველა გამოსავალში. მინერალურ პარაგენეზისებში ჟადეიტ-კვარცი და ლავსონიტის არარსებობა მიუთითებს, რომ ბეჩასინის მეტამორფული კომპლექსი მიეკუთვნება მაღალტემპერატურულ არატიპურ გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესს.




ნ. ფოფორაძე,
საინჟინრო აკადემიის
წევრ-კორესპ., გეოლ.
მინ. მეცნ. დოქტ.

ძირითადი ნაწილი

ბენასინის კომპლექსის ქანები გარდაქმნილია მეტამორფიზმის მწვანე ფიქლების ფაციესის ამალღებული წნევის პირობებში, კარტირებულია მწვანე ფიქლების სამივე სუბფაციესი: ბიოტიტურისწინა, ბიოტიტურის და გრანატულის [4].

სუბფაციესის მმარკირებელი მინერალების – თეთრი კალიუმიანი ქარსების, ამფიბოლებისა და გრანატების ქიმიური შედგენილობის და მათი გარდაქმნების მიკროსკოპული და ანალიზური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეს მინერალები უმეტეს შემთხვევაში ზონალური აგებულებით ხასიათდება. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ ჩვეგემისა და ხასაუთის სერიის მეტამორფიტებს ძირითადად განცდილი აქვთ პროგრადული რეგიონული მეტამორფიზმი.

აღნიშნული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბენასინის კომპლექსის სამივე სუბფაციესის მეტამორფიტების პარაგენეტური ასოციაციის ამფიბოლებისათვის დამახასიათებელია ნატრიუმის ამალღებული შემცველობა, რაც გაპირობებულია მეტამორფიზმის ინტენსივობით. ბიოტიტურისწინა სუბფაციესის მინერალურ პარაგენეზისში მონაწილე ამფიბოლი წარმოდგენილია აქტინოლითის (ნახ. 1) მინერალებით, რომლებშიც Na_2O -ს შემცველობა 2.5%-ს აღწევს. ბიოტიტურ სუბფაციესში ამფიბოლი წარმოდგენილია კალციუმიანი (აქტინოლითი, ფეროედენიტი) და კალციუმიან-ნატრიუმიანი (ბარუაზიტი, ვინჩიტი) სახესხვაობებით, რომლებშიც (ცხრილი 1) Al_2O_3 შემცველობა მერყეობს 1.75-8.27% ფარგლებში, CaO -ს შემცველობა დაბალია და 5.63%-მდეა, ხოლო Na_2O ამალღებულია - 4.58%-მდე; აქტინოლითებში რკინიანობა მერყეობს 37-45%-მდე, ფეროედენიტებსა და ვინჩიტებში – 46-49%-მდე, ქლორიტებში – 38-45%-მდე, მათთან ასოციაციაშია თითქმის სუფთა ფენგიტი (Phn 98 Par 2). ბიოტიტურ სუბფაციესში, ფეროედენიტისა და ვინჩიტის არსებობა მიგვანიშნებს მაღალი წნევის პირობებზე. ვინჩიტი, ძირითად, ამფიბოლის პორფირობლასტების პერიფერიულ ნაწილშია განვითარებული. ამფიბოლები არაერთგვაროვანი შედგენილობისაა, მათში ჩანს სუსტი პროგრესული ზონალობა: ცენტრიდან პერიფერიისაკენ მატულობს Na, Al, Fe -ის შემცველობა და კლებულობს Mg, Ca -ის შემცველობა [2].




ნახ. 1. ქლორიტ-აქტინოლითიანი ფიქალი. გადიდება 27X

ბიოტიტურ სუბფაციესში თეთრი კალიუმიანი ქარსები, ძირითადად, წარმოდგენილია სუფთა ფენგიტით, მცირე რაოდენობის მუსკოვიტის მოლექკულით, დამორჩილებული რაოდენობით გვხვდება პარაგენიტის გამონაყოფები. ისინი განლაგებულია ფენგიტის დასტებს შორის.

ბენასინის კომპლექსის გრანატული სუბფაციის მეტამორფიზმის მინერალური პარაგენეზისებია: Glim (Ms, Phn, Par)+Chl+Grt+Amf(Ca-amp, Na-amp)+Ep(Zs)+Ab+Qtz, Amp+Chl+Bt+Ab+Qtz, Glim+Chl+Grt+Ab+Qtz, Chl+Glim+Amp+Ab+Qtz, Chl+Glim+Amp+Ab+Qtz, Grt+Glim+Chl+Ep+Ka+Ab+Qtz, Chl ± Bt+Ms+Qtz, Chl+Phn+Qtz, Phn+Ab+Qtz, Amp+Ep+Chl+Ab+Qtz.


ლეიკოკრატულ ფიქლებში განვითარებულია თეთრი კალიუმის ქარსები, კვარცი და ნატრიუმის ამფიბოლი (ერთეული მარცვლები). ქარსები განსხვავებული შედგენილობისაა და მიეკუთვნება ფენგიტს, ტიპურ მუსკოვიტს და პარაგონიტს. ალბიტი დიდი ზომის პორფირობლასტებს წარმოქმნის, რომელშიც გვხვდება კვარცის, ქარსების და ქლორიტის მრავალი ჩანართი. გრანატი ზონალურია, გვხვდება როგორც მცირე ზომის, ასევე დიდი ზომის პორფირობლასტების სახით. ნატრიუმის ამფიბოლი ასევე დამორჩილებული გავრცელებით სარგებლობს და სხვადასხვა ფორმისა და ზომის მარცვლების სახით წარმოდგენილია ვინჩიტით, კროსიტით და გლაუკოფანით. ჩვენი დაკვირვებით, პარაგონიტში განვითარებული გლაუკოფანი წარმოადგენს მყარი ხსნარის დაშლის პროდუქტს. იგი ასევე ჩნდება ქლორიტის და ეპიდოტის ხარჯზე რეაქციული ჩანაცვლების შედეგად.



ნახ. 2. გრანატ-მუსკოვიტ-ეპიდოტ-ქლორიტ-ამფიბოლ-ალბიტ-კვარციანი ფიქლები. ქლორიტის ჩანაცვლება გლაუკოფანით. გადიდება 27X

მელანოკრატული, მცირე ზომის პორფირობლასტებიანი ფიქლები შედგება ეპიდოტის (ზოგჯერ ცოიზიტის ჯგუფის მინერალების), ქლორიტის, ალბიტის და Na-Ca და Na ამფიბოლებისაგან. ეპიდოტის ჯგუფის მინერალები სხვადასხვა ზომის და ფორმის მარცვლებით არის წარმოდგენილი. ქლორიტი განვითარებულია განსხვავებული ფორმის და ზომის ფირფიტების სახით.

ქლორიტში ნატრიუმის ამფიბოლების (ნახ. 2) გაჩენა გამოწვეულია ქანში სილიციუმისა და ნატრიუმის ამაღლებული შემცველობით, ალუმინის, რკინის და მაგნიუმის სიმცირით, ასევე კალციუმის რამდენადმე ამაღლებული შემცველობით. რეაქციული პროცესის შედეგად გაჩენილი პროდუქტები ყოველთვის არაკანონზომიერი ფორმით ხასიათდება.



ნახ. 3. გრანატ-ეპიდოტ-ალბიტ-ქლორიტ-გლაუკოფან-კვარციანი ფიქლები. გლაუკოფანის ჩანართები ალბიტში. გადიდება 27X

ამფიბოლები წარმოდგენილია კალციუმიანი და ნატრიუმიანი სახეობებით. მიკროზონდური ანალიზის შედეგებით დგინდება მათ შორის რეაქციული გადასვლები. ასევე ვაფიქსირებთ ამფიბოლების მყარი ხსნარის დაშლას: Ca ამფიბოლი → Na ამფიბოლი. ეს უკანასკნელი შედარებით წესიერი ფორმის მიკროკრისტალებით არის წარმოდგენილი. ქიმიური შედგენილობის მიხედვით Na ამფიბოლის მრავალი სახესხვაობა გამოყოფილი. ამფიბოლი წარმოდგენილია კალციუმიანი (ფეროედენიტი, ფეროედენიტიანი რქატყუარა), კალციუმ-ნატრიუმიანი (ბარუაზიტი, ფერობარუაზიტი, კატოფორიტი) და ნატრიუმიანი (გლაუკოფანი, ეკერმანიტი, კროსიტი) სახესხვაობებით. ამფიბოლების მიკროკრისტალთა უმრავლესობა ჰეტეროგენულია. კრისტალის ცენტრში რკინის შემცველობა 73%-ია, Al_2O_3 -ის შემცველობა 7.44-დან 11.04%-მდე ცვალებადობს, Na_2O – 1.27-დან 10.22%-მდე, აქვე, ხშირ შემთხვევაში, სუფთა პარაგონიტი ასოციაციაში. ასევე თეთრ კალიუმიან ქარსში გვხვდება ნატრიუმიანი ამფიბოლების კანონზომიერი წავრძელებული წვრილკრისტალური გამონაყოფები.

ნატრიუმიანი ამფიბოლი (გლაუკოფანი, კროსიტი, ეკერმანიტი) (ნახ. 3) გვხვდება ალბიტისა და გრანატის პორფირობლასტებიან მუსკოვიტ-ქლორიტ-კვარციან ფიქლებში. იგი გავრცელებულია მთელ ჩეგემის სერიაში.


ნატრიუმიან ამფიბოლებს ბაქსანის ხეობაში, როგორც აღვნიშნეთ, ახასიათებს არაერთგვაროვანი შედგენილობა. კრისტალებში გლაუკოფანის ფაზები ზოგჯერ კრისტალის ცენტრშია განვითარებული, პერიფერია კი წარმოდგენილია კალციუმიანი ამფიბოლით (ფეროედენიტი, ფეროედენიტიანი რქატყუარა). ნატრიუმიანი, კალციუმ-ნატრიუმიანი და კალციუმიანი ამფიბოლების თანაარსებობა შეიძლება აიხსნას თანაარსებული გაწონასწორებული ფაზების რეაქციული ჩანაცვლებით ან მყარი ხსნარის დაშლით.

ნატრიუმიან ამფიბოლებში (გლაუკოფანი, კროსიტი, ეკერმანიტი) აღინიშნება ქიმიური შედგენილობის უწყვეტი გადასვლა, სადაც ვლინდება იზოვალენტური და ჰეტეროვალენტური იზომორფული ჩანაცვლებები. ეს უკანასკნელი განაპირობებს სახესხვაობების უწყვეტი რიგების არსებობას.

ამფიბოლების ზოგიერთ კრისტალში ადგილი აქვს მყარი ხსნარის ფაზებად დაშლას: კროსიტ-აქტინოლითურ რქატყუარიან და გლაუკოფან-აქტინოლითიან ფაზებად და სხვ.

ქლორიტი კრისტალურ ფიქლებში ყველაზე უფრო გავრცელებული მინერალია, მისი რკინიანობა 41-49%-ია.

თეთრი კალიუმიანი ქარსი წარმოდგენილია ფენგიტით და თითქმის სუფთა პარაგონიტით. კროსიტთან წონასწორებაში მყოფი თეთრკალიუმიანი ქარსში ფენგიტის მოლეკულის მაღალი შემცველობა მეტყველებს მეტამორფული პროცესის მაღალ წნევაზე.



ნახ. 4. მყარი ხსნარის პროდუქტები ქარსში. გადიდება 27^X

პარაგონიტში ტკეჩადობის სიბრტყის გასწვრივ განვითარებული ნატრიუმიანი ამფიბოლის წაგრძელებული კანონზომიერი გეომეტრიული ფორმის მიკროკრისტალების გამონაყოფები მყარი ხსნარის დაშლის პროდუქტებად მიგვაჩნია (ნახ. 4).


გრანატი ყოველთვის ზონალურია. ზონალობა პროგრადულია – გრანატის ცენტრში ჭარბობს სპესარტინისა და ალმანდინის მოლეკულები, პერიფერიულ ნაწილში – მაგნიუმის შემცველობა მაღალია (MgO 0.14-1.34%, პიროპული მინალი 1-6%). გრანატში კალციუმის შემცველობა მაღალია (CaO 7.01-13.21%, გროსულარის მინალი 20-34%), რაც მეტამორფიზმის მაღალი წნევის პირობებზე მიგვანიშნებს. გრანატების რკინიანობა მერყეობს 91-94% ფარგლებში.

ბიოტიტი მცირე გავრცელებით სარეგბლობს. იგი ხშირად ჩანაცვლებულია თეთრი კალიუმიანი ქარსით, გვხვდება ფეროედენიტთან, ქლორიტთან, გრანატთან და ალბიტთან ასოციაციაში.

ბენასინის კომპლექსის მეტამორფიტებში ნატრიუმიანი ამფიბოლის, ფენგიტის, პარაგონიტის, გრანატის არსებობა მიუთითებს, რომ შაუკოლის წყების მეტამორფიტები ჩამოყალიბებულია მაღალი წნევის პირობებში.

მიგვაჩნია, რომ ნატრიუმიანი ამფიბოლების წარმოქმნა გამოწვეულია როგორც ქლორიტების, ეპიდოტების (ნახ. 5) და ამფიბოლების რეაქციული ჩანაცვლებით, ასევე მყარფაზური გარდაქმნებით (ნახ. 6). ამ შეხედულებებს ადასტურებს ქლორიტის კრისტალში განვითარებული რეაქციული ჩანაცვლება ქლორიტისა კროსიტით, მათ შორის გადასვლა თანდათანობითა, საზღვარი არ შეიმჩნევა და გადასვლა არასწორხაზოვანია. სხვა შემთხვევაში, ქარსებში (პარაგონიტი) სოლისებრი ფორმის ნატრიუმიანი ამფიბოლის არსებობა მიუთითებს მყარი ხსნარის დაშლის პროცესზე. პარაგონიტის ელემენტარულ უჯრედში თავისუფლად თავსდება ნატრიუმიანი ამფიბოლი. ნატრიუმიანი ამფიბოლის გაჩენას ხელს უწყობს ალუმინის და კალიუმის სიმცირე, რკინის, მაგნიუმის და კალციუმის მაღალი შემცველობა, ასევე ორივეში გვაქვს ჰიდროქსილის ჯგუფი.



მყარი ხსნარის დაშლის პროდუქტებს, ჩვენ შემთხვევაში, აქვს, მკაცრად დაცული საზღვრით, კარგად გამოხატული კრისტალური ფორმები. ნატრიუმიანი ამფიბოლი წაგრძელებულია c კრისტალოგრაფიული ღერძის გასწვრივ და მოთავსებულია ქარსების სტრუქტურაში. მათი კრისტალოგრაფიული ღერძების თანხვედრა ასეთია: გლაუკოფანის a ღერძი ემთხვევა პარაგონიტის c ღერძს, მათი სიდიდეების 1:2 დამოკიდებულებით, ხოლო b ღერძები – ერთმანეთს. მათ შორის გარდაქმნები ჰეტეროგენული ხასიათისაა და, ხშირ შემთხვევაში, შერეულ სტრუქტურებსაც წარმოქმნიან.



ნახ. 5. გლაუკოფანის ჩამოყალიბება ეპილოტის ხარჯზე. გადიდება 27X

ორგანოზომილებიანი ანუ შრეებრივი სტრუქტურის სილიკატების გარდაქმნა ერთგანზომილებიან ორრიგა სტრუქტურად ხორციელდება სილიციუმთანგაბადოვანი ტეტრაედრების წანაცვლებით c ღერძის მიმართულებით ისე, რომ შრეების ნაცვლად ბაფთები წარმოიქმნება.

ქლორიტ-გრანატ-ამფიბოლ-ქარსიანი ფიქლებისათვის დამახასიათებელი ფაზური გარდაქმნები – აქტინოლითი→კროსიტი, პარაგონიტი→კროსიტი (გლაუკოფანი) მიმდინარეობს მუდმივი მოცულობის პირობებში. მათ შორის – ორი ფაზის გამყოფ ზედაპირზე არ ჩანს შეუსაბამობის დისლოკაციები ან სხვა ტიპის დაძაბულობები. საზღვარი კოჰერენტულია: მატრიცულ ფაზაში მიმდინარეობს კათიონებს შორის დიფუზური გაცვლითი იზომორფული ჩანაცვლებები. პარაგონიტში გლაუკოფანის მყარი ხსნარის პროდუქტი წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს ალუმინის ნაკლებობა და რკინის, მაგნიუმის და კალციუმის სიჭარბე. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება ნატრიუმიანი ამფიბოლი.



ნახ. 6. ნატრიუმიანი ამფიბოლების გამოწყოფები თეთრ კალიუმთან ქარსში, გადიდება 27X

მეცნიერება

ბელორუსია

SCIENCE

ცხრილი 1

ბენასინის მეტამორფული კომპლექსის მინერალების ქიმიური შედგენილობა

ნომ. №	მინერალი	განს. წერტილი	SiO ₂	TiO ₂	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃ +FeO	MnO	MgO	CaO	Na ₂ O	K ₂ O	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
178-ბ	ამფიბოლი	27	48.02	0.18	10.55	16.22	0.29	10.14	5.07	9.07	-	99.64
	ამფიბოლი	28	48.46	0.17	10.50	16.30	0.20	10.43	5.09	7.04	0.29	98.48
	ამფიბოლი	29	48.07	0.19	10.07	17.08	0.24	10.14	5.08	7.08	0.25	98.2
	პარაგონიტი	34	50.27	0.16	28.09	4.50	-	2.64	0.01	7.09	0.21	92.97
	გრანატი	35	38.09	0.05	20.06	25.01	8.54	1.20	7.01	-	-	99.96
	გრანატი	36	35.50	0.05	20.22	26.47	6.06	1.35	7.18	-	-	99.83
	გრანატი	37	38.09	0.03	19.77	28.79	3.33	1.50	8.20	-	-	99.71
	გრანატი	38	38.11	0.03	18.84	30.03	3.20	1.19	8.18	-	-	99.58
	ქლორიტი	39	26.24	0.02	19.88	24.47	0.32	18.00	0.05	-	0.01	88.98
	ამფიბოლი	40	54.55	0.02	8.09	16.24	0.15	9.43	1.06	10.22	0.09	99.85
	მუსკოვიტი	41	51.09	0.19	27.02	4.61	-	2.80	0.01	0.66	9.82	96.2
ამფიბოლი	42	55.49	0.02	9.09	14.41	0.07	10.09	0.41	9.06	0.02	98.66	
ამფიბოლი	43	55.05	0.03	5.57	16.03	0.12	9.40	1.54	8.47	0.04	99.25	
180-ბ	ალბიტი	23	68.91	-	19.87	0.10	-	0.01	0.09	10.64	0.03	99.65
	მუსკოვიტი	24	48.67	0.14	24.33	4.80	-	2.37	-	0.31	7.30	87.92
	მუსკოვიტი	25	49.26	0.13	24.93	4.79	0.04	2.19	-	0.36	7.27	88.97
	ქლორიტი	26	25.19	-	17.72	23.85	0.42	15.70	0.04	0.02	0.01	82.95
	ალბიტი	27	67.92	-	18.63	0.05	-	0.05	0.17	10.31	0.01	97.14
	ქლორიტი	28	26.19	0.04	18.27	24.82	0.38	15.11	0.05	-	-	84.86
	ქლორიტი	29	27.26	0.3	18.85	25.53	0.23	15.78	-	0.02	-	86.70
	ამფიბოლი	30	49.41	0.10	10.79	17.80	0.16	9.47	6.15	4.46	0.17	98.51
	ამფიბოლი	31	48.27	0.12	10.26	18.08	0.19	8.43	5.57	4.28	0.23	95.43
	ამფიბოლი	32	48.04	0.11	10.75	17.96	0.34	8.79	5.89	4.44	0.18	96.50
	ეპიდოტი	33	38.59	-	21.28	12.98	0.40	-	22.92	0.07	0.01	96.25
ქლორიტი	37	27.14	0.03	18.74	24.18	0.32	16.72	0.02	-	0.03	87.18	
ეპიდოტი	38	36.09	0.04	20.39	13.01	0.58	-	23.37	0.05	0.01	93.54	
ქლორიტი	19	28.74	0.04	20.66	26.09	0.44	18.10	-	-	0.09	94.10	
180-ბ	ალბიტი	20	70.02	-	19.10	0.10	0.04	-	0.11	10.31	-	99.68
	ამფიბოლი	21	46.40	0.13	8.87	18.53	0.42	9.53	6.14	4.43	0.21	94.66
	ალბიტი	22	68.85	0.01	18.76	0.19	0.02	0.09	0.06	10.24	0.20	98.42
	ქლორიტი	23	30.37	0.01	17.67	24.53	0.65	19.23	0.08	-	-	92.00
	ამფიბოლი	24	55.80	0.04	8.73	17.04	0.26	9.66	2.03	6.00	0.32	99.88
	ამფიბოლი	25	46.05	0.18	11.07	21.06	0.40	10.36	4.62	4.20	0.13	98.07
	ქლორიტი	27	28.37	0.01	20.10	25.94	0.37	17.42	0.11	4.20	-	96.52
	ეპიდოტი	28	38.46	0.01	22.78	13.13	0.40	-	24.35	-	0.04	99.17
	ალბიტი	31	70.86	-	18.64	0.51	0.10	-	0.09	9.27	0.34	99.84
	ალბიტი	32	70.39	-	18.38	0.17	-	-	0.17	9.68	7	98.83
	ამფიბოლი	34	48.41	0.17	10.401	19.06	0.24	9.75	5.92	5.48	0.04	99.77
	ალბიტი	35	71.02	-	8.92	0.04	-	0.02	0.03	9.64	0.34	99.74
	ალბიტი	36	70.47	-	18.84	0.01	-	0.03	0.09	8.93	0.07	98.45
	ქლორიტი	37	28.39	0.03	20.74	26.59	0.49	18.28	-	0.07	0.08	94.59
ამფიბოლი	40	47.43	0.12	9.87	19.18	0.38	9.48	6.68	4.67	-	98.09	
ამფიბოლი	41	49.02	0.12	10.74	18.77	0.33	10.06	5.51	4.65	0.24	99.40	
266-ბ	გრანატი	1	38.34	0.10	20.02	24.25	8.07	0.25	8.59	-	-	99.62
	გრანატი	2	38.22	0.08	20.82	24.42	7.56	0.25	8.29	0.20	-	99.84
	გრანატი	3	38.59	0.08	20.09	24.61	8.05	0.14	8.23	0.10	-	99.89
	გრანატი	4	35.56	0.08	20.53	25.63	7.12	0.29	8.18	0.20	-	97.59
	გრანატი	5	37.04	0.06	20.08	27.00	6.80	0.28	8.15	-	-	99.41
	გრანატი	6	38.63	0.09	20.03	27.42	6.05	0.16	8.12	-	-	99.50
	გრანატი	7	38.39	0.10	20.08	29.06	4.21	0.49	7.57	-	-	99.90
	ალბიტი	8	66.73	-	18.54	0.48	-	0.03	0.09	12.16	0.04	98.07
	ამფიბოლი	9	43.15	0.26	14.05	25.71	0.05	5.18	7.59	2.53	0.89	99.41
	ამფიბოლი	10	45.06	0.18	12.02	25.56	0.10	5.58	6.80	3.34	0.57	99.21

მეცნიერება

ბელორუსია

SCIENCE

ნომ. №	მინერალი	განს. წერტილი	SiO ₂	TiO ₂	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃ +FeO	MnO	MgO	CaO	Na ₂ O	K ₂ O	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
266-ბ	ბიოტიტი	11	37.06	0.78	15.64	29.41	0.12	7.07	0.04	0.39	8.43	98.94
	მუსკოვიტი	12	49.88	0.24	26.76	6.90	0.04	0.32	0.01	0.14	9.07	94.76
	ამფიბოლი	13	45.05	0.16	12.56	25.77	0.11	5.76	6.66	3.21	0.55	99.83
	ამფიბოლი	14	43.22	0.17	13.13	24.63	0.10	5.38	7.07	3.44	0.64	97.78
	ამფიბოლი	15	44.09	0.20	13.00	25.53	0.02	5.82	6.59	4.82	0.56	100.7
	ქლორიტი	17	25.07	0.04	18.66	39.33	0.19	9.75	0.02	-	-	-
	ბიოტიტი	18	36.22	1.24	15.22	29.42	0.14	7.14	-	-	10.62	-
92-ბ	ეპიდოტი	11	39.27	0.07	25.41	9.53	0.02	-	25.14	0.16	0.04	99.64
	ამფიბოლი	13	54.15	0.06	2.33	12.94	0.35	16.85	10.87	0.32	-	99.87
	ამფიბოლი	15	53.07	0.11	6.07	18.04	0.30	10.93	5.63	4.58	0.04	98.77
	ამფიბოლი	16	49.09	-	10.20	16.32	0.30	10.57	7.87	4.11	0.27	98.73
	ამფიბოლი	17	49.37	-	9.46	17.38	0.24	10.05	8.25	4.08	0.11	99.18
	ალბიტი	18	69.19	-	18.21	0.04	0.01	0.04	0.20	10.69	0.26	98.64
	ამფიბოლი	40	51.62	0.07	7.27	16.83	0.34	10.22	6.65	3.97	0.11	97.08
	ქლორიტი	41	27.78	-	18.68	21.05	0.27	19.17	-	0.05	-	87.00
	ამფიბოლი	42	51.51	0.04	8.09	16.05	0.20	10.99	7.02	3.24	0.06	97.2
	ამფიბოლი	43	52.59	0.08	8.27	16.91	0.30	10.55	6.78	3.79	0.12	99.4
	ალბიტი	45	69.08	-	18.46	0.14	-	-	0.16	10.33	0.03	98.2
56-ბ	ამფიბოლი	3	49.02	0.11	10.21	16.25	0.20	9.01	6.21	8.25	0.21	99.47
	პარაგონიტი	4	50.01	0.09	27.08	4.55	-	2.71	0.01	7.35	0.15	91.95
	მუსკოვიტი	7	50.91	0.11	27.01	4.67	-	2.88	0.01	0.66	9.77	96.02
	ალბიტი	8	68.21	-	19.85	-	-	-	0.10	10.71	0.03	98.90
	ქლორიტი	9	26.01	0.02	19.80	24.40	0.32	18.01	0.05	-	-	88.61
	ეპიდოტი	10	38.50	-	21.20	12.78	0.40	-	22.88	0.06	0.01	95.83
	ამფიბოლი	11	49.50	0.12	10.31	15.99	0.20	8.98	6.31	8.01	0.11	99.53
	ამფიბოლი	12	49.70	0.10	9.99	15.71	0.15	9.15	7.99	4.51	-	97.30
59-ბ	ქლორიტი	16	26.25	0.03	18.41	25.41	0.22	15.71	0.02	-	-	86.05
	მუსკოვიტი	17	48.81	0.11	24.41	4.81	-	2.70	-	0.80	7.67	89.31
	ამფიბოლი	18	48.25	0.11	10.50	17.99	0.17	8.91	5.89	4.37	0.25	96.44
	ალბიტი	19	69.71	-	18.81	-	-	-	0.05	10.25	0.11	98.93
	ეპიდოტი	20	38.57	0.01	22.15	12.99	0.35	-	23.95	-	0.04	98.06
	გრანატი	23	35.81	-	16.78	23.11	9.81	0.71	12.91	-	-	99.13
	გრანატი	24	37.16	0.05	18.10	27.70	3.01	1.15	12.68	-	-	99.85
	ქლორიტი	27	28.01	0.05	17.61	26.79	0.38	16.31	0.50	-	-	89.65
		პარაგონიტი	28	46.78	0.08	29.71	0.18	-	-	6.35	0.50	83.60
69-ბ	ამფიბოლი	17	50.19	0.09	10.07	14.20	0.05	10.70	8.91	4.41	0.12	98.74
	ქარსი	18	49.20	0.12	24.37	4.69	-	2.50	-	0.80	7.37	89.05
	ამფიბოლი	20	49.72	0.08	9.28	14.62	0.07	11.23	9.93	3.98	0.11	99.02
	ამფიბოლი	21	49.68	-	9.37	15.01	0.01	11.01	10.03	3.87	0.10	99.08
	ქლორიტი	23	27.25	-	18.51	25.21	0.20	15.30	-	-	-	86.47
	ეპიდოტი	24	35.91	0.04	20.21	12.79	0.40	-	22.93	0.06	-	92.34
179-ბ	ამფიბოლი	1	48.50	0.11	6.70	15.70	0.11	11.67	9.30	2.57	0.17	94.83
	ამფიბოლი	2	47.21	0.12	9.97	19.10	0.39	9.41	6.60	4.97	0.27	98.04
	გრანატი	5	36.60	0.02	16.62	23.31	5.27	1.01	13.19	0.11	0.01	96.14
	გრანატი	6	38.24	0.04	18.01	25.73	3.05	1.18	13.57	0.08	-	99.90
	პარაგონიტი	7	46.70	0.02	31.63	0.20	-	0.15	0.14	4.60	1.01	84.45
	მუსკოვიტი	9	47.00	0.07	30.61	2.20	-	1.97	0.05	-	10.37	92.27
	ალბიტი	12	69.40	-	19.01	0.20	-	-	0.20	9.85	-	98.66
	ეპიდოტი	15	38.40	-	19.35	8.01	-	-	24.97	-	-	90.73
	ქლორიტი	17	27.35	-	17.57	26.57	0.37	18.01	-	0.07	-	89.94
262-ბ	ამფიბოლი	25	43.07	0.09	12.78	23.60	0.10	5.57	6.27	8.20	-	99.68
	ამფიბოლი	26	39.15	0.08	16.97	24.70	0.09	3.51	6.07	8.91	-	99.48
	ქლორიტი	27	28.21	-	19.51	26.30	0.35	17.51	-	-	-	91.88
	ეპიდოტი	29	38.05	-	20.77	13.57	-	-	24.87	0.17	-	97.43
	ამფიბოლი	31	46.07	0.15	10.27	19.51	0.20	9.47	8.34	3.99	0.31	98.31

აქტინოლით→კროსიტის ფაზური გარდაქმნა მიმდინარეობს შედარებით დაბალტემპერატურულ პირობებში ჰომოგენური ჩასახვისა და ზრდის მექანიზმით. ასეთ პირობებში დიფუზია ნელა მიმდინარეობს და იზომორფული ჩანაცვლებაც ხორციელდება კათიონების შეზღუდული გადანაწილებით. ამფიბოლების არაეკვივალენტურ პოზიციაში ადგილი აქვს შემდეგი ელემენტების კათიონთა ჩანაცვლებას: $2Na \rightarrow Ca$, $Fe \rightarrow Mg$, $2Al \rightarrow 3Mg$. კროსიტის ელემენტარული უჯრედის პარამეტრები უმნიშვნელოდ მცირეა, ვიდრე აქტინოლითის.

დასკვნა

ჩეგემის და ხასაუთის სერიის ბიოტიტური და გრანატული სუბფაციების პარაგენეზის გადსვლა თანდათანობითა და მათ შორის მკვეთრი საზღვრის გატარება შეუძლებელია. ზემოთ აღნიშნულ მინერალთა რეაქციული ცვლილებები და მყარფაზური გარდაქმნები ბეჩასინის მეტამორფული კომპლექსის თითქმის ყველა სტრატეგრაფიულ ერთეულში – შაუკოლის წყების ღია ფერის ალბიტის პორფირობლასტიან, ტალიკოლის ქლორიტიან, მორალიკოლის მწვანე ფერის ქლორიტ-ამფიბოლ-ალბიტან, ტაშლიკოლის ქლორიტ-კვარც-სერიციტიან ფიქლებშია დაფიქსირებული. ისინი მსგავსი პარაგენეზისებით ხასიათდება, სადაც მკვეთრად განსხვავებული ზონალური და სხვადასხვა ტიპის არაერთგვაროვანი უბანი პრაქტიკულად არ შეიმჩნევა.

მინერალურ პარაგენეზისებში ჟადეიტ-კვარცი და ლავსონიტის არარსებობა მიუთითებს, რომ ბეჩასინის მეტამორფული კომპლექსი მიეკუთვნება მაღალტემპერატურულ არატიპურ გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესს.

ლიტერატურა

1. Баранов Г.И., Доля А.Н. О находке минералов группы глаукофана на Северном Кавказе // Тезисы докладов IV по геол. и полезн. ископ. Северного Кавказа. Ессентуки, 1974. С. 78-79.
2. Попоразде Н.Г., Гвелесиани С.Г. Новые минералого-петрологические данные о Шаукольской свите Бечасынского метаморфического комплекса. Геол. инст., нов. сер., вып. 114, 1999 г., с. 204-209.
3. Потапенко Ю.Я. Стратиграфия и структура додевонских комплексов Северного Кавказа. Тбилиси: КИМС, 1982. - 168 с.
4. Гамкредидзе И.П., Шенгелиа Д.М. Докембрийско-палеозойский региональный метаморфизм и геодинамика Кавказа. М.: Научный мир, 2005, с. 453.

ახალი მონაცემები კახეთის სარმატული ნალექების ფორამინიფერების გავრცელების შესახებ

წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ., მ. თოფჩიშვილის მიერ

Key words: Sarmatian, Micropaleontology, Foraminifera, Eastern Georgia, Biostratigraphy.

Abstract: NEW DATA ON DISTRIBUTION OF SARMATIAN FORAMINIFERA IN THE SEDIMENTS OF KAKHETI

Sarmatian sediments on the territory of Kakheti are oil-bearing. In recent years, for the purpose of prospecting oil and gas, deep oil wells have been bored. Processing the muddy material allowed the foraminifera complexes in alternation in the sediments revealed by the wells.

The material was studied in the oil wells: Vashliani No.1, Vashliani No.10, Taribana No.39, Taribana 40.

So middle and lower Sarmatian and Konkian are determined according to foraminifera complexes in oil wells. Middle Sarmatian sediments are divided into three parts, and lower Sarmatian – into two. The lower part of lower Sarmatian is transitional, and its fauna complex proves successive connection between Konkian and Sarmatian faunas.

შესავალი



ლამარა მაისურაძე,
 საქ. მეცნ. აკადემიის ლ.
 დავითაშვილის სახელობის
 პალეობიოლოგიის ინსტი-
 ტუტის უფროსი მეცნიერი
 თანამშრომელი

საქართველოს ტერიტორიაზე ფაუნით დათარიღებული სარმატული ნალექები ფართო გავრცელებით სარგებლობს როგორც მის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში.


სარმატი წარმოდგენილია ინტენსიურად ცვალებადი ტერიგენული ნალექებით. სხვა ნამარხებთან ერთად (მოლუსკები, ოსტრაკოდები, თევზები, ხერხემლიანები, ალგოფლორა) სარმატული ნალექები კარგად არის დახასიათებული ფორამინიფერებით, რომლებიც დათარიღებისა და დეტალური სტრატეგრაფიული დანაწილებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამარხია.



კახაბერ ქოიავა,
 საქ. მეცნ. აკადემიის აღ.
 ჯანელიძის სახელობის გე-
 ოლოგიური ინსტიტუტის
 მეცნიერი თანამშრომელი

დასავლეთ საქართველოს სარმატული ფორამინიფერების შესწავლის შედეგები მოცემულია ლ. მაისურაძის (Maისურაძე, 1965; 1971; 1980) შრომებში, სადაც ავტორი განიხილავს როგორც ბიოსტრატეგრაფიის, ისე პალეობიოლოგიის საკვანძო საკითხებს.

აღმოსავლეთ საქართველოში უკანასკნელ წლებში ჩატარებული ნავთობ-საძიებო სამუშაოები ცხადყოფს, რომ სარმატული ნალექები პერსპექტიულია ნავთობ-გაზიანობის თვალსაზრისით. ამ რეგიონში გაბურღულ ჭებში ფორამინიფერები იყო ნალექების დათარიღების ძირითადი დასაყრდენი, ამიტომ საძიებო ჭაბურღილებიდან ამოღებული კერნებისა და შლამის დამუშავების შემდეგ



დაგროვილი პალეონტოლოგიური მასალის დეტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ფორამინიფერების ვერტიკალური განვითარების კანონზომიერებანი და მათი ფაციალური კომპლექსები, რომლებიც მიღებულ იქნება შემდგომი სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, როგორც ეტალონი.

ვსარგებლობთ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვასხენებთ შპს “ნავთობსამეცნიეროს” თანამშრომლებს (ლ. თათარაშვილი და ნ. შათირიშვილი) პალეონტოლოგიური მასალით სარგებლობის ნებართვისთვის.

გთავაზობთ აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთი) ტერიტორიაზე გაბურღული (ტარიბანა №№ 39, 40; ვაშლიანი №№ 1, 10) ჭებიდან მოპოვებული მიკროპალეონტოლოგიური ნიმუშების შესწავლის შედეგებს (ნახაზი).

ძირითადი ნაწილი

ტარიბანა

ტარიბანას საბადო განლაგებულია გარე კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ტარიბანას მოედანზე ზედაპირულ გამოსავლებში გვხვდება შირაქის წყების ალჩაგილური და აფშერონული ნალექები. ამ სართულების გარდა ჭაბურღილებით გახსნილია ზედა, შუა- და ქვედა სარმატული ნალექები. ჭაბურღილების სიმრავლის მიუხედავად კერნული მასალა შესწავლილი იყო მხოლოდ №38, 39, 40 ჭაბურღილებში. ქვემოთ გთავაზობთ №№ 39 და 40 ჭაბურღილების კერნული მასალის მიკროპალეონტოლოგიური კვლევის შედეგებს.

ტარიბანა, №39 ჭაბურღილი

1. ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა. დასტა შეიცავს: *Characea*, *Cyprideis littoralis* (Brady), *C. punctillata* (Brady), *C. torosa* Jones, *Cyprideis* sp., *Hemicytheria* sp., *Candona aff. longa* Volosh., *Candona* sp., *Ammonia beccarii* (Linnè), *Porosononion hyalinus* (Bogd.) ----- 430მ (2620-3050მ)
2. ხარვეზი ----- 12მ (3050-3062მ)
3. თიხები ----- 20მ (3062-3082მ)
4. ხარვეზი ----- 10მ (3082-3092მ)
5. ქვიშაქვები ალევროლიტების შუაშრეებით. გვხვდება - *Cyprideis littoralis* (Brady) ნაშთები ----- 350მ (3092-3442მ)
6. ალევროლიტების, ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა ----- 258მ (3442- 3700მ)
7. თიხები ალევროლიტების შუაშრეებით ----- 250მ (3700-3950მ)
8. ხარვეზი ----- 35მ (3950-3985მ)
9. თიხები ----- 60მ (3985-4045მ)
10. ქვიშაქვები ----- 25მ (4045-4070მ)
11. თიხები, დასტის ზედა ნაწილში გამოერევა ალევროლიტების შუაშრეები. აქ გავრცელებული მიკროფაუნის კომპლექსი წარმოდგენილია: ფორამინიფერები - *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Porosononion subgranosus umboelata* (Bogd.), *P. hyalinus* (Bogd.), *Elphidium macellum* (F. et M.), *E. flexuosum* d’Orb., *E. rugosum* (d’Orb.), *E. crispum* (Linne), ოსტრაკოდები - *Xestoleberis elongata* Schn., *Leptocythere aff. mironovii* Schn.,

- Hemicytheria kolesnikovii* Schn., სტატოლითები - *Sarmysis sarmaticus* (Khal.) -----
 ----- 135მ (4070-4205მ)
12. კირქვებისა და თიხების მორიგეობა. დასტა შეიცავს: *Nonion bogdanowiczii* Volosh.,
Porosonion subgranosus subgranosus (Egger), *Affinetrina voloshinovae* (Bogd.),
Sinuloculina nitens Reuss, *S. angustioris* (Bogd.), *S. consobrina sarmatica* (Gerke),
Articulina sp., *Sarmysis sarmaticus* (Khal.) ----- 105მ (4205-4310მ)
13. ქვიშაქვები. დასტაში გვხვდება ფორამინიფერების შემდეგი კომპლექსი:
Porosonion subgranosus subgranosus (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.),
Elphidium macellum (F. et M.), *Nonion bogdanowiczii* Volosh., *N. artifex* Serova, *N.*
miocenicus Pobed. et Volosh., *N. vulgaris* Pobed., *Sarmysis sarmaticus* (Khal.) -----
 ----- 330მ (4310-4640მ)
14. თიხები ----- 115მ (4640-4755მ)
15. ქვიშაქვები. შეიცავს *Varidentella reussi* (Bogd.), *V. sartaganica* (Krasch.), *Affinetrina*
guriana (O. Djan.), *A. sp.*, *Cycloforina complanata* (Gerke et Iss.), *Articulina* sp. -----
 ----- 200მ (4755-4955მ)

2709-2881მ ინტერვალში ლითოლოგიურად ქვიშაქვების და თიხების მორიგეობით არის წარმოდგენილი და ძირითადად დახასიათებულია ოსტრაკოდებით: *Cyprideis littoralis* (Brady), *C. punctillata* (Brady), *C. torosa* Jones, *Cyprideis* sp., *Hemicytheria* sp., *Candona aff. longa* Volosh., *Candona* sp. ოსტრაკოდებთან ერთად გვხვდება წყალმცენარე *Characea*-ს გირაგონიტები და ფორამინიფერების *Porosonion hyalinus* (Bogd.), *Ammonia beccarii* (Linnè)-ს ნაშთებიც. ფორამინიფერების სიმცირის გამო ძნელია ამ ნალექების ზუსტი ასაკის განსაზღვრა. ამიტომ ვეყრდნობით ოსტრაკოდების მონაცემებს. *Characea* და ოსტრაკოდები შემცველ ნალექებს გვიანსარმატულად ათარილებენ.

3309-3438მ ინტერვალში ამოღებულ კერნებში გვხვდება ოსტრაკოდების ერთი სახეობა *Cyprideis littoralis* (Brady) და ორსაგდულიანის *Maetra* sp. ნატეხები, რომელთა საფუძველზე სავარაუდოდ შემცველი ნალექებიც გვიანსარმატული ასაკის უნდა იყოს.

4105-4110მ ინტერვალში აღებულ ნიმუშში განსაზღვრულია ფორამინიფერები: *Elphidium macellum* (F. et M.), *E. flexuosum* (d'Orb.), *E. rugosum* (d'Orb.), *E. crispum* (Linne), *Porosonion subgranosus umboelata* (Bogd.), *P. hyalinus* (Bogd.), *Nonion bogdanowiczii* Volosh., ოსტრაკოდები: *Xestoleberis elongata* Schn., *Leptocythere aff. mironovii* Schn., *Hemicytheria kolesnikovii* Schn., უმაღლეს კიბოსნაირთა სტატოლითები *Sarmysis sarmaticus* (Khal.) ფორამინიფერები და ოსტრაკოდები დიდი ზომისა, სქელნიჟარიანია. დომინირებენ სკულპტირებული *Porosonion*-ები. ოსტრაკოდებისა და ფორამინიფერების შედგენილობა, მათი ნიჟარების მორფოლოგია ნალექების შუასარმატულ ასაკზე მიუთითებს. მსგავსი კომპლექსები ცნობილია აზერბაიჯანის, მოლდავეთის და უკრაინის (Маисурадзе, 1980) შუასარმატულ ნალექებში.

4206-4211მ ინტერვალის კერნი დახასიათებულია ფორამინიფერების კომპლექსით: *Sinuloculina nitens* Reuss, *S. angustioris* (Bogd.), *S. consobrina sarmatica* (Gerke), *Affinetrina voloshinovae* (Bogd.), *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *Nonion bogdanowiczii* Volosh., *Articulina* sp. და სტატოლითებით *Sarmysis sarmaticus* (Khal.) მიკროფაუნა მცირე ზომისაა, ნიჟარები გამჭვირვალეა. ჰაბიტუსით და სახეობების შემადგენლობით ძალიან ჰგავს შედარებით ღრმა ზღვის სახეობებს. კომპლექსში *Affinetrina voloshinovae*-ს არსებობა შემცველ

ნალექებს შუასარმატულად ათარილებს. თითქმის ანალოგიური კომპლექსი დასავლეთ საქართველოს შუასარმატულშია გამოყოფილი (Маисурадзе, 1971), ხოლო ა. ბოგდანოვიჩი (Богданович, 1965) მსგავს კომპლექსს გამოყოფს დასავლეთ იმერკავკასიის შუასარმატულ ნალექებში ე.წ. “კრიპტომაკრტებიან” შრეებში.

4319-4324მ ინტერვალის კერნი ფორამინიფერების ღარიბ ასოციაციას შეიცავს *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *Elphidium macellum* (F. et M.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *N. artifex* Serova, რომელთა ნიჟარებიც მორფოლოგიურად წინა ნიმუშის მსგავსია. აქაც ბევრია სტატოლითები *Sarmysis sarmaticus*.

4461-4466მ ინტერვალში აღებულ კერნში აღმოჩნდა: *Nonion bogdanowiczi* Volosh., *N. miocenicus* Pobed. et Volosh, *N. vulgaris* Pobed., *N. artifex* Serova, *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Elphidium macellum* (F. et M.) და დიდი რაოდენობით სტატოლითები *Sarmysis sarmaticus* (Khal.) დანარჩენ სახეობებთან შედარებით *Nonion bogdanowiczi* დიდი ზომით გამოირჩევა. ნონიონიდებით დახასიათებული მსგავსი კომპლექსი ხშირად გვხვდება აზერბაიჯანისა და საქართველოს შუასარმატულ თიხიან ფაციესში.

სტატოლითების დიდი რაოდენობა, *Sinuloculina*-ებისა და *Nonion*-ების ცვალებადობა, მილიოლიდების ნიჟარების მცირე ზომები შუასარმატული ნალექების ქვედა შრეებისათვის არის დამახასიათებელი. ისინი ამ ასაკის თიხიან ქანებში ანუ ე.წ. “კრიპტომაკრტებიან” შრეებში გვხვდება, შესაბამისად 4206-4466მ ინტერვალში შუასარმატულის ქვედა ნაწილს უნდა შეესაბამებოდეს.

4837-4843მ ინტერვალში ფორამინიფერების განსხვავებული კომპლექსი აღმოჩნდა. ამ ნიმუშში დომინანტური მდგომარეობა *Varidentella reussi* (Bogd.)-ს ეკუთვნის. ბევრია აგრეთვე *Cycloforina complanata* (Gerke et Iss.), *Varidentella sartaganica* (Krasch.), *Affinetrina guriana* (O. Djan.), *A. sp.*, *Articulina sp.*, რომლებიც ძალზე დაზიანებულია. მიუხედავად ცუდი დაცულობისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ტიპური ქვედასარმატული ე.წ. “მილიოლიდური” კომპლექსია (Маисурадзе, 1980; 1985), რომელიც მხოლოდ თიხიან ნალექებში გვხვდება.

ტარიხანა, №40 ჭაბურღილი

1. ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა *Iliocypris sp.*, *Hemmicytheria sp.*, *Cyprideis sp.*, *Characea* ----- 320მ (2500-2820მ)
2. ქვიშაქვები; დასტის ზედა ნაწილში გამოერევა თიხები. დასტაში გვხვდება *Candona sp.*, *Iliocypris sp.*, *Characea*-ს ნაშთები ----- 260მ (2820-3080მ)
3. თიხები ----- 35მ (3080-3115მ)
4. ქვიშაქვები ----- 90მ (3115-3205მ)
5. ხარვეზი ----- 10მ (3205-3215მ)
6. ქვიშაქვები, იშვიათად შეიცავს თიხების შუაშრეებს. ნაპოვნია *Cyprideis littoralis* (Brady) ----- 165მ (3215-3380მ)
7. თიხების და ქვიშაქვების მორიგეობა; დასტის ქვედა ნაწილში ჭარბობს ქვიშაქვები. შეიცავს *Cyprideis littoralis* (Brady) ----- 30მ (3380-3410მ)
8. ხარვეზი ----- 35მ (3410-3445მ)
9. თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა *Leptocythere sp.* ----- 145მ (3445-3590მ)
10. ხარვეზი ----- 15მ (3590-3605მ)

11. თიხები; დასტის შუა ნაწილში გამოიყვანა ალევროლითების შუაშრები. კერნულ მასალაში აღმოჩნდა: *Ammonia beccarii* (Linne), *Cyprideis littoralis* (Brady), *C. punctillata* (Brady), *Cyprideis* sp., *Hemmicytheria* sp., *Maetra luxata* Zhizh., *M. caspia* Eichw., *M. bulgarica* Toul., *Solen subfragilis* M. Hörn., *Helix* sp. ----- 525მ (3605-4130მ)
12. თიხები ქვიშაქვების შუაშრებით. დასტაში ნაპოვნია: *Porosonion subgranosus* (Egger), *P. hyalinus* (Bogd.), *Cyprideis littoralis* (Brady), *Loxocnxa* sp. ----- 230მ (4130-4360მ)
13. ალევროლითები. შეიცავს ფორამინიფერების ნაშთებს *Porosonion subgranosus subgranosus* (Bogd.), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *P. hyalinus* (Egger), *Elphidium macellum* (F. et M.) ----- 110მ (4360-4470მ)
14. თიხებისა და ალევროლითების მორიგეობა. აქ გვხვდება მაკროფაუნის შემდეგი კომპლექსი: *Porosonion subgranosus subgranosus* (Bogd.), *Elphidium hauerinum* (d'Orb.), *Cycloforina complanata* (G. et Iss), *Sarmysis sarmaticus* (Khal.) ----- 230მ (4470-4700მ)
15. თიხები. ამ დასტაში გვხვდება მიკროფაუნის შემდეგი კომპლექსი: *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Fissurina elongata* (Pobed.), *F. excellens* (Pobed.), *Ammonia beccarii* (Linne), *Articulina* sp., *Sarmysis sarmaticus* (Khal.) ----- 60მ (4700-4760მ)
16. თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. დასტა ხასიათდება შემდეგი ტიპის კომპლექსით: *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *N. artifex* Serova, *Elphidium macellum* (F. et M.), *E. hauerinum* d'Orb., *Varidentella reussi* (Bogd.), *Sinuloculina nitens* (d'Orb.), *Meandroloculina schirwanensis* Bogd., *Articulina* sp., *Sarmysis sarmaticus* (Khal.) ----- 180მ (4760-4940მ)

ტარიბანის №40 ჭაბურღილში 2508-3375მ ინტერვალი დახასიათებულია ოსტრაკოდებით: *Cyprideis littoralis* (Brady), *Cyprideis* sp., *Hemmicytheria* sp., *Iliocypris* sp., *Candona* sp. და წყალმცენარეების ნაშთებით *Characea*. მტკნარი წყლის ნამარხების ეს ასოციაცია რეგიონისათვის ტიპური ზედასარმატული კომპლექსია (Булейшвили, 1960).

3402-3845მ ლითოლოგიურად აგებულია თიხებით, იშვიათად გვხვდება ქვიშაქვების და ალევროლითების შუაშრები. დასტაში აღმოჩენილია ოსტრაკოდები - *Cyprideis littoralis* (Brady), *C. punctillata* (Brady), *C. sp.*, *Leptocythere* sp., *Hemmicytheria* sp.; მოლუსკები - *Maetra luxata* Zhizh., *M. caspia* Eichw., *M. bulgarica* Toul., *Solen subfragilis* M. Hörn., *Helix* sp. და ფორამინიფერის ნაშთი *Ammonia beccarii* (Linne). აღნიშნული მოლუსკების და ოსტრაკოდების მსგავსი კომპლექსი ნალექებს გვიან სარმატულად ათარილებს (Грузинская и др., 1986). აღნიშნული ნალექები ზედასარმატული “ზღვიური დასტის” სახელით არის ცნობილი (Булейшвили, 1960; Грузинская, 1966).

4145-4466მ ინტერვალში ქანები ხასიათდება მიკროფაუნის შემდეგი კომპლექსით: ფორამინიფერები - *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *P. hyalinus* (Bogd.), *Elphidium macellum* (F. et M.); ოსტრაკოდები - *Cyprideis littoralis* (Brady), *Loxocnxa* sp. ნიჟარები ძალზე დიდი ზომისაა, აქვთ უხეში, სქელი, სკულპტირებული კედელი. ეს ერთფეროვანი ღარიბი ფაუნა საშუალებას იძლევა, სხვა რეგიონში (დასავლეთი

საქართველო, მოლდავეთი, იმიერკავკასია და სხვა) გავრცელებული მსგავსი კომპლექსების ანალოგიურად, შემცველი ნალექები შუასარმატულის ზედა ნაწილს მივაკუთვნოთ (Богданович, 1965; Маисурадзе, 1971; ქოიავა, 2006).

4555-4759მ ინტერვალი აგებულია თიხებით, რომელსაც შუა ნაწილში გამოერევა ალევროლითების შუაშრები. აღნიშნულ დასტაში აღმოჩენილია ფორამინიფერები: *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Nonion bogdanowiczii* Volosh., *Cykloforina complanata* (G. et Iss), *Elphidium hauerinum* (d'Orb.), *Fissurina elongata* (Pobed.), *F. excellens* (Pobed.), *Ammonia beccarii* (Linne), *Articulina* sp. და უმაღლეს კიბოსნაირთა სტატოლითების - *Sarmysis sarmaticus* (Khal.) მრავალრიცხოვანი, გამჭვირვალე ეგზემპლარები. კომპლექსში დომინირებენ *Porosonion* და *Nonion*-ის წარმომადგენლები, რომლებსაც შუასარმატული იერი აქვთ (დიდი ზომა, სკულპტირების მაღალი ხარისხი); ახასიათებთ ინტენსიური შიგასახეობრივი ცვალებადობა. აზერბაიჯანელი მეცნიერების (Победина и др., 1956) მონაცემებით *Fissurina excellens* და *F. elongata* ზედა- და შუასარმატული ასაკის ნამარხებად ითვლება. ჩვენ შემთხვევაში ხსენებული სახეობები შუასარმატულად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც მათი თანხმლები კომპლექსი ტიპურია როგორც საქართველოს, ასევე იმიერკავკასიის შუასარმატულისთვის (Богданович, 1965; Маисурадзе, 1971).

4804-4926მ ინტერვალი ძირითადად თიხებით არის წარმოდგენილი და შეიცავს ფორამინიფერების შემდეგ კომპლექს: *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Elphidium macellum* (F. et M.), *E. hauerinum* (d'Orb.), *Varidentella reussi* (Bogd.), *Nonion bogdanowiczii* Volosh., *N. artifex* Serova, *Sinuloculina nitens* (d'Orb.), *Meandroloculina schirwanensis* Bogd., *Articulina* sp. ბევრია აგრეთვე *Sarmysis sarmaticus*-ს ნაზი და გამჭვირვალე სტატოლითები. ფორამინიფერები პატარა ზომისაა, გამჭვირვალე, თხელკედლიანი ნიჟარებით, ხშირია დაკნინებული ფორმები. აღნიშნული კომპლექსი ჰაბიტუსით და შედგენილობით ე.წ. “კრიპტომაქტრებიანი” თიხებისთვის დამახასიათებელი კომპლექსის მსგავსია, შესაბამისად, მისი შემცველი ნალექები სტრატეგრაფიულად შუასარმატულის ქვედა ნაწილს უნდა შეესაბამებოდეს.

ვაშლიანი

ვაშლიანის ნავთობსაბადო განლაგებულია მდ. იორის მარჯვენა სანაპიროზე. ჩრდილო-დასავლეთით ის შემოსაზღვრულია მდ. იორის ხეობით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით - ნატახტარის ქედით.

კერნული მასალა დასინჯულია ვაშლიანის №№ 1 და 10 ჭაბურღილებში, რომლებიც გაბურღილია ვაშლიანის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში. ორივე ჭაბურღილში სარმატული ნალექები წარმოდგენილია სამივე ქვესართულით. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ჭაბურღილების კერნულ მასალაში აღმოჩენილი მიკროპალეონტოლოგიური ნაშთების კვლევის შედეგები.

ვაშლიანი, №1 ჭაბურღილი

1. თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა *Ammonia* sp., *Characea* -----
----- 352მ (2380-2732მ)
2. თიხებისა და ალევროლითების მორიგეობა. შეიცავს: *Candona neglecta* Sars., *C. aff. linne* Volosh., *C. sp.* ----- 328მ (2732-3060მ)

მეცნიერება

ბიოლოგია

SCIENCE

3. თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა; ცალკეულ შემთხვევაში შეინიშნება კირქვების და ალევროლითების შუაშრები, ქანები შეიცავს ოსტრაკოდების ნატეხების და ხარაცეების ნაშთებს ----- 290მ (3060-3350მ)
4. თიხებისა და ალევროლითების მორიგეობა, რომელშიც გვხვდება ფორამინიფერების ერთეული ეგზემპლარები *Porosonion subgranosus* (Egger), *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *S. angustioris* (Bogd.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Elphidium macellum* (F. et M.), *Varidentella georgiana* Luczk., *Quinqueloculina delicatulla* Bogd., *Q. grosniensis* Bogd., *Affinetrina voloshinovae* (Bogd.), *A. aff. guriana* (O. Djan.), *Spiroloculina okrajantzi* Bogd., *Flintina tutkowskii* Bogd., *Articulina* sp. ----- 570მ (3350-3920მ)
5. თიხები, ქვიშაქვები და ალევროლითები ----- 110მ (3920-4030მ)
6. თიხები ალევროლითების შუაშრებით. დასტაში გავრცელებულია ფორამინიფერების შემდეგი ფორმები: *Nonion artifex* Serova, *Discorbis* sp., ----- 90მ (4030-4120მ)
7. ქვიშაქვები და ალევროლითები; დასტის შუა ნაწილში შეინიშნება თიხების იშვიათი შუაშრები. აღმოჩენილია *Nonion artifex* Serova, *Discorbis* sp. ნაშთები ----- 81მ (4120-4201მ)
8. თიხები. გვხვდება *Nonion artifex* Serova ----- 49მ (4201-4250მ)
9. თიხები, ალევროლითები და ქვიშაქვები ----- 150მ (4250-4400მ)
10. თიხები და ალევროლითები, ქვიშაქვების შუაშრებით. აქ გავრცელებული ფორამინიფერების კომპლექსი წარმოდგენილია: *Porosonion subgranosus* (Egger), *Elphidium regina* (d'Orb.), *E. crispum* (Linné), *E. salebrosum* Serova, *E. macellum* (F. et M.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Affinetrina guriana* (O. Djan.) --- 180მ (4400-4580მ)
11. თიხები, მერგელებისა და კირქვების შუაშრებით. გვხვდება ფორამინიფერების შემდეგი კომპლექსი: *Porosonion martkobi* (Bogd.), *P. subgranosus* (Egger), *Varidentella reussi* (Bogd.), *Affinetrina guriana* (O. Djan.), *A. aff. guriana* (O. Djan.), *Sinuloculina angustioris* (Bogd.), *Discorbis* sp., *Cycloforina* sp., *Elphidium* sp. ----- 207მ (4580-4787მ)

ვაშლიანის №1 ჭაბურღილში 2381 მ-ზე აღებულ ნიმუშში აღმოჩნდა წყალმცენარეების (*Characea*) განამარხებული გირაგონიტები, *Ammonia* sp. და ოსტრაკოდების ცუდად დაცული ნიჟარები.

3055-3059მ ინტერვალში აღმოჩნდა *Characea*-ს გირაგონიტები და ოსტრაკოდები: *Candona neglecta* Sars., *C. aff. linne* Volosh., *C. sp.*, რომლებიც შემცველ ნალექებს ათარიღებენ გვიანსარმატულად.

3668-3671მ ინტერვალში აღებულ ნიმუშში სარმატული ფორამინიფერების მხოლოდ ორი სახეობა *Sinuloculina consobrina* (d'Orb.) და *Porosonion subgranosus* (Egger) აღმოჩნდა.

3913-3916მ ინტერვალში ამოღებულ კერნში დაფიქსირდა შემდეგი კომპლექსი: *Porosonion subgranosus* (Egger), *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *S. angustioris* (Bogd.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Elphidium macellum* (F. et M.), *Varidentella georgiana* Luczk., *Quinqueloculina delicatulla* Bogd., *Q. grosniensis* Bogd., *Affinetrina voloshinovae* (Bogd.), *A. aff. guriana* (O. Djan.), *Spiroloculina okrajantzi* Bogd., *Flintina tutkowskii* Bogd., *Articulina* sp. ფორამინიფერებს გამჭირვალე, ნაზი ნიჟარები აქვს. ბევრია დაღარული ნიჟარების მქონე

მილიოლიდები. მსგავსი კომპლექსი, ყირიმ-კავკასიის რეგიონის, შუასაბრტული ნალექებისთვის არის დამახასიათებელი (Богданович, 1965; Маисურაძე, 1971).

დაახლოებით 200მ-იანი ინტერვალი 4033-4249მ წარმოდგენილია ფორამინიფერებით: *Nonion artifex* Serova, *Discorbis* sp. აღსანიშნავია, რომ მრავლად არის გადალექილი ფაუნაც, რომელიც ძალზე დამუშავებულია და არ განისაზღვრება. სიმციროსა და ცუდი დაცულობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ დასტის შემცველ ფაუნას კარგად გამოხატული შუამიოცენური იერი აქვს.

4405-4579მ-ს ინტერვალში ამოღებული კერნი შეიცავს დიდი ზომის ფორამინიფერებს: *Elphidium regina* (d'Orb.), *E. crispum* (Linné), *E. salebrosum* Serova, *E. macellum* (F. et M.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Porosonion subgranosus* (Egger), *Affinetrina guriana* (O. Djan.) და სქელნიფარიან ოსტრაკოდებს. ფაუნის შედგენილობა შუასაბრტულ ასაკზე მიუთითებს. მსგავსი კომპლექსი გავრცელებულია როგორც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე თურქეთის (Özsayar, 1977) შუასაბრტულ ნალექებში.

4731-4787მ სიღრმეზე ქანები დახასიათებულია მიკროფაუნით: *Affinetrina guriana* (O. Djan.), *Sinuloculina angustioris* (Bogd.), *Porosonion martkobi* (Bogd.), *P. subgranosus* (Egger), *Cycloforina* sp., *Discorbis* sp., *Elphidium* sp. ფაუნა ძალიან წვრილია, ბევრია ახალგაზრდა ინდივიდულები; იგი შედგენილობით და ჰაბიტუსით ტიპური ქვედასაბრტული კომპლექსია (Маисურაძე, 1985).

ვაშლიანი, №10 ჰაბურლილი

1. თიხების, ქვიშაქვების და ალევროლითების მორიგეობა *Amonia* sp. -----
----- 430მ (2700-3130მ)
2. თიხები ალევროლითების და კირქვების შუაშრეებით ----- 71მ (3130-3201მ)
3. ალევროლითები მერგელების შუაშრეებით ----- 28მ (3201-3229მ)
4. თიხები ალევროლითების შუაშრეებით და ფორამინიფერების მდიდარი კომპლექსით: *Porosonion hyalinus* (Bogd.), *P. subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *P. aragviensis* (O. Djan.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Elphidium macellum* (F. et M.), *Elphidium regina* (d'Orb.), *E. crispum* (Linné), *E. rugosum* (d'Orb.), *E. salebrosum* Serova, *Affinetrina guriana* (O. Djan.), *Varidentella cubanica* (Bogd.), *V. guriana* (O. Djan.), *Flintina tutkowskii* Bogd., *Meadroculina bogatschovi* Bogd., *M. gracilis* Bogd., *Dogielina sarmatica* Bogd. et Vol., *Spiroloculina* sp. -- 68მ (3229-3297მ)
5. კირქვებისა და თიხების მორიგეობა ----- 25მ (3297-3322მ)
6. ალევროლითები, მერგელების შუაშრეებით ----- 28მ (3322-3350მ)
7. თიხები ----- 45მ (3350-3395მ)
8. ალევროლითების, კირქვების და თიხების მორიგეობა ----- 85მ (3395-3480მ)
9. თიხებისა და ალევროლითების მორიგეობა მერგელების იშვიათი შუაშრეები -----
----- 50მ (3480-3530მ)
10. კირქვები. დასტა შეიცავს: *Elphidium crispum* (L.), *Porosonion subgranosus umboelata* (Bogd.), *Leptocythere mironovi* (Schn.), *L. multicristata* (Suz.), *Xestoleberis elongate* Schn., *Loxoconcha aff. viridis* (Muller) ----- 20მ (3530-3550მ)
11. თიხების, ალევროლითების და მერგელების მორიგეობა ----- 151მ (3550-3701მ)
12. თიხები კირქვების შუაშრეებით ----- 45მ (3701-3746მ)

13. ალევროლითების, ქვიშაქვების და მერგელების მორიგეობა მიკროფაუნის შემდეგი კომპლექსით: *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Elphidium macellum* (F. et M.), *Cycloforina contorta* (d'Orb.), *Dogielina sarmatica* Bogd. et Vol. ----- 99მ (3746-3845მ)
14. თიხები კირქვების, იშვიათად, მერგელების შუაშრეებით ----- 88მ (3845-3933მ)
15. თიხები და ალევროლითები მერგელების შუაშრეებით, რომლებიც შეიცავენ: *Porosonion subgranosus* (Egger), *Elphidium aculeatum* (d'Orb.), *E. obtusum* (d'Orb.), *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *Fissurina elongata* Poled. ----- 63მ (3933-3996მ)
16. თიხები კირქვების და მერგელების შუაშრეებით. კერნულ მასალაში აღმოჩენილია: *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. martkobi* (Bogd.), *Elphidium obtusum* (d'Orb.), *Nonion artifex* Ser., *Sinuloculina nitens* (Reuss) ----- 81მ (3996-4077მ)
17. თიხები ალევროლითების, კირქვების და მერგელების შუაშრეებით. შეიცავს: *Porosonion subgranosus* (Egger), *P. martkobi* (Bogd.), *Nonion artifex* Ser., *Varidentella reussi* (Bogd.) ----- 173მ (4077-4250მ)
18. თიხები და ალევროლითები კირქვების შუაშრეებით. აქ გვხვდება ფორამინიფერების შემდეგი კომპლექსი: *Porosonion guriensis* (O. Djan.), *P. martkobi* (Bogd.), *Elphidium macellum* (F. et M.), *E. angulatum* Egger, *E. kudakoense* Bogd., *Nonion tauricus* Krash., *Affinetrina guriana* (O. Djan.), *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *S. microdon* Krash., *Discorbis* sp., *Fissurina* sp. ----- 520მ (4250-4770მ)

ვაშლიანის №10 ჭაბურღილში, 2751-2756მ ინტერვალში ამოღებულ კერნში აღმოჩნდა *Ammonia* sp. (7 ეგზემპლარი), რომელიც მსგავსია ვაშლიანის №1 ჭაბურღილში ოსტრაკოდებთან ერთად განსაზღვრული ამონიებისა. შესაბამისად, შემცველი ქანების ასაკი, შესაძლოა, ზედა-სარმატული იყოს.

3275მ ინტერვალში გვხვდება ფორამინიფერების მდიდარი კომპლექსი:

Porosonion hyalinus (Bogd.), *P. subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *P. aragviensis* (O. Djan.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Elphidium macellum* (F. et M.), *E. regina* (d'Orb.), *E. rugosum* (d'Orb.), *E. crispum* (Linné), *E. salebrosum* Serova, *Varidentella cubanica* (Bogd.), *V. guriana* (O. Djan.), *Flintina tutkowskii* Bogd., *Meandroloculina bogatschovi* Bogd., *M. gracilis* Bogd., *Dogielina sarmatica* Bogd. et Vol., *Affinetrina guriana* (O. Djan.), *Spiroloculina* sp. ეს არის ტიპური შუასარმატული ფორმებისაგან (*P. aragviensis*, *P. hyalinus*, *Meandroloculina*, *Dogielina*, *Flintina*) შედგენილი ასოციაცია. მათი უმეტესობა აღჭურვილია სქელი, ტლანქი ნიჟარით, რომლებიც შემკულია დამატებითი სკულპტურით ან დაღარული კედლით. დიდი ზომით განსაკუთრებით გამოირჩევა *Porosonion*-ების და *Elphidium*-ების წარმომადგენლები. მათი ნიჟარების მორფოლოგიიდან გამომდინარე ეს სახეობები ნაპირთან ახლოს, თბილი, კალციუმის კარბონატით გაჯერებული წყლის ბინადრები იყვნენ. ასეთივე ჰაბიტუსი აქვთ *Ostracoda*-ებს. ლ. მაისურაძის (Маисураძე, 1985) მონაცემებით, მსგავსი “შერეული” კომპლექსი ხშირად გვხვდება შუასარმატულ ნალექებში და წარმოდგენილია ფორამინიფერების მრავალი სახეობით.

3541-3549მ ინტერვალში ფორამინიფერების ღარიბი კომპლექსით არის წარმოდგენილი, სადაც დომინირებენ დიდი ზომის *E. crispum* (Linné) და *P. subgranosus umboelata* (Bogd.), ასევე დიდი ზომის ოსტრაკოდებთან ერთად: *Leptocythere mironovi* (Schn.), *L. multicristata* (Suz.),

Xestoleberis elongate Schn., *Loxoconcha aff. viridis* (Muller), ქ. გრუზინსკაიას და სხვ. (Грузинская и др. 1986) მონაცემებით, მსგავსი კომპლექსი დამახასიათებელია შუასარმატული ნალექებისთვის.

3815-3820მ-დან ადრეულ კერნებში ხშირია კიბონაირთა სტატოლითები - *Sarmysis sarmaticus* (Khal.) და ფორამინიფერები - *Porosonion subgranosus subgranosus* (Egger), *P. subgranosus umboelata* (Bogd.), *Nonion bogdanowiczi* Volosh., *Dogielina sarmatica* Bogd. et Vol., *Cycloforina contorta* (d'Orb.), *Elphidium macellum* (F. et M.). აღნიშნული კომპლექსი წინასაგან განსხვავდება ნაკლებად სკულპტირებული, შედარებით თხელკედლიანი, საშუალო ზომის ნიჟარებით, რომელთა შორის დიდი ზომის *Porosonion*-ებიც გამოიყვება. დასტაში შუასარმატული *Dogielina*, *Cycloforina*, *Sarmysis*-ის არსებობა და დიდი ზომის *Porosonion subgranosus umboelata*-ს სიმრავლე მიუთითებს შემცველი ნალექების შუა სარმატულ ასაკზე, უფრო ზუსტად შუა სარმატის ქვედა სტრატეგრაფიულ დონეზე.

3940მ სიღრმეზე ადრეულ კერნში, განამარხებული ფორამინიფერების კომპლექსი: *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *Porosonion subgranosus* (Egger), *Elphidium aculeatum* (d'Orb.), *E. obtusum* (d'Orb.), *Fissurina elongata* Poled. ტიპური შუასარმატული სახეობებით არის წარმოდგენილი. მათ შორის დომინირებენ *Elphidium aculeatum*, *Sinuloculina consobrina* და *Porosonion subgranosus*-ის ინდივიდები. აღსანიშნავია, რომ *Elphidium aculeatum*-ის სიმრავლე ქვედა სარმატის ზედა შრეებისათვის არის დამახასიათებელი (Маисурадзе, 1971). გარდა ზემოთ თქმულისა, შემცველი ქანების ადრესარმატული ასაკის სასარგებლოდ ნიჟარების მცირე ზომები და მათი მორფოლოგიაც მეტყველებს.

4053-4235მ ინტერვალში დახასიათებულია შემდეგი სახეობებით: *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *S. nitens* (Reuss), *Varidentella reussi* (Bogd.), *Porosonion subgranosus* (Egger), *P. marktobi* (Bogd.), *Elphidium obtusum* (d'Orb.), *Nonion artifex* Ser., თევზების პატარა ზომის ოტოლითებითა და კიბონაირთა სტატოლითებით - *Sarmysis sarmaticus*. ამ ინტერვალის ქანები ფაუნისტურად ადრესარმატულად თარიღდება და სტრატეგრაფიულად ქვედა სარმატის ქვედა ნაწილს შეესაბამება, რასაც სხვა რეგიონში ამ დონეზე გავრცელებული მსგავსი კომპლექსებიც ადასტურებენ (Богдановичи, 1965, Мамедова, 1968).

4350-4491მ ინტერვალში ფორამინიფერების შემდეგი სახეობებია დაფიქსირებული: *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *S. microdon* Krash., *Porosonion guriensis* (O. Djan.), *P. marktobi* (Bogd.), *Elphidium macellum* (F. et M.), *E. angulatum* Egger, *E. kudakoense* Bogd., *Nonion tauricus* Krash., *Affinetrina guriana* (O. Djan.), *Discorbis sp.*, *Fissurina sp.* ეს კომპლექსი ო. ჯანელიძის (Джанелидзе, 1970) და ვ. კრაშენინიკოვის (Крашенинников и др., 2003) მიერ აღწერილი კონკური (ვესელიანკური) კომპლექსების მსგავსია. საერთო სახეობებით იგი ემსგავსება აგრეთვე დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ვესელიანკურ კომპლექსებსაც (Маисурадзе, 1971, 1980).


დასკვნა

ტარიბანას №39 ჭაბურღილში ფორამინიფერების კომპლექსებით დათარიღებული სარმატული ნალექები წარმოდგენილია შემდეგი სტრატეგრაფიული თანამიმდევრობით: ზედა სარმატულის ზღვიური ფაციესი (Булейшвили, 1960), შუასარმატულის ზედა, შუა და ქვედა ნაწილები და ქვედასარმატული.

მეცნიერება

გეოლოგია

SCIENCE



1-კირქვა; 2-მერგელი; 3-აღვეროლითი; 4-თიხა; 5-ქვიშაქვა

კახეთის სარმატული ნალექების შეპირისპირება

ტარიბანას №40 ჭაბურღილში არსებული ფაუნის კომპლექსების საფუძველზე დადგენილია ზედა სარმატულის ორი ნაწილი: ზედა ანუ ე.წ. “ელდარის წყების” ანალოგი, რომელიც ხასიათდება მტკნარი წყლის ოსტრაკოდებითა და წყალმცენარეებით და ქვედა ე.წ. “ზღვიური დასტა” დახასიათებული მოლუსკებით, ოსტრაკოდებითა და ფორამინიფერებით. ჭრილში კარგად არის წარმოდგენილი შუასარმატული ფორამინიფერების კომპლექსებიც, რომლის საფუძველზეც შუასარმატული სტრატეგრაფიულად დანაწილებულია სამად.

ვაშლიანის №1 ჭაბურღილში ფორამინიფერების ვერტიკალური განაწილების საფუძველზე დადგენილია ნალექების შემდეგი სტრატეგრაფიული თანამიმდევრობა (ზემოდან ქვემოთ): ოსტრაკოდებითა და წყალმცენარეების ნაშთებით დახასიათებული ზედა სარმატული (2380-3350მ ინტერვალი); მილიოლიდებით მდიდარი შუასარმატული (3350-4030მ ინტერვალი); დაახლოებით 220მ (4030-4250მ ინტერვალი) სიმძლავრის შუა მიოცენი (შუა მიოცენის არსებობა მიუთითებს ჭრილში რეგიონალური რღვევის არსებობაზე). შემდეგ კვლავ ფიქსირდება ფაუნისტურად დათარიღებული შუა სარმატული (4250-4630მ ინტერვალი), რომელიც სანაპირო თხელი ზღვის პირობებში უნდა იყოს წარმოშობილი. ჭრილის ქვედა ნაწილში გავრცელებული ქანები ხასიათდება წინა ინტერვალისაგან მკვეთრად განსხვავებული შედგენილობის მცირე ზომის ფორამინიფერების კომპლექსით (4630-4787მ ინტერვალი), რომელიც შემცველ ნალექებს ადრე სარმატულად ათარიღებს.

ვაშლიანის №10 ჭაბურღილში (სტრატეგრაფიულად ზემოდან ქვემოთ) დაფიქსირდა: ამონიებით დათარიღებული ზედა სარმატული, მილიოლიდებით მდიდარი შუა სარმატული, ფორამინიფერების კარგად განვითარებული დიდი ზომის ინდივიდულებით წარმოდგენილი შუა სარმატულის ქვედა ნაწილი; სახელმძღვანელო ფორმებით *Elphidium aculeatum* (d'Orb.), *Sinuloculina consobrina* (d'Orb.), *Porosonion subgranosus* (Egger) დათარიღებული ქვედა სარმატულის ზედა ნაწილი; ტიპური კომპლექსით დათარიღებული ქვედა სარმატულის ქვედა ნაწილი და ბოლოს, შესატყვისი მიკროფაუნით კონკური ნალექები, ე.წ. ვესელიანური შრეები.

ლიტერატურა

1. Богданович А. К. Стратиграфическое и фациальное распределение фораминифер в миоцене Западного Предкавказья и вопросы их генезиса. //Фауна, стратиграфия и литология мезозойских и кайнозойских отложений Краснодарского края. Л.: Недра, 1965, с. 300-350.
2. Булейшвили Д. А. Геология и нефтегазоносность межгорной впадины Восточной Грузии. Л.: Гостоптехиздат, 1960. - 239 с.
3. Грузинская К. Ф., Имнадзе З. А., Каджая Л. Г. О стратиграфии и фациях сармата Грузии //Стратиграфия и корреляция сарматских и мэотических отложений юга СССР. Изд. Саратовского университета, 1986, с. 148-157.
4. Грузинская К. Ф. Сарматская моллюсковая фауна Восточной Грузии. Дисс. на соиск. уч. степени канд. геол.-мин. наук. Тбилиси, 1966. - 213 с.

მეცნიერება

-

გეოლოგია

-

SCIENCE

5. Джанелидзе О. И. Фораминиферы нижнего и среднего миоцена Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1970. - 172 с.
6. Крашенинников В. А., Басов И. А., Головина Л. А. Восточный Паратетис: Тарханский и Конкский региоярусы (стратиграфия, микропалеонтология, биономия палеогеографические связи). Москва: Научный Мир, 2003. - 189 с.
7. Маисурадзе Л. С. К палеобиологической истории фораминифер позднего миоцена Черноморско-Каспийского бассейна. Тбилиси: Мецниереба, 1980. - 106 с.
8. Маисурадзе Л. С. Фораминиферы сармата Западной Грузии//Изв. Тбилиси: Мецниереба, 1971. - 120 с.
9. Маисурадзе Л. С. Новые виды квинквелокулин из среднесарматских отложений Мегрелии //Палеонтологический сборник, №2, Львов, 1965. с. 16-23.
10. Мамедова Л. Д. Микрофауна и стратиграфия миоценовых отложений северо-восточного Азербайджана. Автореф. канд. дисс., Баку, 1968. - 19 с.
11. Победина В. М., Ворошилова А. Г., Рыбина О. И., Кузнецова З. В. Справочник по микрофауне Азербайджана. Баку: Азнефтеиздат, 1956. - 189 с.
12. Özsayar T. (1977). Einige bessarabische Elphidien aus Sinop (Nord-Anatolien). //Gies. Geol., Schriften, 12, Giessen, p. 199-220.
13. კ. ქოიავა. მცხეთის რაიონის სარმატული ნალექების ბიოსტრატოგრაფია ფორამინიფერების მიხედვით //საქართველოს ნავთობი და გაზი, № 17, 2006, გვ. 38-43.

ახალი მონაცემები ბეჩასინის მეტამორფული კომპლექსის (ჩრდილო კავკასია) გლაუკოფანიანი ფიქლების შესახებ

Key words: sodium amphibole, paragonite, garnet, glaucophane, lawsonite, jadeite, subfacies, mineral equilibriums, x-ray spectral.

Abstract: NEW DATA OF GLAUCOPHANE SCHISTS OF THE BECHASYN METAMORPHIC COMPLEX (THE NORTHERN CAUCASUS).

Glaucophane - bearing metamorphites of the Bechasyn complex belong to the higher-temperature stage of non-typical facies of glaucophane schists. They developed in intercontinental conditions and underwent Baikalian lawgradient and high-barite prograde regional metamorphism.

შესავალი



ს. გველესიანი

როგორც ცნობილია, გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესი შეესაბამება მაღალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობებს. მისი ტემპერატურული ინტერვალი მწვანე ფიქლების ფაციესს და კიდევ უფრო დაბალტემპერატურულ არესაც მოიცავს. ამავე დროს წნევა აღემატება ლითოსტატიკურს. გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესი ვითარდება სხვადასხვა შედგენილობის ქანებში, მაგრამ რეგიონალური მასშტაბის გავრცელება მათ შორის უპირველესად აქვს საწყის ფუძე შედგენილობის ქანების მეტამორფიზმის პროდუქტებს.



ნ. ფოფორაძე,

საინჟინრო აკადემიის
წევრ-კორესპ., გეოლ. მინ.
მეცნ. დოქტ.

ძირითადი ნაწილი

ტექტონიკური მდგომარეობით გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის მეტამორფიზმი ყოველთვის წარმოდგენილია ვიწრო და ხაზობრივად ძალიან გამწე ზონების სახით. იგი მაღალი წნევის სარტყელს მიეკუთვნება. მაღალი წნევისა და დაბალგრადიენტული რეჟიმები გაპირობებულია ნაოჭა სარტყლების შეკუმშვის პირობებში ზონების დაღმავალი მოძრაობით. გლაუკოფანიანი ფიქლების სარტყლებს შორის მკვლევარები ასხვავებენ ოკეანის მახლობელ (ან ოკეანურ) და შიგა კონტინენტურ ტიპს (Добрецов и др. 1974). პირველი საუკეთესო გამოვლინებაა წყნარი ოკეანის სარტყელი (კალიფორნია, ახალი კალედონია, ახალი ზელანდია, კორიაკ-კამჩატკა, იაპონია), ხოლო მეორე – აზიური კონტინენტი (ურალი, ტიანშანი, ალტაი, საიანი).

ოკეანური სიტუაციის გლაუკოფანის შემცველი კომპლექსების დიდი გავრცელების ვიწრო ზოლი დაკავშირებულია სიღრმულ რღვევებთან. განვითარების ადრეულ სტადიაზე ღრმელები ივსებოდა კაჟიან-ბაზალტოიდების წარმონაქმნებით, რაც ანალოგიურია თანამედროვე ოკეანეების სიღრმული დარებისათვის. იგი ფილაქნების ტექტონიკის მიხედვით დაკავშირებული იყო ოკეანური ფსკერის გაფართოებასთან. ხდებოდა ოკეანური ქერქის ჩათრევა დიდ სიღრმეზე

კონტინენტური ქერქის ქვემოთ, სადაც ვითარდება მაღალი წნევა დაბალ ტემპერატურულ პირობებში (Miyashiro 1967, Ernst 1970, Coleman 1971 და სხვ.). ეს კომპლექსი შედგება შარირებულ ოფიოლიტური წარმონაქმნების ტექტონიკური ფირფიტებისაგან.

შივა კონტინენტური ტიპის გლაუკოფანიანი კომპლექსები ვითარდება სუპრასტრუქტურული ქანების ხარჯზე მჟავე ფუნდამენტის დესტრუქციის დროს. კონტინენტური ქერქის ღრმული ივსება კონტინენტური ახევებიდან მოწოდებული მასალით. გაჭიმვის ადრეულ სტადიაზე ეგზოგენური, ასევე ენდოგენური ფაქტორების გავლენით ადგილი აქვს ადრე ფორმირებული კონტინენტური ქერქის ნგრევას. ახლად წარმოქმნილი დანალექი ფორმაციები შეიცავს კლასტურ ნალექებსა და მჟავე ვულკანიტებს. მისთვის დამახასიათებელი არ არის კავშირი ფუძე ვულკანიტებსა და გაბრიოდებთან.

ფაციესის დამახასიათებელი მინერალებია: გლაუკოფანი (ასევე სხვა Na -ამფიბოლები), ჟადეიტი, ლავსონიტი – მინერალები, რომლებიც ექსპერიმენტული და გეოლოგიური მონაცემებით მხოლოდ მაღალი წნევის პირობებში წარმოიშობა. ამავე დროს გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის პირობებში გვხვდება ისეთი მინერალებიც, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ზომიერი და დაბალი წნევის პირობებშიც. ასეთია: კვარცი, ალბიტი, ფენგიტი, პარაგონიტი, ქლორიტი, გრანატი, ეპიდოტი, ქლორიტოიდი, პუმპელიტი, არაგონიტი.

გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის დაბალტემპერატურული საზღვარი მწვანე ფიქლების ფაციესის ქვედა საზღვარზე კიდევ უფრო დაბალია. მკვლევართა დიდი ნაწილის მიხედვით იგი $200^{\circ}C$ -მდე ეცემა. ამ დონეზე აღსანიშნავია Ca -ცეოლითების და პრენიტის ლავსონიტით ჩანაცვლება და კოლინიტისა და მონტმორილონიტის გაქრობა. ფაციესის მაღალტემპერატურული საზღვარი, ისევე, როგორც მწვანე ფიქლების, დაფიქსირებულია მეტაბაზიტებში წონასწორული რქატყუარის განვითარებით, ხოლო მეტაპელიტებში – სტავროლითის, სუფთა ალმანდინის და ბიოტიტის გაჩენით. აღარ გვხვდება ლავსონიტი და ჟადეიტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვნად განსხვავებულია მკვლევართა შეხედულება გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის ტემპერატურული პირობების შესახებ. სახელდობრ, ფ. ტერნერის და გ. ფერხუგენის (Тернер, Ферхуген, 1961) მიხედვით იგი $300-400^{\circ}C$ ინტერვალშია, ს. ბრაუნისა და სხვ. (Brown et al., 1962) მონაცემებით – $200-300^{\circ}C$ მოიცავს, ს. ესენის და სხვ. (Essene et al., 1965) წარმოდგენით – $150-300^{\circ}C$ ესადაგება. პ. ტაილორი, რ. კოლემანი (Taylor, Coleman, 1968) და ვ. ერნსტი (Ernst et al., 1970; Эрнст, 1970) ჟანგბადის იზოტოპური თერმომეტრის გამოყენებით ასხვავებენ გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის დაბალტემპერატურულ – $200-250$ -დან $300-330^{\circ}C$ -მდე (შესაძლებელია $400^{\circ}C$ -მდეც კი) და მაღალტემპერატურულ ($400-450^{\circ}C$) ჯგუფებს. ამ უკანასკნელს აკუთვნებენ ეპიდოტ-გრანატ-გლაუკოფანიან სახეობებს და გლაუკოფანიზებულ ეკლოგიტებს.

ბ. დობრეცოვი (Добрецов и др., 1974) მეტაბაზიტებსა და მეტაპელიტებში გამოყოფს გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესში შვიდ სუბფაციესს: ალბიტ-ლავსონიტური სუბფაციესი, კროსიტ+ვინჩიტური სუბფაციესი, გლაუკოფან-ეპიდოტ-ქლორიტოიდული სუბფაციესი, პუმპელიტ-ლავსონიტ-გლაუკოფანური სუბფაციესი, ეპიდოტ-ლავსონიტ-გლაუკოფანური სუბფაციესი, ჟადეიტ-გლაუკოფანური სუბფაციესი, ალმანდინ-ლავსონიტური სუბფაციესი.

ა. მიაშირო (Миясиро, 1976) გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესში გამოყოფს მაღალი წნევის ტიპურ და არატიპურ სერიებს. პირველს მიეკუთვნება გლაუკოფანიანი ასოციაცია ჟადეიტი+კვარცთან ერთად, ხოლო მეორეში ჟადეიტი+კვარცი არ გვხვდება.

ა. მარაკუშევი (Маракушев, 1965, 1968) ვარაუდობს, რომ გლაუკოფანიანი ფიქლები წარმოიშობა მხოლოდ ნატრიუმიანი მეტასომატოზის შედეგად და სავალდებულო არ არის მაღალ-


ლი წნევა. დღეისათვის საყოველთაოდ მიღებულია გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის განვითარება მაღალი წნევის პირობებში ნატრიუმის მქონე მქონე მქონე მქონე მქონე (Ernst et al., 1970; Добрецов, 1973; Винклер, 1979 Мясиро, 1974 და სხვ.).

გ. ბარანოვა (Баранов, Кропачов, 1976) პირველმა დაადგინა გლაუკოფანი ბენასინის მეტამორფულ კომპლექსში. იგი მიუთითებს ამ მინერალის ლოკალურ გავრცელებაზე მხოლოდ შაუკოლის ტექტონიკური ზეწრის საგებში. გ. ბარანოვის მიხედვით გლაუკოფანის გაჩენა განაპირობა შარიაჟული მოვლენების დროს განვითარებულმა მაღალმა წნევამ. მოგვიანებით Na – ამფიბოლების ($Na_2O \approx 4,3\%$), ფენგიტის და Fe-Mn-Ca გრანატების ფართო გავრცელების გამო, ბენასინის მეტამორფული კომპლექსის წნევის პირობები შეფასებულ იქნა, როგორც ზომიერი (4,5-5კბარი) და ამაღლებული (6,5-7,5კბარი) ბარული ტიპი (Шенгелиა, Попорадзе, Потапенко, 1991; Попорадзе, 1993; Шенгелиა и др., 1998; Цуцунаვა, 2005).

ზემოთ თქმულის საფუძველზე ბენასინის კომპლექსი მაღალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობების მიხედვით მიეკუთვნება ა. მიაშიროს (Мясиро, 1976) არატიპურ გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესს, რომელშიც განვითარებულია ამ ფაციესისთვის დამახასიათებელი მინერალები – გლაუკოფანი, კროსიტი, ბარუაზიტი, ფეროედენიტი, ეკერმანიტი, ვინჩიტი, პარაგონიტი, ფენგიტი, ქლორიტი, ეპიდოტი, ალბიტი, მაგრამ არ გვხვდება ჟადეიტი+კვარცი, ასევე ლავსონიტი და პუმპელიტი. ჰ. ტაილორის, რ. კოლემანის (Taylor, Coleman, 1968) და ვ. ერნსტის (Ernst et. al., 1970; Эрнст, 1970) კლასიფიკაციით მდ. ყუბანის აუზის გლაუკოფანის შემცველი მეტამორფიტები მიეკუთვნება მაღალტემპერატურულ ჯგუფს და წარმოდგენილია ეპიდოტ-გრანატ-გლაუკოფანიანი სახეობებით. ნ. დობრეცოვისა და სხვ. (Добрецов и др., 1974) გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის კვარცის შემცველი კრიტიკული მეტაბაზიტური და მეტაპელიტური ასოციაციების მიხედვით ჩვენ მიერ შესწავლილი მეტამორფიტები მიეკუთვნება კროსიტ-ვინჩიტურ და გლაუკოფან-ეპიდოტ-ქლორიტოიდულ სუბფაციესებს, მაგრამ შესწავლილ მინერალურ ასოციაციებში ქლორიტოიდი არ არის წარმოდგენილი, რაც ქანის ქიმიზმით – დაბალი თიხამიწიანობით აიხსნება. კერძოდ, ფაციესისთვის დამახასიათებელი გლაუკოფანი+ქლორიტოიდის, ალბიტ+ქლორიტოიდ+აქტინოლითის და ალბიტ +ქლორიტოიდის ნაცვლად, ჩვენ შემთხვევაში, შესაბამისად, განვითარებულია ქლორიტი+ პარაგონიტი, გლაუკოფანი+ეპიდოტი და პარაგონიტი+ქლორიტი, ასევე პარაგონიტი+რქატყუარა+ ქლორიტოიდის მაგივრად გვხვდება წონასწორული ასოციაცია – გლაუკოფანი+ეპიდოტი. ასევე ლავსონიტ+ჟადეიტის, ალბიტ+ლავსონიტის და ლავსონიტ+აქტინოლითის ნაცვლად განვითარებულია, შესაბამისად, კლინოციოზიტი+პარაგონიტი+კვარცი, პარაგონიტი+ეპიდოტი და ეპიდოტი+ქლორიტი. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია დ. გრინის (Green, 1968) მონაცემები, სადაც მითითებულია, რომ მაღალი წნევის პირობებში ადგილი აქვს რეაქციებს: ლავსონიტი+ჟადეიტი=კლინოციოზიტი+პარაგონიტი+კვარცი+H₂O და ლავსონიტი+ალბიტი=კლინოციოზიტი+პარაგონიტი+კვარცი+H₂O. ასევე ჰ. ვინკლერის (Винклер, 1979) მიერ დაფიქსირებულია რეაქციები: ლავსონიტი+ქლორიტი=კლინოციოზიტი+ალუმინით მდიდარი ქლორიტი+კვარცი+H₂O და ლავსონიტი+კალციტი=კლინოციოზიტი+CO₂+H₂O.

მიკროსკოპული და მიკროზონდური შესწავლის საფუძველზე მდ. ყუბანის აუზის მეტამორფიტების წონასწორული მინერალური ასოციაციები დავითანეთ T-P კოორდინატების დიაგრამაზე, სადაც მოცემულია Na₂O-CaO-(Mg,Fe)O+Al₂O₃+(xSiO₂+H₂O) სისტემის მინერალური წონასწორობები, ხოლო P_{H₂O}=P საერთო ეყრდნობა ექსპერიმენტებისა და გაანგარიშების მონაცემებს (ნახ.). დიაგრამიდან ჩანს, რომ შესწავლილი მეტამორფიტების განვითარების არე მოიცავს

გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესს და გლაუკოფანიანი ფიქლებისა და მწვანე ფიქლების ფაციესებს შორის გარდამავალ ველსაც. წნევის ინტერვალი $\approx 7-14$ კბარის ფარგლებშია; ტემპერატურა უპირატესად $400-500^{\circ}\text{C}$ განისაზღვრება, მაგრამ არ გამოვრიცხავთ უფრო მაღალ, ნაკლებად – დაბალტემპერატურულ პირობებსაც.



NaO-CaO-(Mg;Fe)O-Al₂O₃(+SiO₂+H₂) სისტემის მინერალური წონასწორობები P_{H₂O}=P_{საერთო} დროს, ექსპერიმენტული და გამოთვლითი მონაცემების მიხედვით
 - პუნქტი - სავარაუდო ან სადისკუსიო წონასწორობების ხაზები, შტრიხ-პუნქტი - მეტამორფიზმის კინეტიკური ზღვარი. წერტილებით ნაჩვენებია მწვანე ფიქლების ფაციესიდან გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესში გარდამავალი P-T ველი. რგოლიანი განშტოებები განეკუთვნება სრულ სისტემებს (ოთხი ვირტუალური კომპონენტით), დანარჩენი განშტოებები ეკუთვნის კერძო სისტემებს (ავტორების მიერ ბენასინის მეტამორფულ კომპლექსში დადგენილი პარაგენეზისები დიაგრამაზე მოცემულია მსხვილი შრიფტით)

როგორც ცნობილია, ბენასინის მეტამორფული კომპლექსი უთანხმოდ გადაფარულია სი-ლურ-ორდოვიციული ურლემის წყებით, რომელსაც გაცდილი აქვს მხოლოდ ანქიმეტამორფიზმი. ბენასინის უკვე მეტამორფიზირებული კომპლექსის მეტამორფიზმები გაკვეთილია კალედონური (ბესკეს-მუშტას) და გვიანპროტოზოიკული (მალკისა და ყუბანის) გრანიტიდებით. გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესისათვის არ არის დამახასიათებელი გრანიტული მაგმატიზმი. ზემოთ თქმულის საფუძველზე მაღალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის რეგიონალურ მეტამორფიზმს ბაიკალური ეპოქის ტექტოგენეზს ვუკავშირებთ.

დასკვნა

ამრიგად, ბენასინის კომპლექსის გლაუკოფანიანი მეტამორფიტები მიეკუთვნება არატიპურ გლაუკოფანიანი ფიქლების ფაციესის მაღალტემპერატურულ საფეხურს, განვითარებულია შიგა კონტინენტურ პირობებში და განცდილი აქვს ბაიკალური დაბალგრადიენტული და მაღალი წნევის პროგრადული რეგიონალური მეტამორფიზმი.

ლიტერატურა

1. Баранов Г.И., Кропачев С.М. Стратиграфия, магматизм и тектоника Большого Кавказа на докембрийском и палеозойских этапах развития. – В кн.: Геология Большого Кавказа. М.: Недра, 1976. С. 45-154.
2. Винклер Г. Генезис метаморфических пород. М.: Недра, 1979.
3. Добрецов Н.Л. Глаукофансланцевые и эклогитглаукофансланцевые комплексы сес. Иркутск.: Недра, 1974. С 429.
4. Маракушев А.А., Проблемы минеральных фаций метаморфических и метасоматических горных пород. М.: Наука, 1965.
5. Маракушев А.А. Термодинамика метаморфической гидратации минералов. М., 1968.
6. Миясиро А. Метаморфизм и метаморфические пояса. М.: Мир, 1976.
7. Попоразде Н.Г. Амфиболы из метаморфитов Большого Кавказа и Закавказского срединного массива. Дисс. Тбилиси, 1993.
8. Тернер Ф., Ферхуген Дж. Петрология изверженных и метаморфических пород. М., 1961.
9. Цуцунава Т.Н. Низкотемпературный региональный метаморфизм Кавказа. Дисс. Тбилиси, 2005.
10. Шенгелиа Д.М., Заридзе Г.М., Чичинадзе Г.Л., Баранов Г.И. Метаморфические формации Большого Кавказа. Объяснительная записка к «Карте метаморфических формаций кристаллического фундамента Большого Кавказа масштаба 1:200000». Тбилиси: Изд-во Технич. университета, 1998. -108 с.
11. Шенгелиа Д.М., Кориковский С.П., Чичинадзе Г.Л., Мгалоблишвили И.З., Кахадзе Р.Г., Попоразде Н.Г., Сомин М.Л., Потапенко Ю.Я., Кецховели Д.Н., Окросцваридзе А.В., Шенгелиа М.Д., Цуцунава Т.Н., Герасимов В.Ю., Перчук А.Л. Петрология метаморфических комплексов Большого Кавказа. М.: Наука, 1991. -232 с.
12. Эрнст У.Г. Распределение элементов в тектонических включениях голубых сланцев из серпентинитов в калифорнийских береговых хребтах и дискуссия о

- ტექtonიკე голубых сланцев //Проблемы петрологии и генетической минералогии. Сб., посвящ. 60-летию В.С. Соболева. М.: Наука,1970.
13. Brown W.H., Fyfe W.S., Turner F.J. 1962, Aragonite in California glaucophane schists and kinetics of the aragonite-calcite transformation, *J. Petrol*, 3 №3, 566-582.
14. Coleman R.G. 1971. Plate tectonic emplacement of upper mantle peridotites along continental edges. *J. geophys. Res.* 76. 1212-1222.
15. Essene E.J. Fyfe W.S., Turner F.J. 1965. Petrogenesis of Franciscan glaucophane schists and associated metamorphic rocks, California, *Beitz, Mineral and Petrog.* 11., №7, 695-704.
16. Ernst W.G., Tecnic contact between the Franiscan melange and the Great Walley Sequence-crystal expression a late Mesozoic Benioff Zone. *J. Geophys. Re.*, 1970, v.75.
17. Green D.H. *Am. Mineral Petrol.* 1968, 18. 17-42.
18. Miyashiro A. 1976. Orogene, regional metamorphism and magmatism in the Japanese Islands *Meddl. Dansk Geol.Fros*17.
19. Taylor H.P. Coleman R.G. 1968 $^{18}O/^{16}O$ ratios of coexisting minerals in glaucophane-bearing metamorphic rocks. *Geol. Soc. Amer. BULL.*, 79, №12, 1727-1756.

საქართველოს კარაგანული და კონკური ნალექების სტრატობრაფიისათვის

წარდგენილია საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. თოფჩიშვილის მიერ

Key words: stratigraphy, Mollusk fauna, Paratetis.

Abstract: For the stratigraphy of Karaganian and Konkian Sediments of Georgia

Despite several geologists' opinion our new field and paleontological investigation data absolutely confirm stratigraphical chart of Karaganian and Konkian sediments given by E. Jgenti (1991), which is as follows: Karaganian region layer is subdivided into two sublayers: Arkhashenian and Varnian. An independent Kartvelian stratum — in Khobi and Mukhuri sublayers. As for Konkian, it is subdivided into Sartaganian and Veselianskian sublayers.

შესავალი



სოფიო ხუციშვილი,
საქ. მეც. აკადემიის აღ.
ჯანელიძის სახ. გეოლოგიური
ინსტიტუტის უმცროსი
მეცნიერი თანამშრომელი

აღმოსავლეთ პარატეთისის ფარგლებში ფართოდ გავრცელებული კარაგანული და კონკური ნალექების ბიოსტრატობრაფიის რიგი საკითხები დღემდე დავის საგნად რჩება. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს ტერიტორია წარმოადგენს, სადაც აღნიშნული წარმონაქმნები (50-600 მ-მდე) მონაწილეობს ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქის (ე. გამყრელიძე, 2000) თითქმის ყველა გეოტექტონიკური ერთეულის აგებულებაში. პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ ძალიან ცოტაა ისეთი სრული ჭრილი, სადაც ზემოხსენებული რეგიოსართულები მთელ სისქეზე კარგად იყოს პალეონტოლოგიურად დახასიათებული. კიდევ უფრო ძნელია საკუთრივ სართაგანული ასაკის ნორმულ-ზღვიური ფაუნის მოპოვება. ამიტომ ყოველი გაშიშვლება, რაც უნდა ფრაგმენტული იყოს, პალეონტოლოგიური თვალსაზრისით, მკვლევართა შორის დიდ

ინტერესს იწვევს.

ძირითადი ნაწილი

2003-2005 წწ. საველე სამუშაოების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხარაგაულის რაიონის სოფ. სერბაისის ტერიტორიაზე მდებარე შუამიოცენურის ჭრილმა, რომელიც პირველად დეტალურად შეისწავლა ე.ჟღენტმა (1958), ხოლო შემდგომში ლ. ბიძინაშვილმა (1971), რომელმაც საკმაოდ მდიდარი ქართველური და სართაგანული ასაკის მოლუსკური ფაუნა მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა შრეშრეზე შედგენილმა ჭრილმა საშუალება მოგვცა შეგვეგრძობინა დამატებითი პალეონტოლოგიური მასალა, რომელშიც ზოგიერთ სახე საქართველოში დღემდე არ იყო ცნობილი, რის საფუძველზეც ვეცადეთ დაგვეზუსტებინა განსახილველი რეგიოსართულების ურთიერთდამოკიდებულება, საზღვრები და მოცულობები.

მეცნიერება - ბიოლოგია - SCIENCE

ქვემოთ მოგვყავს ჩვენ მიერ შედგენილი ჭრილის დეტალური აღწერა (ქვემოდან ზემოთ):

1. მსხვილმარცვლოვანი, სქელშრეებრივი, მოყვითალო ფერის მკვრივი ქვიშაქვები, კირქვის თხელი შუაშრეებით. ქვიშაქვებშიც და კირქვებშიც გაფანტულია სხვადასხვა ზომის *Spaniodontella pulchella* (Baily), რომლებიც დასტის სხვადასხვა დონეზე ლუმაშელებს ქმნიან..... 9 მ
 ხ ა რ ვ ე ზ ი 20 მ
2. მსხვილმარცვლოვანი, მოყვითალო-ყანგისფერი მკვრივი არამკაფიოდ შრეებრივი ქვიშაქვები, რომელშიც შევაგროვეთ *Savanella* (=Spaniodontella) *andrussovi* (Toula), *Spaniodontella pulchella* (Baily).....1,5 მ
 ხ ა რ ვ ე ზ ი 60 მ
3. მკვრივი, მოყვითალო ფერის მასიური ქვიშაქვები, რომლის ქვედა ნაწილში მიმოფანტულია *Euxinibarnea* sp.-ის ნიჟარები, ხოლო ზედა ნაწილში ლუმაშელის ლინზებში აღმოჩნდა *Euxinibarnea* (=Barnea) *pseudoustjurtensis* (Bog.), *E.*(=Barnea) *ustjurtensis* (Eichw.)2,5 მ
4. მუქი ნაცრისფერი შრეებრივი მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები..... 3 მ
5. მუქი ნაცრისფერი მოყვითალო სუსტად კარბონატული ქვიშაქვა, რომელშიც აღინიშნება შემდეგი სახეები: *Cardium* (*Plicatiforme*) *praeplicatum* (Hilb.), *Venus basteroti* (Desh.), *Chama gryphoides* (L.), *Oxistele orientalis* Cossm. et Peir., *O. orientalis serbaisensis* Zhg 1 მ
6. მუქი ნაცრისფერი კარბონატული ქვიშაქვებიდან ჩვენ მიერ განისაზღვრა – *Cardium andrussovi* (Sok.), *C. baranovense* (Hilb.), *C. (Acanthocardia) praechinatum* (Hilb.), *C. ex gr. hispidiforme* (David.), *C. platovi* (Bog.), *Oxistele orientalis* Cossm. et Peir., *O. orientalis serbaisensis* Zhg..... 2,2 მ
7. მუქი ნაცრისფერი კარბონატული ქვიშაქვა, რომელშიც აღმოჩნდა *Cardium platovi* (Bog.), *Venus basteroti* (Desh.), *Lutraria lutraria* (L.), *Tellina* (*Peronidia*) *planata* (L.), *Pitar italica* (Defr.), *Chama gryphoides* (L.), *Oxistele orientalis* Cossm. et Peir., *O. orientalis serbaisensis* Zhg., *Natica* (*Nacca*) *millepunctata tigrina* (Defr.) 1,1 მ
8. მოყვითალო-მონაცრისფრო კარბონატული ქვიშაქვა, შემდეგი განამარხებული ფორმებით: *Pitar italica* (Defr.), *Chlamys multistriata* (Poli.), *Oxistele orientalis* Cossm. et Peir., *O. orientalis serbaisensis* Zhg..... 2 მ
9. მოყვითალო-მონაცრისფრო კარბონატული სქელშრეებრივი ქვიშაქვები 2 მ
 ხ ა რ ვ ე ზ ი 12 მ
10. მოთეთრო ფერის სქელშრეებრივი (თითქმის მასიური) მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, ოლითური ქვიშის კირქვების ლინზებითა და შუაშრეებით. დასტა მდიდარია ორსაგდულიანების დეტრიტუსით 28 მ
11. იგივე, რაც დასტა 10, რომლის უკიდურეს ზედა ნაწილში ვნახეთ სარმატული გასტროპოდების ჰაბიტუსის *Gibbula*-ს წარმომადგენლები 2 მ

აღწერილ ჭრილში დასტა 1 (იხ. ნახ.) თითქმის მთელ სისქეზე შეიცავს ქვედა კარაგანულიათვის (არხაშენის შრეები) დამახასიათებელ *Spaniodontella pulchella* Baily-ს და ამ ფაუნის შემცველი ქვიშაქვების ადრეკარაგანული ასაკი არავითარ ეჭვს არ იწვევს. თანხმობით განლაგებულ მე-2 დასტაში, რომელიც მსგავსი ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი, *Spaniodontella pulchella* Baily - ს გვერდით ჩნდება *Lutetiidae* - ების ახალი გვარის *Savanella* Zhg.-ის წარმომადგენელი - *Savanella* (=Spaniodontella) *andrussovi* (Toula). უკანასკნელი, როგორც წესი, რეგიონსართულის უკიდურეს ზედა შრეებთან არის დაკავშირებული და, ე. ჟღერტის (1976) მო-

მეცნიერება - გეოლოგია - SCIENCE

ნაცემებით, გვიან კარაგანულის (ვარნული) დასაწყისზე მიგვანიშნებს. მე-3 დასტის ქვედა შრეებში აღინიშნება Pholadidae-ების ნიჟარები, რომელთა დაცულობა არ გვაძლევს საშუალებას

დასტის №	სიმაღლე, მ.	ლითოლოგიური სვეტი	ორსაგდულიანების მოლუსკური ფაუნა	რეგიონ-სართული
11	2,0		Gibbula sp.	სარმატული
10	28			ვესელანკური (?) ს ა რ თ ა გ ა ნ უ ლ ი კ ა კ უ რ ი
9	14			
8	2,0		Pitar italica (Defr.), Chlamys multistriata (Poli), Oxistele orientalis Cossm. et Peir., O. orientalis serbaisensis Zhg.	
7	1,1		Cardium platovi (Bog.), Venus basteroti (Desh.), Lutraria lutraria (L.), Tellina (Peronidia) planata (L.), Pitaria italica (Defr.), Chama gryphoides (L.), Oxistele orientalis Cossm. et Peir., O. orientalis serbaisensis Zhg. Natica (Nacca) millepunctata tigrina (Defr.),	
6	2,2		Cardium andrussovi (Sok.), C. baranovense (Hilb.), C. (Acanthocardia) praeachinatum (Hilb.), C. ex gr. hispidiforme (David.), C. platovi (Bog.), Oxistele orientalis Cossm. et Peir., O. orientalis serbiasensis Zhg.	ს ა რ თ ა გ ა ნ უ ლ ი
5	1,0		Cardium (Plicatiforme) praeaplicatum (Hilb.), Venus basteroti (Desh.), Chama gryphoides (L.), Oxistele orientalis Cossm. et Peir., O. orientalis serbiasensis Zhg.	
4	3,0		(მუხურის შრეები) ?	ქართველური
3	2,5		Euxinibarnea (=Barnea) pseudoustjurtensis (Bog.), E. (=Barnea) ustjurtensis (Eichw.), Euxinibarnea sp. (ზობის შრეები)	
	60			კარაგანული
2	1,5		Spaniodontella pulchella (Baily), Savanella (=Spaniodontella) andrussovi (Toula) (ვარნული შრეები)	
1	29		Spaniodontella pulchella (Baily) (არხაშენის შრეები)	ჩოკრა-კული
	25		Nuculana sp. Ervilia sp. Abra sp.	

კარაგანული და კონკური ნალექების სტრატეგრაფიული სქემა

მეცნიერება

ბიოლოგია

SCIENCE

ისინი სახეობამდე განვსაზღვროთ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ენდემური გვარის ასეთი სიმრავლე მხოლოდ ქართველური რეგიოსართულისათვის არის დამახასიათებელი (ლ. დავითაშვილი, 1930). ამავე დასტის ზედა ნაწილში ჩვენ ვნახეთ *Euxinibarnea (=Barnea) pseudoustjurtensis* (Bog.) და *E. (=Barnea) ustjurtensis* (Eichw.). ეს ფორმები ქართველურის ქვედა ქვესართულის (ხობის შრეები) სახე-ინდექსებად არის მიჩნეული (ე. ჟღენტი, 1976). რაც შეეხება ქართველურის ზედა ქვესართულს (მუხურის შრეები), ჩვენ მიერ აღწერილ ჭრილში იგი უნამარხო მეოთხე დასტის ქვიშაქვებითაა წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ე. ჟღენტის (1976) მონაცემებით, ჩაკეტილი აუზის ახალი ენდემური ბინადარი - *Euxinibarnea Zhg.* წარმოიშვა კარაგანული *Barnea (Anchomasa) ujraticum* Andrus.-ის ფილოგენეტიკური განვითარების გზით და მხოლოდ ქართველური რეგიოსართულით შემოიფარგლება.

აღწერილი ჭრილის მოლუსკურ კომპლექსებში მკვეთრი ცვლილება შეინიშნება სტრატეგრაფიულად ზემოთ (დასტები 5-8), სადაც შრეები სრულიად განსხვავებულ, საკმარისად მდიდარ და მრავალფეროვან მოლუსკურ სახეებს შეიცავს, რაც უთუოდ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიური პირობების შეცვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ფაუნის საერთო ხასიათი და ნორმულ-ზღვიური ფორმების სიჭარბე აშკარად მიუთითებს ზღვის მარილიანობის ოკეანურთან მიახლოებაზე. სწორედ ასეთი მაკრო- და მიკროფაუნის ტიპის კომპლექსებია დამახასიათებელი (ბ. ჟიჟინკო, 1959; რ. მერკლინი და ლ. ნევესკაია, 1955; ე. ჟღენტი, 1991; კრამენინიკოვი და სხვ. 2003; ლ. ნევესკაია და სხვ. 2004) სართაგანული რეგიოსართულისათვის, რაც ჩვენ მიერ აღწერილ ჭრილში მოყვანილი მოლუსკური სახეობებითაც დასტურდება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 5 –6 დასტებში განსაზღვრული მოლუსკებიდან კარდიუმების 4 სახეობა (*Cardium (Plicatiforme) praeeplicatum* (Hilb.), *C. baranovense* (Hilb.), *C. hispidiforme* (David.), *C. platovi* (Bog.)) და *Lutraria lutraria* (L.) პირველად აღნიშნული პარატეთისის სართაგანულ ნალექებში.

ნამდვილი ოკეანური ჰიდროლოგიური რეჟიმი მყარდება უფრო მოგვიანებით (დასტა 7), რაც მტკიცდება ქვიშაქვებში ე. ჟღენტისა (1958) და ჩვენ მიერ ნანახი ისეთი დიდტანიანი პოლიჰალური ფორმებით, როგორცაა - *Tellina (Peronidia) planata* (L.), *Lutraria lutraria* (L.), *Pitar italica* (Defr.), *Chlamys multistriata* (Poli) და სხვ.

სტრატეგრაფიულად ზემოთ (დასტა 8) მოლუსკური ფაუნის კომპლექსი ისევ ღარიბდება (რჩება მხოლოდ 4 სახეობა), ისპობა ორსაგდულიანების თითქმის ყველა დიდტანიანი წარმომადგენელი, რაც არ შეიძლება არ აიხსნას ზღვის მარილიანობის ხელახალი დაქვეითებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფაუნის ოთხივე სახეობა სართაგანული ქვესართულისთვისაა დამახასიათებელი.

მომდევნო მე-9 და მე-10 დასტები, თუ არ ჩავთვლით მოლუსკების დეტრიტუსს, პრაქტიკულად უნამარხოა, ხოლო, რაც შეეხება მე-11 დასტას, აქ შრენარის მთელ სისქეზე სარმატული იერის *Gibbula (Trochus)*-სების წარმომადგენლები დაფიქსირდა.

ზემოსხენებულ ჭრილში მართალია პალეონტოლოგიურად არ დასტურდება ვესელიანკური ქვესართული, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ კონკურსა (სართაგანი) და სარმატულ ნალექებს შორის თანხმობით განლაგებული 42 მ სისქის ქვიშაქვების შრენარი (დასტები 9-10), სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ვესელიანკური ქვესართულის დონეს იკავებდეს.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოფ. სერბაისის გეოლოგიური ჭრილის ანალიზის საფუძველზე კარაგანული და კონკური რეგიოსართულების ურთიერთდამოკიდებულებისა და სტრატოტიფიცირების სურათი შემდეგნაირად წარმოდგება:

კარაგანული რეგიოსართული (ე. ჟღენტი, 1976) იყოფა ორ ქვესართულად: ქვედა - არ-ხაშენის და ზედა - ვარნული. პირველისათვის დამახასიათებელია ჩაკეტილი აუზის *Spaniodontella pulchella* Bailly, მაშინ, როცა ზედა ქვესართულისათვის - ნორმულ-ზღვიური ახალი გვარის *Savanella* Zhg. (*Savanella andrussovi* (Toula))-ს წარმომადგენლები. ეს თანამიმდევრობა შესანიშნავად ჩანს ზემოაღნიშნულ ჭრილშიც.

მომდევნო ქართველურ რეგიოსართულს ზოგი მკვლევარი ადრე და დღესაც (მერკლინი, 1953; კრაშენინიკოვი და სხვა, 2003) s.l. კონკურის ქვესართულად მიიჩნევს. ე. ჟღენტის (1976) მონაცემებით, ეს სტრატონი *Pholadiidae* - ების სრულიად განსხვავებული ენდემური გვარის - *Euxinibarnea* Zhg. შემცველობის გამო უნდა განვასხვავოთ მიმდებარე ნალექებისაგან. უფრო მეტიც, ამ გვარის ფილოგენეტიკური განვითარების ეტაპებზე დაყრდნობით ე. ჟღენტი აღნიშნულ სტრატოტიფიკაციულ ერთეულს ორად ჰყოფს: - ქვედა ხობის შრეები (დამახასიათებელი *Euxinibarnea ustjurtensis* (Eichw.)) და ზედა მუხურის შრეები (*Euxinibarnea cubarica* (Zhizh.)).

ჩვენ მიერ აღწერილ ჭრილში მხოლოდ ხობის შრეების პალეონტოლოგიური დადასტურება მოხერხდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ უკანასკნელსა და სართაგანულ ქვესართულებს შორის დასტა 4 მუხურის შრეს შეესატყვისებოდეს.

განხილულ ჭრილში სართაგანული ქვესართულის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს იმ მდიდარი ნორმულ-ზღვიური მოლუსკური ფაუნის გამო, რომელიც ჯერ ე. ჟღენტის (1958) და ლ. ბიძინაშვილის (1971), ხოლო შემდეგ ჩვენ მიერ იქნა მოპოვებული. ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ხსენებულ უბანში ვესელიანკური შრეების ფაუნისტური დადასტურება, მაგრამ გამორიცხული არ არის კონკურის ამ ქვესართულის აღწერილი მე-9-10 დასტების ფარგლებში არსებობა, სართაგანული ფაუნის შემცველ შრეებსა და სარმატული იერის *Gibbula*-ების შემცველ შრეებს შორის.

ამრიგად, დღეისათვის კარაგანული და კონკური ნალექების სტრატოტიფიკაციული სქემა აღნიშნული მკვლევარებისა და ჩვენი მონაცემებით წარმოგვიდგება ისე, როგორც ეს თანდართულ გეოქრონოლოგიურ სქემაზეა წარმოდგენილი.

ლიტერატურა

1. Бидзинашвили Л. М. Моллюсковая фауна среднего миоцена южной части Имеретии и ее стратиграфическое значение // Тр. ВНИГНИ, вып. сxv. М.: Недра, 1971, с. 40-51.
2. Давиташвили Л. Ш. О конкском горизонте Грузии // Аз. нефт. хоз. №10 (106), 1930, с.1-3.
3. Жгенти Е. М. Развитие моллюсковой фауны конкского горизонта Грузии // Труды Института палеобиологии, 1958. -116 с.

მეცნიერება

-

ბიოლოგია

-

SCIENCE

4. Жгенти Е. М. Лютецииды среднего миоцена, их эволюция и стратиграфическое значение // Труды Института палеобиологии. Тбилиси: Мецниереба, 1976. -127 с.
5. Жгенти Е. М. Эволюция и стратиграфическое значение моллюсковой фауны конкского яруса Грузии //Институт палеобиологии им. Л. Ш. Давиташвили. Тбилиси: Мецниереба, 1991.- 74 с.
6. Жижченко Б. П. Атлас среднемиоценовой фауны Северного Кавказа и Крыма. М.: Гостоптехиздат, 1959. -347 с.
7. Крашенинников В. А., Басов И. А., Головина Л. А. Восточный Паратетис. Тарханский и Конкский региоярусы //РАН Геол. ин-т. Москва: Научный Мир, 2003. -191 с.
8. Мерклин Р. Л. и Невеская Л. А. Определитель двустворчатых моллюсков миоцена Туркмении и Западного Казахстана //Труды Палеонтологического института. Том LIX. Издательство АН СССР, 1955. -115 с.
9. Невеская Л. А. и др. К унифицированной региональной стратиграфической схеме неогеновых отложений южных регионов Европейской части России // Палеонтологический ин-т РАН. Москва, 2004. - 83 с.

თანამგზავრული კავშირგაბმულობა და კოსმოსური გეოლოგია

წარდგენილია საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის ი. გოგუაძის მიერ

Key words: satellite communication, space geology, distance study.

Abstract: Satellite communication and space geology.

The photo - and telephotographs taken from space ships enable to explore zone and global peculiarities of atmosphere, lithosphere, hydrosphere, biosphere and totally the landscape of our planet and determine the supposed location of the mineral resources fields. For this purpose the geological objects distance study method is widely used. Installation of this method allowed to reveal oil, gas, copper and other mineral resources beds and track the geologic section structure directions.

შესავალი



ნ. სოლოლაშვილი,
სტუ-ს კავშირგაბმულობის
ფაკულტეტის მაგისტრანტი

კოსმოსიდან დედამიწის აგეგმვა ხორციელდება ხელსაწყოებით, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროს ფარგლებს გარეთაა. ეს საშუალებას გვაძლევს კოსმოსური სურათებით შევისწავლოთ ატმოსფეროს, ლითოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს და მთლიანად ჩვენი პლანეტის ლანდშაფტის ძირითადი სტრუქტურული, რეგიონალური, ზონალური და გლობალური თავისებურებები. კოსმოსური გადაღებებით მიღებული დედამიწის ზედაპირის სურათები ფართოდ გამოიყენება მეტეოროლოგიაში (ღრუბლიანობის, თოვლის საფარის შესწავლა და სხვა); ოკეანოლოგიაში (დინებების, მეჩხერი წყლის ფსკერის შესწავლა და სხვა); გეოლოგიასა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნაში; მცინვარების, ჭაობების, უდაბნოებისა და ტყეების კვლევისას, სავარგული მიწების აღრიცხვისას და წვრილმასშტაბიანი გეოლოგიური და გეოგრაფიული რუკების შედგენა-განახლებისას; ტერიტორიის ბუნებრივ-სამეურნეო დარაიონების დროს.



ლ. ხითარიშვილი,
სტუ-ს კავშირგაბმულობის
ფაკულტეტის სტუდენტი




გ. კელეპტრიშვილი,
სტუ-ს კავშირგაბმულობის
ფაკულტეტის სტუდენტი

ძირითადი ნაწილი

კოსმოსიდან პირველი სურათები რაკეტებიდან გადაიღეს 1946 წელს; დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან - 1960 წელს; პილოტირებული კოსმოსური ხომალდებიდან - 1961 წელს; ეს იყო "ვოსტოკი", რომელზეც ი. გაგარინი იმყოფებოდა (ნახ. 1). კოსმოსური ხომალდებიდან გამოსახულებების დედამიწაზე გადაცემა წარმოებს რადი-

ოსატელევიზიო სისტემების გამოყენებით.

დედამიწის ორბიტიდან ძებნითი სამუშაოების ჩატარების პრაქტიკაში ფართოდ ინერგება გეოლოგიური ობიექტების დისტანციური შესწავლის მეთოდი. ჯერ კიდევ პირველმა ავიატორებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად რელიეფის წვრილი დეტალები აღარ ჩანს, სამაგიეროდ მწვანე საფარს შორის ჩანს რელიეფის მსხვილი ელემენტები, რომლებიც გამოსახავენ დედამიწის სიღრმულ აგებულებას. აეროგეოლოგები, ზედაპირული ლანდშაფტის ფოტოგრაფირებას და შემდეგ მათ დეშიფრირებას აწარმოებენ სპეციალური ოპტიკური ხელსაწყოებით, შეუძლიათ ზოგიერთი ნაოჭა სტრუქტურების გამოვლენა. ამ ხერხის საფუძველია რელიეფის დამოკიდებულება პლანეტის სიღრმულ აგებულებასთან. გეოლოგიაში იყენებენ ძებნის ახალ მეთოდს - აეროგეოლოგიური აგეგმვა. მან განსაკუთრებით კარგი შედეგი აჩვენა შუა აზიის, დასავლეთ ყაზახეთის და წინაკავკასიის უდაბნოებსა და ტრამალების რაიონებში. მაგრამ აეროფოტოსურათი მოიცავს შეზღუდულ ფართობებს (არა უმეტეს 500-700 კმ²). ეს სავსებით საკმარისია ლოკალური სტრუქტურების გამოსავლენად, მაგრამ უფრო მსხვილი გეოლოგიური ობიექტები შეუმჩნეველი რჩება. ისინი არ ჩანან, თუ ჩვენ უშუალოდ დედამიწის ზედაპირზე ვდგავართ.



ნახ. 1. კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი“

უკანასკნელი წლების განმავლობაში კოსმოსური ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით ფართოდ დაიწყო კოსმოსური ფოტოსურათების გამოყენება გეოლოგიური მიზნებისათვის. ისინი მრავალჯერ აღემატება ავიაციის საშუალებით გადაღებულ აეროფოტოსურათებზე გამოსახულ ფართობებს. ამასთან, აღმოფხვრიან ნიადაგისა და მცენარეული საფარის შემნილბავ გავლენას. რელიეფის დეტალები ლაგდება და დედამიწის ქერქის სტრუქტურების ცალკეული ფრაგმენტები მთლიან ზონებად ერთიანდება. აღმოჩნდა, რომ დანალექი ქანებიც, რომლებიც ფარავენ დედამიწის ზედაპირს არაა დაბრკოლება. ამ ფხვიერ ნალექების მიღმა შეუმჩნეველად გამოანათებს ლითოსფეროს სიღრმული ჰორიზონტები. გაჩნდა ახალი მიმართულება - კოსმოსური გეოლოგია, რომელიც აწარმოებს დედამიწის გეოლოგიური აგებულების დისტანციურ შესწავლას. კოსმოსურ გეოლოგიას აქვს კვლევის მრავალი მეთოდი. ესაა ვიზუალური დაკვირვება, აგეგმვის ფოტო-, ტელე-, სპექტრომეტრიული, ინფრაწითელი, რადარული, აგრეთვე მაგნიტური, რადიაციული, რენტგენული და სხვა სახეები [1-3].

კოსმოსიდან ლანდშაფტის ზედაპირული ელემენტების ვიზუალური დაკვირვებები დაიწყო ი. გაგარინის გაფრენის დროიდან. კოსმონავტებს შესაძლებლობა აქვთ აგრეთვე იმსჯელონ

ზღვის ფსკერის სიღრმეებზე, შეღვების აგებულებაზე, შეარჩიონ ობიექტები შემდგომი დისტანციური შესწავლისათვის. ფოტო- და ტელეაგეგმვა ყველაზე უფრო პერსპექტიულია მაქსიმალური მოცულობის ინფორმაციის მისაღებად. ამ მეთოდის დახმარებით შეიძლება დავინახოთ დედამიწის ძალიან მსხვილი ელემენტები - მეგასტრუქტურები ან მორფოსტრუქტურები. მის სხვა თავისებურებას წარმოადგენს ინტეგრირების ეფექტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა წვრილი და, ერთი შეხედვით, განცალკევებული სტრუქტურების წყება აღვიქვათ, როგორც ერთი მთლიანი გამოსახულება. სპექტრომეტრიული აგეგმვის საშუალებით იკვლევენ ბუნებრივი ობიექტების ელექტრომაგნიტური გამოსახულების სპექტრს სხვადასხვა დიაპაზონის სიხშირეებში. ინფრაწითელი აგეგმვა აფიქსირებს მხოლოდ II - გამოსხივების სპექტრს, დაადგენს დედამიწის რეგიონალურ და გლობალურ თბურ ანომალიებს [4].

რადარული აგეგმვა შესაძლებლობას იძლევა შესწავლილ იქნეს დედამიწის ზედაპირი ღრუბლების საფარის არსებობის მიუხედავად. რადარული გამოსახულების გეოლოგიური ინტერპრეტაცია დაფუძნებულია სურათის ტონის, ტექსტურის, სტრუქტურის გამოხატვის ანალიზზე. მისი სიმკვეთრე დამოკიდებულია დედამიწის რელიეფში გეოლოგიური ობიექტების გამოსახულების ხარისხზე. კოსმოსური სურათების შესწავლის შედეგად გეოლოგებმა ცალსახად გადაწყვიტეს დიდი ხნის დავა - სად ვრცელდება ურალის მთები სამხრეთი მიმართულებით? სიღრმული რღვევების ხაზებმა აჩვენა ეს მიმართულება: შუა აზიის უდაბნოების გავლით ადენის ყურემდე. გამოკვლეულ იქნა აზიისა და აფრიკის ბევრი ძნელად მისაღწევი მთიანი და უდაბნოს რაიონები. სპეციალისტების მიერ აგრეთვე შესწავლილ იქნა აზიის მსხვილი რეგიონები: შუა აზიის უდაბნოები და ნახევრად უდაბნოები, ტიან-შანის, ჰამირის, ჰიმალაის მთიანი რაიონები, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირის ტერიტორიები. კვლევების შედეგად გამოვლინდა ახალი და დაზუსტდა ცნობილი რეგიონალური რღვევები. კერძოდ, კოსმოსიდან მიღებული გამოსახულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა მდ. ობის გასწვრივ გამავალი მსხვილი დაქუცმაცებული ზონის არსებობა. მანამდე აქ რეგიონალური რღვევის არსებობა (შუა ობის რღვევა) საკამათო იყო. გამოკვლეულ იქნა აგრეთვე დასავლეთ ციმბირის - პურსკის რღვევა; ასევე შესაძლებელი გახდა ჰიმალაის წინა მხარის განაპირა გაღუნვის შემოკონტურება; ნაპოვნია რღვევების მსხვილი სისტემის აღმოსავლეთი გაგრძელება, რომელიც კვეთს ინდოეთის ნახევარკუნძულს (ინდის სტრუქტურული ნაკერი); ნაჩვენებია, რომ დასავლეთ ციმბირის ფილაქანი ხასიათდება განსხვავებული ასაკის ბლოკური აგებულებით. კოსმოსური სურათების დახმარებით გაანალიზდა ჩრდილოეთ აფრიკის და არაბეთის დიდი უდაბნოების (საჰარის, ლიბიის, არაბეთის, რუბ-ელ-ხალი), ასევე მცირე აზიის მთიანი რაიონების აგებულება. დადგინდა იქნა სიღრმული რღვევები, რომლებიც სუბგანედურად კვეთს საჰარას (ბახადორის რღვევა); დადასტურდა რღვევების არსებობა არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომლებიც ვრცელდება სპარსეთის ყურის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირის გასწვრივ; ნაპოვნია ცნობილი თალას-ფერგანის რღვევის სამხრეთ-აღმოსავლეთი გაგრძელება, რამაც შესაძლებელი გახდა ახლებურად წარმოედგინათ კუნძულის მთების ძნელად მისაღწევი რაიონის გეოლოგიური აგებულება. გამოვლინდა იქნა ჰიმალაის, ინდოეთის და კოლის ნახევარკუნძულის ზოგიერთი გეოლოგიური თავისებურებები.

კოსმოსური სურათების გამოჩენასთან ერთად გეოლოგების ყურადღება მიიპყრო უზარმაზარმა რგოლებმა, ოვალებმა, რკალებმა, რომლებიც ამ ფოტოსურათებზე გამოდიან ქედების ნაოჭებს შორის და დაბლობებზე დანალექი ქანების წყებებში. ესენია რგოლური სტრუქტურები (ნახ. 2). ისინი დიდ ინტერესს იწვევენ იმიტომ, რომ ამ სტრუქტურების 70%-ზე მეტში ნაპოვნია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეული. ამ სტრუქტურების ზომები განივკვეთში აღწევს ათ-

ობიდან ათასობით კილომეტრამდე. დედამიწის ყველაზე მსხვილ რგოლურ სტრუქტურებს წარმოადგენს ნუკლეარები (ლათ. ნუცლეუს - ბირთვი). სავარაუდოდ 4 მილიარდი წლის წინ დედამიწაზე არსებობდა მთვარისა და მარსის ზღვების ტიპის უზარმაზარი რგოლური აუზები. შემდეგში ნალექების დალექვის, მაგმური და მეტამორფული პროცესების შედეგად მათ ადგილზე წარმოიშვა კონტინენტური მიწის ქერქის პირველი ბირთვები. დღეისათვის ძველი ბაქნების ფარგლებში ცნობილია 33 ნუკლეარი. მათგან ყველაზე მსხვილია ჩრდილო-ამერიკის დიამეტრით 3800 კმ, ხოლო ყველაზე პატარა - 500 კმ.



ნახ. 2. რგოლური სტრუქტურა - რიშატის დაბლობი მავრიტანიაში

კოსმოსურ სურათებზე გამოვლენილი რგოლური სტრუქტურების დიდი ნაწილი დაკავშირებულია მაგმურ პროცესებთან, რომელიც მიმდინარეობს მანტიასა და დედამიწის ქერქში. ყველა კონტინენტებზე ფართოდაა გავრცელებული რგოლური სტრუქტურები, რომელთა წარმოშობა ძირითადად დაკავშირებულია კრისტალური ფუნდამენტის ამოწევა-ჩაწევატანს. დადებითი რგოლური სტრუქტურები წარმოდგენილია ანტეკლიზებით, ხოლო უარყოფითი - სინეკლიზებით.

ეგზოგენური რგოლური სტრუქტურები დაკავშირებულია დედამიწის ზედაპირულ პროცესებთან, რაც იწვევს დედამიწის ქერქის ცალკეული უბნების ჩაჯდომას. ეს სტრუქტურები ჩვეულებრივ არაა დიდი და ხშირად მიუთითებს იქ ტექტონიკური წარმოშობის სიღრმეული რგოლური სტრუქტურების არსებობაზე.

ეს არაა კოსმოსური გეოლოგიის მიღწევების სრული ჩამონათვალი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როგორ დავუკავშიროთ ამ შედეგებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა, კერძოდ, ნავთობისა და გაზის. კოსმოსური და აეროგეოლოგიური კვლევები ვერ აღმოაჩინენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, განსაკუთრებით ეხლა, როცა დედამიწის ზედაპირი მეტ-ნაკლებად შესწავლილია და გეოლოგები ეძებენ საბადოებს, რომელთაც არა აქვთ გამოსავალი დედამიწის ზედაპირზე. კოსმოსური კვლევები გვეხმარება დავადგინოთ გეოლოგიური სტრუქტურები, სადაც შესაძლებელია სასარგებლო წიაღისეულის არსებობა, უკეთ შევიცნოთ დედამიწის ქერქის აგებულების კანონზომიერებები და მათში სასარგებლო წიაღისეულის განლაგება. აქედან გამომდინარე, კოსმოსური გეოლოგია გამოავლენს სპეციფიკურ სტრუქტურებს, ხელსაყრელს,

მაგალითად, ნავთობისა და გაზის დასაგროვებლად. ასეთ სტრუქტურებს, წარმოადგენს რღვევის ზონები.

ამრიგად, კოსმოსური ორბიტიდან აწარმოებენ გეოლოგიურ სტრუქტურაზე ვარაუდის თავისებურ ანალიზს. ეს ეხება არა მარტო ნავთობსა და გაზს. კოსმოსური სურათების დახმარებით შესაძლებელი გახდა, მაგალითად, პაკისტანის ზოგიერთ რაიონში სპილენძის საბადოს არსებობის პროგნოზირება. გეოლოგებმა ნამდვილად აღმოაჩინეს იქ სპილენძის მადნის ბუდობები. ეხლა წარმოვიდგინოთ ძეგნითი სამუშაოების ასეთი თანამიმდევრობა. დასაწყისში გეოლოგები ადგენენ სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების კავშირს გეოლოგიური სტრუქტურების ტიპებთან. გეოლოგიური რელიეფის ნიმუშები, როგორც ეტალონი შეიტანება კომპიუტერის მანსკრობაში. შემდგომში შესწავლილი ტერიტორიის კოსმოსურ სურათებს შეადარებენ ნიმუშებს. ლანდშაფტის უბნები, რომლებიც გარკვეული ნიშნებით ახლოსაა ეტალონთან, აღინიშნება როგორც პერსპექტიულები და ექვემდებარება შემოწმებას. გეოლოგიური ექსპედიციები ატარებენ სავსე კვლევებს და გვაძლევენ საბოლოო დასკვნას.

დასკვნა

კოსმოსური ფოტო- და ტელეგადაღებების პრაქტიკული გამოყენების უახლესი პერსპექტივები დედამიწის სიღრმული აგებულების შესასწავლად და სასარგებლო წიაღისეულის ძებნასთან დაკავშირებულია მრავალარხიანი გადაღებების მქონე ორბიტული სამეცნიერო სადგურ-ლაბორატორიების გაშვებასთან. ეს ზრდის მიღებული ინფორმაციის მრავალფეროვნებას და მოცულობას, უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას, კერძოდ, კოსმოსური სურათების დემიფირებას.

ლიტერატურა

1. Кинг. Э. Космическая геология. М.: Мир, 1979. - 378 с.
2. Кац. Я. Г., Тевелев А. В., Полетаев А. И. Основы космической геологии. М.: Недра, 1988. - 235 с.
3. Макаров В. И. и др. Космическая информация в геологии. М.: Наука, 1982. - 450 с.
4. Гарбук С. В., Гершензон В. Е. Космические системы дистанционного зондирования Земли. М.: Сканекс, 1997. - 296 с.

უპკ 622.24+532.5

გ. ვარშალომიძე, ი. გოგუაძე, ა. ჭიჭინაძე,
 ი. თავლუმაძე, შ. ხარებავა

კოლონგარეთა გამოვლინების ბრიფონებში ან ბართუ- ლებათა სხვა სახეობებში გადასვლის პროგნოზირება სახეობათა გამოცნობის მეთოდით

Key words: out of column, griffon, absorbtion, delay, burst out.

Abstract: Prognosis of he Transition of out of Colomn Symptoms in Griffon or other forms of Complications by means of Recognition method.

The work deals and analyses the out of colomn symptoms in griffon or other forms of complications by forms recognition method. The statistics data of the factual material are obtained from 43 wells of Ninotsminda field. On the basis of training selection the decisive code (DC) is drawn up including: depth of the well (H), depth of the previous colomn (H'), bed pressure (P_n); hydrostatic pressure gradient (P'_n). On the basis of form recognition by Valda method the following is calculated: diognose and information coefficients. As a result griffons of 4 wells and a number of other complications have been revealed including catastrophic absorbtions, considerable delays and outbursts. In particular, on well #100 a catastrophic oil and gas outburst has actually occured. It considerably contaminated the oecology of the region.


შესავალი



გურამ ვარშალომიძე,

საქართველოსა და უკრაინის სა-
 ინჟინრო აკადემიების აკადემი-
 კოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა
 დოქტორი, სტუ-ს №88 კა-
 თედრის გამგე, პროფესორი

ცნობილია, რომ დაცემენტების შე-
 მდეგ კოლონგარეთა გამოვლინებები იწ-
 ვებს გართულებას და მის სხვადასხვა
 სახეობაში გადასვლას, რაც რთული პრო-
 ცესიაა. მისი ლიკვიდაცია დაკავშირებულია
 როგორც ფულად, ასევე დროით ხარჯებ-
 თან. საჭიროა ბრძოლა გართულების ყვე-
 ლა სახეობის მიმართ, რომელიც დაკავში-
 რებულია ღრმა ანალიზთან, რათა შევიც-
 ნოთ მათი წარმოქმნის ძირითადი გეოლო-
 გიურ-ტექნიკური მიზეზები. ე.ი. არსებობს
 შემთხვევითი რაღაც ფაქტორები, რომლე-
 ბიც ხელს უწყობენ კოლონგარეთა გამოვ-
 ლინებებს, რომელიც გადადის გართულებების გარკვეულ სახეობაში.



ირაკლი ბოგვაია,

საინჟინრო აკადემიის საპატიო
 აკადემიკოსი, სტუ-ს №88 კა-
 თედრის პროფ., საერთაშორისო
 ექსპერტი, ახალი ტექნოლოგი-
 ების დანერგვის მონიტორინგის
 პრობლემური ლაბორატორიის
 ხელმძღვანელი



ალექსანდრე ჭიჭინაძე

შპს. „CanArgo Gorgia“-ს
 გენერალური დირექტორი

ასეთ პირობებში ძალზედ პრაქტიკულია
 და ეფექტური გამოვიყენოთ პროცესთა სახეო-
 ბის გამოცნობის მეთოდი, ის მონაცემი,
 რომელიც საბადოზე გაბურღული ჭაბურღი-
 ლების ჟურნალში სტატიკურ-ინფორმაციული
 მონაცემების სახითაა დაგროვილი. ეს მონა-
 ცემები ყოველგვარი მათემატიკური გამოთვლე-
 ბის გარეშე შესაძლოა გამოვიყენოთ კვლევის,
 მსჯელობის საგნად.



ირაკლი თავლუმაძე

შპს. „CanArgo Gorgia“-ს
 მთავარი გეოლოგი

ძირითადი ნაწილი



მაგალავა მარგალიტა
მაგისტრანტი

სახეობათა გამოცნობის მეთოდი შინაარსით წარმოადგენს კვლევის მეთოდს, რომელიც სარეწაო მონაცემების შესასწავლი შერჩევის საფუძველზე დგება ე.წ. გადაწყვეტის წესი (გწ) (ანუ „მასწავლებელი“), რომელიც საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ობიექტის განხილული პროცესების მონაცემები ერთ-ერთ კლასს, ე.ი. პროცესთა გარკვეულ სახეობას.

ერთ-ერთ მარტივს სახეობათა გამოცნობაში, რომელიც არც ისე ძნელია, არის ვალდის თანამიმდევრული დიაგნოსტიკების პროცედურების (ვთდპ) მეთოდი, რომელმაც უკანასკნელ წლებში ფართო გამოყენება პოვა. გვინდა იგი გამოვიყენოთ სანგრევისპირა ზონის კოლონგარეთა გართულებების დიაგნოსტიკებისათვის, რომ შემდგომ გავზარდოთ ბურღვის ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურობა და ამით შევამციროთ გართულებები და ავარიები [1].

განვიხილოთ კოლონგარეთა გამოვლინებების სახეობანი და შემოვიღოთ აღნიშვნები:

განვიხილოთ კოლონგარეთა გამოვლინებების სახეობანი და შემოვიღოთ აღნიშვნები:

გართულებების სახეობები:

1. ჭაბურღილის ჩამოქცევა და ჩამონგრევა – ჭ.ჩ.
2. ქანების გაჯირჯევა და ლულის შევიწროება – საბურღი იარაღის გაჭიანურება და ჩაჭერა – ი.ჩ.
3. გამრეცხი ხსნარის შთანთქმა - უმნიშვნელო, ნაწილობრივი, სრული და კატასტროფული – უ.შთ., ნ.შთ., სრ.შთ., კატ.შთ.
4. ნავთობგაზწყალ გამოვლინება – ნგწ.გამ. – გრიფონი, კოლ.გარ.გამ - ამოსროლა.

გართულების პროგნოზირებისათვის ვალდის თანამიმდევრულ დიაგნოსტიკების პროცედურაში (ვ.თ.დ.პ) გამოვიყენოთ ფაქტიური მასალა, რომელიც აღებულ იქნა 43 გაბურღული ჭაბურღილიდან ნინოწმინდის ფართობზე კომპანია „კანარგო“-დან.

განსაზღვრულ სახეობათა თვისებად ითვლება გართულების ზემოჩამოთვლილი სახეობა, რიგობრიობის ნომრით და პირობითი აღნიშვნით, რომელიც ეყრდნობა დაფიქსირებულ სარეწაო დოკუმენტს: ჭაბურღილის ფაქტიური სანგრევის (H) სიღრმე, წინა კოლონის ჩაშვების სიღრმე (H^1), ფენის წნევა (ρ) და გამრეცხი ხსნარის ჰიდროსტატიკური წნევის გრადიენტის სიდიდე ($\rho_{გრ}^1$).

შესასწავლი შერჩევის პირველი ცხრილი მოიცავს 43 ჭაბურღილის თითქმის ყველა მონაცემს.

შესასწავლი შერჩევის ფაქტიური მონაცემების სია გადამწყვეტ ნიშან-თვისებათა შედგენისათვის

ჭაბ. № და სახეობა	გართულებების № სახეობა	$P^1 \times 10^3$, კა/მ	H^1 , მ	H , მ	ρ , მკა	გართულებების ზონები და ტექნოლოგიური პროცესების პარამეტრები
1	2	3	4	5	6	7
პარამეტ. № 1	2,3, იარაღის ჩაჭ. და შთ.	345 ატმ	1970	2500 3117	302	რეგ. რღვევა - 1750 მ I ნ.შ. - 1730 $\gamma=1,24$ II ი.ჩ. - 380 მ III ი.ჩ. - 3117 მ
სად. №3	რღვევა -1080 მ 2-ი.ჩ.; 3-ი.შ.	365	2723	2860		იარ. შთანთ. 2323 მ.
სად. №4	4-ამოსროლით -2348 $\alpha=1,75$ გრ/სმ ³	710	2968	3493	350	I 3446-3455 მ იარაღი ამოსროლა გაზშემცველი სითხე $\gamma=1,4$ II 2335 მ $\gamma=1,9$ შთ. ინ. შთანთქმა III 2348 ი.შ. $\gamma=1,867$
სად. №5	2 - ი.ჩ. 2565მ.	340 ატმ.	2974	3348	250	რღვევა 12427 2-ი.ჩ. გრ/სმ ³
სად. №7	2 - ი.ჩ.					რეგ. რღვევა 612-1090 მ. ჩამოქცევა ლულის შევიწროება გაჭიანურება 1440 მ
სად. №9	3 - ი.შთ. $\gamma=1,15$, მიღებულ იქნა ბუნებრივი გაზი	220	2370	2825	290	I 2250 მ $\gamma=1,85$ - ი.შთ. II 2325 მ, $\gamma=1,8$ - ი.შთ. III 2380 მ, $\gamma=1,85$ - ი.შთ. IV 2382 მ, $\gamma=1,8$ - ი.ნ.შთ. V 2345 მ, $\gamma=1,9; \gamma=1,1$ ი.შთ.
სდ. №12-3	2 - ი. ჩაჭ. 3 - ი.შთ.	160	1446	2500	185	I 1440 მ შთანთქმა მაიკოპის თიხებში
სად. №15	3 - ინტ. შთ.	290	2390	2740	300	I რღვევა 1590 II 2660-2720 მ ინტ. შთ. $\gamma=1,8$
სად. №16	4 გ. ამოსროლა $\alpha=1,33$ 2409-2411	250	2337	2639	285	ნავთობგაზ-ამოსროლა $\gamma=1,25-1,26$
სად. №18	4 - ნგწგ	330	2781	3256	350	I 1630-1700 გაზგამოყოფა $\gamma=1,84$. II 2660-2940 მ, გაზგამოყოფა
სად. №21	3 - სრ. შთ. 4 - ნგწგ	195	198	2751	485 ატმ	I 2674 მ ინტ. გაზგამოყოფა, ამოსროლა $\gamma=0,8$ გრ/სმ ³ სრ. შთ.
სად. №22	3 - ინტ. შთ.	700	1931	3289	135	I გაზგამოვლინება $\gamma=1,14-1,45$ $\alpha=1,94$
სად. №24	3 - ინტ. შთ.	200	1919	3503	220	ინტ. შთ. 2744 მ. 15 მ ³ , $\gamma=2,02$
სად. №26	4 - ნ/გ ამოსროლა გრიფონი	200	1527	2610	210	I ინტ. შთ. 2495-2500 $\gamma=1,6$ II ინტ. შთ. 2518-2524 $\gamma=1,52$ 15 მ ³ გაზგამოვლინების ზღვარი
სად. №27	4 - გრიფონი 3 - ინტ. შთ.		1883	3000	270	1200-1230 ნ/გ ინტ. გამოვლინება $\gamma=1,5$ მ, შთანთქმა $\gamma=1,14$ გ/სმ ³

გაგრძელება

სად. №28	2 - იარ. ჩაჭ. 3 - სრ. შთ.	150	1470	2656	260 ატმ	I 283 მ ინტ. შთ. გაჭიანურება 1652 მ იარ. ჩაჭ. გაჭიანურება 8 ტ. მეტით შთანთქმა 34 მ ³ 2284 მ
სად. №29	3 - ინტ. შთ. 4 - ნავ. გაზგამო- ვლინება	140	1390	2650	200 ატმ	ინტ. შთანთქმა 2108 მ. $\gamma=1,72$ გაზგამოვლინება
სად. №30	3 - კატ. შთ. 4 - გრიფონი	125	1795	2670	154 ატმ	I 130-170 გაზამოსროლა $\gamma=1,18$ $\gamma=1,72$ II 2360 კატ. შთ. გაზის ფაქტორი, 8200 მ ³ /ტ
სად. №32	4 - გრიფონი 2 - იარ.	45 ატმ	165 1822	175 2920	188 ატმ	I გრიფონწარმოქმნა 165-175 მ. II საბ. იარალის ჩაჭერა 2850 მ. $\gamma=1,03$.
სად. №35	2 - იარ.	200	2051	3384	450 ატმ	ინტ. შთ. 28 მ ³ -40 მ ³ ; $\gamma=1,92$; იარ. ჩაჭ. ნავთობის აბაზანა
სად. №36	2 - იარ.	120	1185	3694	300 ატმ	გამრეცხ სითხესთან ერთად ამოვიდა გაზი 183 მ-ზე $\gamma=1,7-1,92$, შთანთქმა, ჩაჭერა, გაჭიანურება
სად. №38	2 - იარ. 3 - ინტ. შთ.					გართულებების გამო ჭაბურღილი ლიკვიდირებულ იქნა
სად. №42	2 - იარ. ჩაჭ. 3 - ინტ. შთ.	150	1764	2849	290 ატმ	შთანთქმა 104 მეტრზე $\gamma=1,08$ 2830 მ ინტ. შთ.; იარ.
სად. №43	3 - კატ. შთ. 2 - იარ.	160	1510	2751	280 ატმ	სერიოზული გართულება, კატ. შთ. 2731 მ, $\gamma=1,12$. დაუმატეს ხსნარს ბენტონიტი და კაკლის ნაჭუჭი 2,5 ტ და პოლიეთილენი
საექსპლუატაციო დახრილ-იმართუ- ლი, ჰორიზონტალ- ური №46	2 - იარ. 3 - კატ. შთ. გამოიყო 2 ობიექტი I 2850-2800 II 2700-2747	200	1703	2886	250 ატმ	ნაწილობრივი შთანთქმა იარ. ნავთობის აბაზანა. დაუმატეს ტექ. წყალი $\gamma=1,0$. 2886 მ ინტ. შთ. ჩატუმბეს ტამპონი და გაგრძელდა ბურღვა
სად. დახრილ- მიმართული ჰო- რიზონტალური №47	2-გაჭიანურება იარ. 3 - ინტ. შთ. 4 ნვ გამოვლინება	190	1937	2939	290 ატმ	ნაწ. შთ. $\gamma=1,03-1,05$. ტექ. წყალი $\gamma=1,0$ შეცვლილი იქნა სარეცხი სითხით $\gamma=1,05$ 2743-2726 მ. გამრეცხ. სითხის ამოსრო- ლა, ამიტომ იგი დაამძიმეს $\gamma=1,65-1,94$
საექ. დახრილ მიმართ. ჰორიზონ №48	2 -გაჭიანურება 3 - ნაწ. შთ. ჭაბურღილი გამრუდდა აღმოსავლეთით ჰორი- ზონტალურად ნაცვლად დასავლეთის ჰორიზონტისა	200	2070	2720	270 ატმ	გაჭიანურება ნაწილობრივი შთანთქმა 10-10 მ ³ $\gamma=1,92$
სად. №49	3 - ინტ. შთ.	180	1806	2972	295	ინტ. შთ. 80 მ ³ - 2828 მ. $\gamma=1,06-1,26$ I სითხის დონის დაწვევა, ხსნარს დაუმატეს რეზინის ფხვნილი II 2836-2892 ინტ. შთ. 120 მ ³ $\gamma=1,06-$ 1,08, გადაყვანილ იქნა ტექ. წყალზე.
სად. №50	2 - ნ.შთ. გაჭიან.	180	1730	3250	330	I კატ. შთ. $\gamma=1,2$ 40 მ ³ /დღ II 2624-2627 ნაწ.შთ. გაჭიანურება III 3170-3250 გაჭიანურება საცობის წარმოშობა ი. ჩ.

გაგრძელება

სად. №52	2 - ი. შთ. 2 - კატ. შთ.	290	2888	3462	350	I 474 მ გაჭიანურება $\gamma=1,45$ II 2327 მ შთ. $\gamma=1,50$ III 3142-3364 კატ. შთ. $\gamma=1,07$ ციკლუაციის შეწყვეტა
სად. დახრილ- მიმართული №53	2 - ნაწ. შთ. 2 - ინტ. შთ. იარ. ჩაჭ.	280	2755	3275	340	I 332 მ. მაწ. შთ. გაჭიანურება II 345-510 გაჭიანურება III 1048-1068 იარ. ჩაჭ. IV 1180-1260 გაჭიანურება V 1453 შთ. 1482-1486 კატ.შთ. 70 მ ³ VI 1820-2511 კატ.შთ. 153 მ ³ VII 3265 შთ.
სად.№54	2 - კატ. შთ. 2 - იარ. ჩაჭ. ავარიული	ლიკვი- დირებ- ულ- იქნა	370	2451	250	კატ. შთ. და იარაღის ჩაჭერა - ავარიები, ამიტომ წაბურღილი ლიკვიდირებულია
№55სად. დახრილ-მიმართ.	1 - კედლ. ჩამოქცევა 2 - იარ. ჩაჭ.	200	1961	3150	320	I 653 მ-ზე ამოდიოდა გაზშემცველი სითხე $\gamma=1,5$, ამიტომ გაზარდეს $\gamma=1,85$ II 1950-1968 მ იარაღის ხშირი გაჭიანურება ჩაჭ. III 3113-3146 კედლ. ჩამოქცევა ამოქ- დიდი რაოდენობის შლამი
სად.№56	2 - ინტ. შთ.	120	1195	3190	300	I 231-310 ნაწ.შთ. გაჭიანურება II 3023-3054 შთ. $\gamma=1,9$, შეამცირეს $\gamma=1,15$ III 3023-3054 შთ. ამიტომ გამრეცხი სითხე შეიცვალა წყლით
სად. №56 ჭაბ. გაიბურღა რევიონალური კავშირის დასადგენად მანავის სტრუქტურისა და ნინოწმინდას შორის						
სად. №59 დახ- რილ-მიმართული	2-ი.ჩ. 3 - შთ.	290	3396	3496	350	I 247-473 გაჭიანურება II 481-1765 ნაწ. შთანთქვა III 1765-2441 გაჭიანურება ჩაჭ. ლიკვი- დირებულ იქნა საცავი კოლონის ჩაშ. IV 258-2703 - შთ. ჩაჭერა $\gamma = 1,6$ საჭირო გახდა ნავთობის აბაზანა V 3416-3436 იარაღის ჩაჭერა
საექსპლუატაციო №62	2-ი.ჩ. 3-კატ. შთ.	250	3546	2702	270	I 1653-2175 - გაჭიანურება II 2600 კატ.შთ. $\gamma = 1,25$ შეამცირეს $\gamma = 1,15$ ინერტული შემავსებლით III 2608-2653 ნაწ. ღმ. იარაღის ჩაჭერა. ავარია აღებულ იქნა ახალი ლულა 2503 მეტრიდან
№75 საძიებო დახრილ- მიმართული	3 - ნაწ. შთ. 4- კოლონგარე- შე გაზის გამო- ვლინება	220	253	1793	180	I 830-1984 - ნაწ. შთ. II 1486-2675 - ზედაპირზე ამოვიდა გაზშემცველი სითხე $\gamma = 1,3 - 0,8$ ჩაი- ტუმბა 140 მ ³ გამრეცხი ხსნარი $\gamma = 1,9$
№77 საძიებო დახრილ- მიმართული	2- იარაღ. გაჭიანურება	160	1634	2479	250	I 1470 - გაჭიანურება > 30 ტონით II 1510 - იარაღის ჩაჭერა III 1582-1646 გაჭიანურება > 15 ტონით
	დამუშავდა მარილმჟავით და მიიღეს ფენის წყალი. ამიტომ ლიკვიდირებული იქნა.					

გაგრძელება

№78 საძიებო დაზრილ-მიმართული	3 - ნაწ. შთ. 4 - ნ/კ ამოსრ.	150	1594	2676	265	I 36-100 ნაწ. შთ. $\gamma = 1,08$ II 262 შთ. გაიზარდა დაუმატეს ინერტული მასალა 2676მ. მოხდა ნავთობის და გაზის გამოვლინება ამოსროლა
№80 საძიებო დაზრილ-მიმართული	1 კედლ. ჩამონგრევა	160	1564	2820	290	I 1784-2030 კედლ. ჩამონგრ. $\gamma = 1,85$ II ლულის დამუშავება $\gamma = 1,95$ $\gamma > 12,02$
საძიებო №90 ჭაბურღილი	2 - ინ. შთ. რთული ავარიის და სხვადასხვა გართულებების გამო ლიკვიდირებულ იქნა		1120	2095	200	I 2095 შთ. $\gamma = 2,02$ დაიწყო შთ. $\gamma = 1,93$ დაიწყო გაზგამოვლინება, რის გამოც ისევ დაამძიმეს ხსნარი $\gamma = 2,05$
საექსპლუატაციო №96	3-ნაწ. შთ. შევიდა ექსპლუატაციაში და იძლევა ნავთობს	240	2408	2731	270	I 605-1658 ნაწ. შთ. II 1650-2212 ნაწ. შთ. III 2639-2656 ნაწ. შთ. IV 2656-2731 ნაწ. შთ. $\gamma = 1,05$ დაამუშავეს პოლიმერული მასლით
სად. №97 პორი-ზონტალური	3 - ნაწ. შთ. 3 - ინტ. შთ.	190	1900	3434	340	I 1831 $\alpha = 1,45$ ნაწ.შთ. გაჭინურება II 2597 სრ.შთ. III 2650 გაჭინურება $\gamma = 1,65$ IV 2882-3341 ნაწ. შთ. V 3341-3381 ინტ. შთ. 50 მ ³ $\alpha = 1,03$ VI 3410-3434 ინტ.შთ. $\gamma = 1,03$
საქსპლ. №98	2 - იჩ. 3 - ინტ.შთ.	260	2632	3012	300	I 1293 მ კატ.შთ. 30 მ ³ $\alpha = 1,28$ ცირკულაციის დაკარგვა II 2276-2296 ინტ.შთ. $\gamma = 1,96$ III 2299-2650 ინტ.შთ. იარაღ. ჩაჭ. ჩამოქ. ჩამონგრევა
სად. ვერტიკალ. №100	3 - ინტ. შთ. 3 - ინტ. შთ. 2 - იჩ. 3 - კატ. შთ. 3 - კატ. შთ.	180	3205	4905	400	I 10-329 მ ნაწ. შთ. $\gamma = 1,1$ II 392-1560 მ ნაწ. შთ. III 1560-1720 ნაწ. შთ. გაჭინურება, იარ. ჩაჭ. იარაღ. ჩატყდა IV 1720-1948 მ ნაწ. შთ. $\gamma = 1,27$ შთ. ინტენ. გაიზარდა V 2115მ ნაწ. შთ. გაზგამოვლინება $\gamma = 1,24 > 1,28$ VI 2146 სრ. შთ. ტამპონირების შემდეგ ცირკულაცია აღდგა 2278 მ ამოღების დროს იარაღი იკეთებს ჩობალს, ჩაშვების დროს - შთანთქმა, ისევ ტამპონირება. წნევა დაეცა 100-80 ატმ. მთელ რივ ინტერვალებში ბურღვის დროს შეიმჩნეოდა ინტ.შთ. და საბ. იარაღის გაჭინურება, ჩაჭერები

წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 43 კოლონგარეთა გართულება, მათ შორის 4 გრიფონის, 41 შთანთქმისა და გაზგამოვლინების სახით.

ზოგიერთი გეოლოგიური გართულება სპეციალურად არ იქნა შეტანილი შესასწავლი შერჩევის სიაში (თუმცა ჩამონათვალში შედის), მათ შემდგომი გადაძვევებ წესებში პროგნოზირების ჩასატარებლად.

გადაძვევებ წესთა (გწ) შესაქმნელად (ვთდა) ყოველ ცალკეულ ოთხ სახეობაზე იქმნება რეკომენდაცია, რომელიც იყოფა ინტერვალებად. გამოითვლება ინტერვალების სისშირე. სისშირის წონასწორობის დონე მონაცემების საწყისი სიდიდის (სპ.ს) და სრული სისშირის (ას.ს.) მიხედვით. ამ

მეცნიერება - გურჯინის ახალი გეოქიმია და გეოქოლოგია, მართვის აპრობაციონალიზაცია - SCIENCE

უკანასკნელის მიხედვით განისაზღვრება დიაგნოსტიკების კოეფიციენტი (დ.კ.) და ინფორმაციული კოეფიციენტი (ინფ.კ.) სათანადო ინტერვალისათვის ყოველ ცალკეულ ნიმუშ-თვისებათა მიხედვით.

საბოლოო შედეგები შეტანილია გაანგარიშების მე-2 ცხრილში, რომელშიც მოცემულია, როგორც კოლონგარეთა გამოვლინების ან შთანთქმის გადასვლა გრიფონში ან გართულების სხვა სახეობაში (ინ. ინტერვალები დ.კ. და ინფ.კ.).

ნინოწმინდის საბადოზე ბურღვის საწყის პერიოდში მცირე სიღრმეზე მდებარე სამაგრ კოლონის კონდუქტორის საგებზე ადგილი ჰქონდა გართულებებს - ფენის მაღალი წნევით გაზწყალ გამოვლინებას, რომლიდანაც ოთხი გადავიდა გრიფონში. ესენია ჭაბურღილები: №26, 27, 30, 32 და დანარჩენი ჭაბურღილები ძირითადად ხასიათდებოდა ნაწილობრივი, ინტენსიური და კატასტროფული შთანთქმებით. შუა და ქვედა ეოცენურ ნალექებში ნიმუშ-თვისებათა განსაზღვრამ (P^1) გვიჩვენა (დ.კ.) და (ინფ.კ.) სხვადასხვა მნიშვნელობები, რომლებიც მოყვანილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ჭაბურღ. №	ნიმუშ-თვისება და მისი მნიშვნელობა ფენის წნევის მიხედვით	დიაგნოსტიკების კოეფიციენტი (დ.კ.)	ინფორმაციული კოეფიციენტი (I)
<i>P</i> მპა			
№ 26	4-გრიფონი 200-210	-2	0,53/-0,06
№27	4-გრიფონი 250-270	-2	0,11
№30	4-გრიფონი 140-154 3-კატ.შთანთქმა 140-154	-1	0,07
№32	4-გრიფონი 170-188 3-იარაღის ჩაჭერა 170-188	-2	0,02
№97 ჰორიზ.	2-ი.ჩ. 3-ინტ.შთ.	-4	0,08
№98 ჰორიზ.	2-ი.ჩ. 3-ინტ.შთ.	-3	0,11
სდ. №100	2-ი.ჩ. 3-ინტ.შთ. 4-ამოსროლა	-4	0,08
<i>H</i>¹ მ			
№ 26	230 მ-მდე	0	0,51/0,01
№27	348 მ-მდე	1	-0,02
№30	193 მ-მდე	7	0,16
№32	175 მ-მდე	5	0,14
№97 ჰორიზ.	2631 მ-მდე	2	0,04
№98 ჰორიზ.	1900 მ-მდე	5	0,02
სდ. №100	3205 მ-მდე	7	0,12
<i>H</i> მ			
№ 26	1527 მ-მდე	2	0,29/0,06
№27	1883 მ-მდე	1	0,03
№30	1795 მ-მდე	0	0,02
№32	1822 მ-მდე	1	0,12
№97 ჰორიზ.	3012 მ-მდე	2	0,02
№98 ჰორიზ.	2720 მ-მდე	-1	0,03
სდ. №100	4905 მ-მდე	5	0,12

შენიშვნა. მე-2 ცხრილის დიდი მოცულობის გამო შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე ჭაბურღილის მონაცემებით.

ცხრილი 3

კვან. №	კოლონგარეთა გამოვლინება			გართულების ფაქტორის სახე	\sum_1^n ლ.კ.	(გ.ფ.) გადამწვევები ფაქტორით მიღებული გადაწვევები	(გ.ფ.)-ს საფუძველზე პროგნოზირების შედეგი
	$P \times 10^3$, პა	H^1 მ	H მ				
1	2	3	4	5	6	7	8
№26	20	1527	2610	4-ამოსროლა ინტენსიურად, წყლის მოდენა და გაზგამოვლინება	2	წყლის გამოვლინების ჩახშობა ცემენტის ხილით 1527-2610	გრიფონწარმოქმნა
№27	25	1883	300	3-ინ.შთ. 4-მაღალი წნევით გაზის და წყლის ამოსროლა	2	განმეორებით დაცემენტება	გრიფონწარმოქმნა
№30	12	1795	2670	4-წყლის და აირის ინტენსიური ამოსროლა	1	ჩახშობა ცემენტის ხილით	გრიფონწარმოქმნა
№32	45	165	175	4-წყლის ინტენსიური ამოსროლა	2	ჩახშობა ცემენტის ხილით 165-180	გრიფონწარმოქმნა
№98 პორიზ.	145	2631	2931	2 - ი. ჩ. 3 - ინტ. შთ. 4 - ი. ამოსროლა	4	გამრეცხ ხსნარს დამატებს დამამძიმებელი შემავსებლად	ნ/გ გამოვლინება
№97 პორიზ.	180	1900 2720	3434	2 - ი. ჩ. 3 - ი. შთ. 4 - იარ. ამოსროლა	3	ცემენტის ხილი და გამრეცხი ხსნარით ცემენტის ტამპონირება	0,25 მ გრიფონწარმოქმნა, ინტ.შთ. ცემენტით ხსნარით ტამპონირება, ნ/გ გამოვლინება
სდ. №57	150	1900	3434	3 - ინტ. შთ. 4 - ამოსროლა	3		ინტ. შთ. ცემენტის ხსნარით ტამპონირება
სდ. №100	140	3205	4927	2 - ი. ჩ. 3 - ხ. შ. 4 - ამოსროლა	4	ხსნარის დამუშავება დამამძიმებლით	მოსალოდნელი ამოსროლა იარაღის ამოღების დროს, ხსნარის ღონე ავტომატურად უნდა შეივსოს

ამგვარად, სახეობათა გამოცნობის მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს დამატებითი სახეობის და გამოყენებული ტექნოლოგიის შეცვლის გარეშე გავზარდოთ გრიფონწარმოქმნის და სხვა სახის გართულებების (ავარიები, ამოსროლები, კატასტროფული შთანთქმები) თავიდან აცილების შესაძლებლობა.

დასკვნა

შედეგები, რომლებიც მოყვანილია მე-3 ცხრილში ნათლად გვიჩვენებს აღნიშნული მეთოდის დანერგვის აუცილებლობას: მზურღავმა წინასწარ უნდა იცოდეს მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რათა გაფრთხილდეს და გადაწყვეტილება მიიღოს. ამგვარად, ტექნიკურ პროცესთა მიმდინარეობის დროს სახეობათა გამოცნობის მეთოდის გამოყენება ბურღვისას მიგვაჩნია პროგრესულ მოვლენად, რომელმაც შესაძლოა მოგვცეს მხოლოდ დადებითი შედეგები.

უნდა გაუმჯობესდეს საზომ-საკონტროლო სისტემა, აუცილებლად სისტემურად უნდა კონტროლდებოდეს ფენის წნევისა და გამრეცხი ხსნარის ჰიდროსტატიკური წნევის გრადიენტის სიდიდეები: ბურღვა, ჩაშვება-ამოღება, დამატება ან სხვა დინამიკური პროცესები უნდა წარმოედგინოს ამ ორი სიდიდეების ტოლობის - წონასწორობის პირობებში, $P_{ფ} = P_{გრ}^1$, მათ შორის სხვაობის სიდიდე დაუშვებელია 0,25 ატმოსფეროზე მეტი იყოს.

თუ სხვაობა 0,25 ატმოსფეროზე მეტია, სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში და შესაძლოა უფრო ადრეც წარმოიქმნას დარტყმები (ტარანირება), რაც იწვევს ფენის გახლეჩას ერთ შემთხვევაში და გრიფონწარმოქმნას ან მძლავრ ამოსროლას მეორე შემთხვევაში, ამიტომ პრევენტორები მზად უნდა იყოს ავტომატური მოქმედებისათვის, ასევე უნდა კონტროლდებოდეს იარაღის ამოღების პროცესი, მიღგარე სივრცის სითხის დონე. ამოღების პროცესში თუ დონემ 5 მეტრით დაიწია იგი იწვევს გართულებას და გრიფონწარმოქმნას ან ნავთობგაზ ამოსროლას, რაც კატეგორიულად დაუშვებელია ეკოლოგიური თვალსაზრისით. თუ ადგილი აქვს ჭაბურღილის გეგმიური ათვისებისას ნავთობგაზ-გამოვლინებას იგი საშადრევნო არმატურის გავლით უნდა მიემართებოდეს საერთო რეზერვუარებში.

ლიტერატურა

1. Методическое руководство по применению методов распознавания образов при промывке и креплении скважины. Краснодар, ВНИИКНефть, 1974, с. 138.
2. Методическое руководство по применению теоретических множеств для анализа и проектирования строительства нефтяных скважин. Руководящий документ Министерства нефтяной промышленности. РД 39-3-70-78 //Мирзаджанзаде А.К., Баранович Н.К. Ширин-заде С.Л. и др.

პორტლანდცემენტის წარმოების მტვრის რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენციული ანალიზი

Keywords: cement, grouting mortar, X-ray characterization, X-Ray Fluorescence, powder, micro sphere

Abstract: X-Ray Characterization and X-Ray Fluorescence analysis of The Portland Cement Occupational Dust.

The properties of grouting mortar are considerably governed by its ingredients. In order to lighten the mortar and provide its expanding feature, the authors propose to use the occupational dust produced during clinker sintering in the rotating furnaces of cement works. An X-ray diffractometric and x-ray fluorescence characterization of the dust is discussed and shown that it consists of clinker minerals. The micro-particles of the dust are of spherical shape with low density and high surface hardness.

შესავალი



გურამ ვარშალომიძე.

საქართველოსა და უკრაინის საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს №88 კათედრის გამგე, პროფესორი

პორტლანდცემენტის კლინკერი ძირითადად მბრუნავ ღუმელში მიიღება. ღუმლიდან გამავალ აირებს თან მიაქვს მტვრის დიდი რაოდენობა. მტვერი ძირითადად შეიცავს საწყისი ნედლეულის ნარევს, ხოლო მცირე რაოდენობით – კლინკერის მინერალებს და ტუტემეტალთა ოქსიდებს ან სულფატებს. მტვრის ნაწილაკები წარმოადგენს მიკროსფეროებს. მათ აქვთ დაბალი კუთრი წონა და შედარებით მაღალი ზედაპირული სიმტკიცე.



ელაჯა მიმინოშვილი.

სტუ-ს პროფესორი, ელექტრონული მიკროსკოპიის რესპუბლიკური ცენტრი

სატამპონაჟო ხსნარის თვისებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სატამპონაჟო ნარევის შედგენილობაზე. ამიტომ სატამპონაჟო ნარევის კომპონენტების შერჩევისას ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი ნარევის შედგენილობა, მათი ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებები. ჩვენ შემთხვევაში სატამპონაჟო ხსნარისთვის შემსუბუქებული და გაფართოებადი თვისებების მისანიჭებლად (სხვა საექსპლუატაციო თვისებების შენარჩუნებით) შერჩეულ იქნა ცემენტის ქარხნის მბრუნავ ღუმელში კლინკერის გამოწვისას მიღებული მტვერი. სათანადო თვისებების მქონე სატამპონაჟო ხსნარის შერჩევა ცემენტის წარმოებაში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ღუმელში მიღებული მტვრის ელემენტური და ფაზური შემცველობის შესწავლა.



მიხეილ ონიაშვილი.

სტუ-ს №88 კათედრის ასპირანტი

ძირითადი ნაწილი

ფხვნილებისთვის რენტგენოფაზური ანალიზის ჩასატარებლად ვიყენებთ დებაი-შერერის ანუ ფხვნილის მეთოდს [1, 2]. დიფრაქტოგრამები აიღება HZG-4A-2 ტიპის გერმანული წარმოების (ფირმა Carl Zeiss Jena) ავტომატურ, ორწრიან დიფრაქტომეტრზე, რომელიც აღჭურვილია მართვისა და ინფორმაციის დამუშავების პროგრამებით [3].


დიფრაქტომეტრული გადაღების პირობები:

- გონიომეტრი - HZG 4 /A-2;
- გამოსხივება - სპილენძი ($\lambda = 1,54 \text{ \AA}$);
- ფილტრი - ნიკელი;
- ძაბვა - 38 კვ;
- ანოდური დენი - 10 მა;
- დიაპაზონი - 10^3 იმპ/წმ;
- ნიმუშის ა კუთხური სიჩქარე - 1 °/წთ;
- გადაღების 2θ კუთხური შუალედი $10 \div 61^\circ$;
- პროგრამა - MEAS1 (უწყვეტი გადაღება);
- გადაღება მოხდა ნიმუშის ბრუნვის პირობებში.

გადაღებულია: უწყვეტი გადაღების რეჟიმით დიფრაქტოგრამა პირველ ნახაზზე. პიკებზე მითითებულია შესაბამისი 2θ -ს კუთხური მნიშვნელობები, კრისტალოგრაფიულ სიბრტყეთა შორის მანძილები - $d(hkl)$ და ფაზის გვარობა.

დიფრაქტომეტრული გადაღებით მიღებული შედეგები

გადაღებული დიფრაქტოგრამით ჩანს, რომ ფხვნილი შეიცავს რამდენიმე ფაზას და ყველა ფაზა კრისტალური თვალსაზრისით ფორმირებულია ცუდად (ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს მათი მაღალი დისპერსიულობის ხარისხი; ხოლო მარცვლის ვიზუალურად მოჩვენებითი დიდი ზომები განაპირობა გრანუირებამ. მაღალი დისპერსიულობა განსაზღვრავს არასასურველი ხარისხის დიფრაქტოგრამის გადაღებას). დიფრაქტოგრამით მიღებული მონაცემებით დათვლილი კრისტალოგრაფიულ სიბრტყეთა შორის მანძილები $d(hkl)$ მოცემულია ცხრილში.



ნახ. 1. უწყვეტი გადაღების რეჟიმით მიღებული დიფრაქტოგრამა (ფაზის გვარობა მითითებულია შესაბამისად მხოლოდ მაქსიმალური ინტენსივობის პიკებზე)

საკვლევ ობიექტში არსებული კრისტალოგრაფიულ სიბრტყეთა შორის მანძილები

N	2θ°	d Å	1/d ²	N	2θ°	d Å	1/d ²
1	21,5	4,128	0,058	10	43,0	2,100	0,226
2	26,5	3,359	0,088	11	43,4	2,082	0,230
3	29,5	3,024	0,109	12	47,6	1,908	0,274
4	32,3	2,768	0,130	13	48,6	1,871	0,285
5	32,6	2,743	0,132	14	52,0	1,756	0,324
6	33,3	2,687	0,138	15	54,0	1,696	0,347
7	37,5	2,395	0,174	16	56,6	1,624	0,379
8	39,5	2,278	0,192	17	57,6	1,598	0,391
9	41,3	2,183	0,209	18	58,2	1,583	0,398

საკვლევ ფხვნილში მოსალოდნელი იყო SiO₂; Al₂O₃; CaO და Fe₃O₄ ფაზების ინდივიდუალურად არსებობა. თუმცა, როგორც გადაღებული დიფრაქტოგრამიდან და შესაბამისი ცხრილის ანალიზით ვხედავთ, ფხვნილში ძირითადი ფაზებია: I - CaO და II - 2CaO Al₂O₃ SiO₂. I ფაზის შესაბამისი პიკების კრისტალოგრაფიულ სიბრტყეთა შორის მანძილებია (d): 2,77; 2,39; 1,70 (Å), რაც კარგ თანხვედრაშია ინტერნაციონალური ცნობარის მონაცემებთან [4]. II ფაზის შესაბამისი პიკების d-ია: 3,02; 2,39; 2,28; 1,91; 1,75(Å), რაც დამაკმაყოფილებელ თანხვედრაშია ცნობარის მონაცემებთან [5]. თუმცა საკითხი შეიძლება სადავოც აღმოჩნდეს, სიბრტყეთა შორის მანძილები ასევე ახლოა E- CaSiO₃ ფაზის სიბრტყეთა შორის მანძილებთან [6]. შესაძლებელია MgO და SiO₂ ფაზების (შესაბამისად d – 2,10 და 3,36Å [5]) მცირე რაოდენობით, დამოუკიდებლად არსებობაც. დანარჩენი დაბალი ინტენსივობის მაქსიმუმების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. ნაერთში რენტგენოფაზური ანალიზით Al₂O₃ და Fe₃O₄ ფაზების დამოუკიდებლად არსებობამ გამოიწვია ეჭვი, ამიტომ აუცილებელი გახდა ელემენტური, კონკრეტულად კი რენტგენოფლოუორესცენციული ანალიზის ჩატარება.


რენტგენოფლოუორესცენციული ანალიზი

ელემენტური ანალიზი (რენტგენოფლოუორესცენციული [7]) ჩატარებულია მოდერნიზებულ რენტგენულ დიფრაქტომეტრზე (ДРОН – 3М, რუსეთი).

რენტგენოფლოუორესცენციული გადაღების პირობები:

- კონიომეტრი – ГУР-8;
- გამოსხივება – სპილენძი ($\lambda = 1,54 \text{ \AA}$);
- ძაბვა - 45 კვ;
- ანოდური დენი - 10 მა;
- ღიაპაზონი – 10² იმპ/წმ;
- ნიმუშის ω კუთხური სიჩქარე – 1 °/წთ;
- გადაღების 2 θ კუთხური შუალედი - 5 ÷ 50 °;
- კრისტალანალიზატორი – გრაფიტის მონოკრისტალი.

გადაღებულია: უწყვეტი გადაღების რეჟიმით ერთი დიფრაქტოგრამა (ნახ. 2), ამოკვეთილია გადაღების 2θ კუთხური შუალედი -28 ÷ 34 °.



ნახ. 2. რენტგენოფლორესცენციული დიფრაქტოგრამა (ამოკვეთილია გადაღების 2θ კუთხური შუალედი - 28 ÷ 34 °).

რენტგენოფლორესცენციული ანალიზით მიღებული შედეგები

რენტგენოფლორესცენციული სპექტრის დამუშავებით დადგენილია, რომ მაქსიმუმები, რომლებიც შეესაბამებიან არეკვლის 2θ კუთხურ მნიშვნელობებს 30,32 და 33,48 ° (ნახ. 2) მიღებულია $\lambda = 1,7521 \text{ \AA}$ და $\lambda = 1,9298 \text{ \AA}$ ტალღის სიგრძის რენტგენის სხივებით. ისინი, თავის მხრივ, შეესაბამება Fe K_α და Fe K_β გამოსხივების ტალღის სიგრძეებს ($\lambda K_{\beta} = 1,75 \text{ \AA}$ და $\lambda K_{\alpha} = 1,93 \text{ \AA}$ [5]), რაც მიუთითებს, რომ საკვლევი ფხვნილი უნდა შეიცავდეს რკინის ან მისი რომელიმე ჟანგის (დამოუკიდებლად არსებულ) ფრაქციას. დიფრაქტომეტრული გადაღებით მიღებულ შედეგებში მისი არგამოჩენის მიზეზი უნდა იყოს სპილენძის გამოსხივების რკინის ნაერთების მიერ ძლიერი შთანთქმა ($\mu/\rho = 354 \text{ სმ}^2/\text{გ}$ [5]) და მაღალი დისპერსიულობის ხარისხი.

ფხვნილის მაგნიტური თვისებებით თუ ვიმსჯელებთ (მათ აღმოაჩნდათ მაგნიტური თვისებები) დასაშვებია ნარევი Fe, Fe₂O₃ ან Fe₃O₄ ფაზების არსებობაც, რაც დასტურდება რენტგენოფლორესცენციული სპექტრითაც. ნარევი Fe-ს თავისუფალი სახით შეიცავდეს საეჭვოა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნარევი ფხვნილის შედგენილობაში უნდა იყოს Fe₂O₃ ან Fe₃O₄-ის (ან ორივეს ერთად) მაღალი დისპერსიულობის ფრაქცია.

დასკვნა

რენტგენოფაზური და რენტგენოფლოუორესცენციული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით საკვლევ ფენილში აღმოჩენილია I - CaO და II - $2\text{CaO Al}_2\text{O}_3 \text{SiO}_2$ (ან C- CaSiO_3) ფაზები. დასაშვებია MgO და SiO_2 ფაზების არსებობაც და შეიცავს Fe_2O_3 ან Fe_3O_4 -ის (ან ორივეს ერთად) ფრაქციას. სისტემის შემადგენელი ყველა ფაზა ხასიათდება მეტ-ნაკლებად მაღალი ხარისხის დისპერსიულობით.

ლიტერატურა

1. Бокий Г.Б., Порай-Кошиц М.А. Рентгеноструктурный анализ. Т. 1. М.: Изд-во МГУ, 1964.
2. Горелик С.С., Расторгуев Л.Н., Скаков Ю.А. Рентгенографический и электронно-оптический анализ. М.: Металургия, 1970.
3. ა. შველაშვილი, ე. მიმინოშვილი, თ. ვარდოსანიძე. ქიმიურ ნივთიერებათა რენტგენოსტრუქტურული ანალიზის პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბილისი: განათლება, 1991.
4. JCPDS Internacional Centre for Diffraction Data (ASTM) 1985 4-0777.
5. Миркин Л.И. Справочник по ретгеноструктурному анализу поликристаллов. 1961.
6. JCPDS Internacional Centre for Diffraction Data (ASTM) 1985 34-558.
7. ე. მიმინოშვილი, ქ. მიმინოშვილი. ნივთიერების, მასალების და ნაკეთობების კვლევის რენტგენოგრაფიული მეთოდები კრიმინალისტურ ექსპერტიზაში. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005.

ნავთობის საბადოებზე პროდუქტიულ ჰორიზონტებში ფენის წყლების სელექციური იზოლაცია წყლით გაჯირჯვებადი პოლიმერების გამოყენებით

Keywords: bed waters, selective izolation, polymers, swell.

Abstract: Selective izolation of bed waters applying water swelling polymers in oil field productive horizons.

For bed waters selective izolation BHP-415 polymers are recommended to apply in order to increase the oil flow in the wells under exploitation. They absorb water and swell as soon as they join it; as a result they increase 100 times in volume. Application of polymers BHP-415 has a number of advantages compared with widely used cementing and polymer compositions used for different purposes. Once contacting with water they block the bed channels where water bursts in.

At the same time they are solid, never have negative influence on the oilbearing zone.

Application of these polymers for bed waters selective izolation is of great importance for increasing the oil debit from productive horizons.

შესავალი



ვალერი ხითარიშვილი,
ტექნ. მეცნ. კანდიდატი,
ბურღვის კათედრის ასო-
ცირებული პროფესორი

ნავთობის საბადოებისა და ჭაბურღილების ექსპლუატაციის ყველაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს ნავთობის ბუდობში მყოფი წყლები, რომლებიც იწვევენ ნავთობის შემცველი ჰორიზონტების პროდუქტიულობის შემცირებას. ფლუიდში წყლის პროცენტული შემცველობის გაზრდა საგრძნობლად ამცირებს ნავთობის მოპოვებას. მნიშვნელოვანი რაოდენობის წყლის მოღენა იწვევს დიდ არასასარგებლო დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ნავთობის მომზადებასთან გადამუშავებისათვის, რაც ზრდის ნავთობის თვითღირებულებას.



ტარიელ სარჯველაძე,
ბურღვის კათედრის
უფროსი მასწავლებელი


ფენის წყლების ეფექტური იზოლაციისათვის მსოფლიო სარეწაო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ჭაბურღილების მარილმჟავებით დამუშავებისა და ფენის წყლების სელექციური იზოლაციის მეთოდები [1-3].

სატამპონაჟო სამუშაოების დროს ცემენტის რგოლსა და ქანს შორის რჩება თიხის ქერქი, მისი სისქე განსაკუთრებით დიდია კავერების ზონაში, ე.ი. თიხის შუაფენებში, რომლებიც აცალკევებენ ნავთობის შემცველ ფენებს წყლის შემცველ ფენებისაგან. თიხის ქერქი აუარესებს ცემენტის ქვის ქანთან შეჭიდებას, რჩება რა მათ შორის, ხელს უწყობს არხების წარმოქმნას, რომლითაც წყალი შემოვა ჭაბურღილში ფენისნავთობიანი ნაწილის ფილტრების საშუალებით. ამ შემთხვევაში მჟავების როლი იმაში მდგომარეობს, რომ დამალოს და მოაშოროს თიხის ქერქი სხვა გაჭუჭყიანებულ მასალებთან ერთად, რომლებიც დარჩა ბურღვის შემდეგ [4,5]. მარილმჟავებით შემდგომი დამუშავება უზრუნველყოფს ამ ზონების ცემენტის ხსნარით აღვილად შევსებას და დაკეტვას გზის ჭაბურღილში ფენის წყლების შემდგომი შემოსვლისათვის. ასეთი

მჟავებით დამუშავებისათვის გამოიყენება შემდეგი შედგენილობის თიხამჟავური ხსნარი: 6-8% HCl+10% БФА, სადაც БФА არის ამონიუმის ბიფთორიტი, რომელიც კარგად იხსნება წყალსა და მჟავა ხსნარებში. პროდუქტიული ფენის მჟავებით დამუშავებისას, თუ მათზე დამატებულია БФА, თითქმის 2,5-ჯერ იზრდება ფენის შეღწევადობა.

ძირითადი ნაწილი

პროდუქტიულ ჰორიზონტებში ფენის წყლების სელექციური იზოლაციის ჩასატარებლად გამოიყენება სატამპონაჟო ხსნარები, რომელიც შედგება ღიზელის სათბობისა და სატამპონაჟო ცემენტისაგან. ეს შედგენილობა წყალთან კონტაქტის შედეგად წარმოქმნის გამაგრებული ცემენტის ქვას ფენის იმ ფორებსა და ნაპრალებში, სადაც შემოჭრილია წყალი. შემუშავებული სატამპონაჟო ხსნარი ხვდება აგრეთვე პროდუქტიული ფენის იმ ფორებსა და ნაპრალებში, სადაც არის მხოლოდ ნავთობი, მაგრამ მასთან შეხებისას სატამპონაჟო ხსნარი არ მყარდება, ეს გამოწვეულია ნავთობის შედგენილობაში მყოფი ბუნებრივი ფისის თვისებებიდან, რაც გამოიხატება იმით, რომ ფისს არ აქვთ გამყარების უნარი ცემენტის ხსნარებთან ურთიერთქმედების დროს. ამ სატამპონაჟო ხსნარების გამოყენებამ გაზარდა ნავთობის დებიტი საქართველოს ნავთობშემცველ საბადოებზე. ბოლო ხანებში რუსეთში ფენის წყლების სელექციური იზოლაციისათვის ფართოდ გამოიყენება მაღალეფექტური, წყალში გაჯირჯვებადი პოლიმერები.




ნახ. 1. წყალშთანთქმისა და წყლის მინერალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება


საექსპლუატაციო ჭაბურღილებში ფენის წყლების ეფექტური იზოლაციის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდს წარმოადგენს პოლიაკრილამიდის შიგამოლეკულური კავშირებით შეკრული - წყალში გაჯირჯვებადი პოლიმერის (ВНП) გამოყენება, რომელიც წყალთან კონტაქტის დროს შთანთქავს მას და გაჯირჯვდება, რის შედეგად მოცულობაში ასჯერ იზრდება. ამ კომპოზიციას ВНП-ს ბაზაზე აქვს რიგი უპირატესობა ადრე გამოყენებულ პოლიმერულ შედგენილობებთან შედარებით; ეს უპირატესობებია: ერთკომპონენტიანი მშრალი შედგენილობის გამოყენება, ჩატუმბვის ტექნოლოგიის გამარტივება (არ მოითხოვება ხსნარის გამაგრება), გელად წარმოქმნის დროის შეზღუდვის არარსებობა, ტემპერატურული დიაპაზონის გაფართოება 85-90⁰ C-მდე. წყალში გაჯირჯვებადი პოლიმერი ВНП ორი ფორმის გამოდის: გელისებრი და სხვადასხვა დისპერსიის მქონე გრანულირებული სახით. არსებობს ამ პოლიმერის რამდენიმე სახე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ნაწილაკების ზომით და წყალში გაჯირჯვების უნარით. სელექციური

მეცნიერება - ზურავის ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, მართვის ავტომატიზაცია - SCIENCE

იზოლაციის თვალსაზრისით ყველაზე მეტად ეფექტურია ფხვნილისებრი ВНП-ს ტიპის პოლიმერები მაქსიმალური წყალშთანთქმით - ესაა ორი მარკა: АК 639 ВНП-415 და ДК-639 ВНП-615. წყალში ეს პოლიმერები ფართოვდება და იძენს ღრეკად თვისებებს. ВНП-ს ინტენსიური გაჯირჯვების პერიოდი 1 სთ შეადგენს, მაქსიმალური გაჯირჯვება ხდება 2-2,5 სთ განმავლობაში. წყლის შთანთქმის შემდეგ ВНП-ს თითოეული ნაწილაკი რჩება გელისებრ მდგომარეობაში. ВНП-ს გაჯირჯვება ან შთანთქმული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია პოლიმერის მარკაზე და, განსაკუთრებით წყლის მინერალიზაციაზე. წყალშთანთქმისა და მინერალიზაციის (ნახ.) ურთიერთდამოკიდებულება გამოისახება მრუდით 4-7 გ/ლ დიაპაზონში, ე.ი. 4 გ/ლ მინერალიზაციამდე გაჯირჯვება ხდება დიდი მოცულობაში (150 %); 7 გ/ლ და მეტი მინერალიზაციის დროს გაჯირჯვებას ადგილი აქვს მცირე მოცულობით (40%). მაქსიმალურ წყალშთანთქმას ადგილი აქვს დისტილიზირებულ წყალში მარილების არარსებობის დროს. ლაბორატორიული გამოკვლევების თანახმად, მტკნარ წყალში 100%-იანი გაჯირჯვება ხდება, როდესაც წყალში ВНП კონცენტრაცია 0,6-0,7%-ის აღწევს, ხოლო მინერალიზებულ წყალში პოლიმერების გაჯირჯვებას ადგილი აქვს, როდესაც ВНП-ს კონცენტრაცია 2-2,5%-ის ტოლია. ВНП-ს სიმტკიცის თვისებები შესწავლილ იქნა რეაგენტის რეოლოგიური მრუდების მიხედვით და ფილტრაციული გამოკვლევების შედეგად. რეოლოგიური მრუდები განსაზღვრულ იქნა Roto Viskol რეოვისკოზიმეტრის საშუალებით ძვრის სიჩქარეების 0,1-500 წმ⁻¹ დიაპაზონში, კომპოზიციის მომზადების სხვადასხვა პირობებში. წყალში გაჯირჯვებადი პოლიმერების რეოლოგიური მრუდები მტკნარ წყალში ნაჩვენებია მე-2-3 ნახაზებზე. როგორც რეოლოგიური მრუდების ანალიზიდან ჩანს, ВНП პოლიმერები კონსისტენციის სიდიდეებზე დამოკიდებულებით მიეკუთვნება სხვადასხვა ტიპებს. ВНП-615 თხევად სითხეს აქვს ღინების ფსევდოპლასტიკური ხასიათი. მცირე დეფორმაციის ფარგლებში აქვს 600 სანტიპაუზი სიბლანტე, მაღალი დეფორმაციის ფარგლებში კი - 170 სანტიპაუზი სიბლანტე. ВНП-615 რეოლოგიური მახასიათებლების მიხედვით წარმოადგენს მაღალკონცენტრირებულ პოლიმერული კომპოზიციების ანალოგს. ВНП-615-გან განსხვავებით ВНП-415 წარმოქმნის ცალკეული ჟელესებრი ნაწილაკების მასას, რომელთაც არა აქვთ ღინება და უფრო მეტად ემსგავსება მყარ ნივთიერებებს. აქედან გამომდინარე, ВНП-615-ს რეოლოგიური მრუდები არ ემორჩილება ცნობილ რეოლოგიურ მოდელებს, რომლებიც სითხეების ღინებებს აღწერენ და ძვრის დამახულობის დამოკიდებულებას ძვრის სიჩქარეებთან ახასიათებენ ხარისხოვნების კანონით ან სწორხაზოვნების ტოლობით.




ნახ. 2. ВНП-615-ის რეოლოგიური მრუდი



ნახ. 3. ВНП-415-ის რეოლოგიური მრუდი

ВНП-615-ის რეოლოგიურ მრუდებს აქვთ ექსტრემალური ხასიათი, რაც ჩანს მათ დეფორმაციულ და სიმტკიცის თვისებებიდან, მრუდის საწყის უბანზე გადაღუნვის წერტილამდე შეიმჩნევა ხაზობრივი დამოკიდებულება ჰუკის კანონის შესაბამისად. დაძაბულობა გადაღუნვის წერტილში წარმოადგენს დრეკადობის ზღვარს. დატვირთვის შემდგომი გაზრდისას დრეკადი შემადგენელის გარდა ჩნდება ბლანტდენადი და მაღალელასტიკური შემადგენელი. ВНП-415-ს აქვს უნარი მექანიკური დაძაბულობის ზემოქმედების შედეგად პოლიმერული მასალის დეფორმირება განიცადოს და წინააღმდეგობა გაუწიოს დაშლას. ამის გარდა, ВНП-415 გელისებრ სისტემას აქვს მაღალი სიბლანტე. დაბალი დეფორმაციების დროს სიბლანტე 47 პაქსის ტოლია, ხოლო მაღალი დეფორმაციების დროს - 1,2 პაქსს აღწევს, ეს ორჯერ მეტია ВНП-615 პოლიმერთან შედარებით. ამრიგად, ფენის წყლების სელექციური იზოლაციისათვის ყველაზე უფრო მისაღებია წყალში გაჯირჯევადი ВНП-415 მარკის პოლიმერის გამოყენება, რადგან ის წარმოადგენს უფრო მტკიცე სატამპონაჟო მასალას.

ВНП-415 გელისებრ სისტემებს მიდრეკილება აქვთ განიცადონ რიგი დესტრუქციული ფაქტორების ზეგავლენა, ესენია ტემპერატურა, მექანიკური დაშლა და ა.შ. ВНП-415-ზე თერმული და მექანიკური დესტრუქციის ზემოქმედება ნაჩვენებია მე-4 ნახ-ზე.



ნახ. 4. ВНП-415-ის 1% ხსნარის დინამიკური სიბლანტის ძვრის სიჩქარესთან დამოკიდებულება

ნაწილობრივ მექანიკურად დესტრუქტირებული ВНП-415 ნიმუშის რეოლოგიური მრუდი გვიჩვენებს ნიმუშის პირველსაწყისი მდგომარეობიდან უმნიშვნელო განსხვავებას, რაც მოწმობს პოლიმერული ჰიდროგეოლოგიური ნაწილაკების მაღალმექანიკურ სიმტკიცეს. გარდა ამისა, მექანიკური დისპერგირების დროს ხდება ВНП-ს მსხვილი კონგლომერატების უფრო წვრილ ნაწილებად დამსხვრევა წყლის გამოყოფის (სინერიზის) გარეშე, რაც აგრეთვე აჩვენებს ამ პოლიმერის დაბალ მექანიკურ დესტრუქციას.

ВНП-415-ის თერმოდესტრუქცია შეისწავლებოდა ამ პოლიმერის 80°C ტემპერატურაზე გაჩერებით 15 დღე-ღამის განმავლობაში. გამოკვლევების თანახმად, ნიმუშის თერმოდესტრუქცია არ იწვევს პოლიმერის დრეკადი თვისებების შემცირებას. სიბლანტე, განსაკუთრებით მაღალი, დეფორმაციის ფარგლებში პრაქტიკულად არ იცვლება. დაბალი დეფორმაციის დროს შეიმჩნევა

მეცნიერება - ზურავის ასალი ტექნიკა და ტექნოლოგია, მართვის აპრობაციონალიზაცია - SCIENCE

სიბლანტის შემცირება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ВНП-ს მიერ შთანთქმული წყალი თერ-
 მოსტატირების დროს არ გამოიყოფა.

ВНП-ს შედგენილობების ფილტრაციული თვისებების შესასწავლად ჩატარდა ექსპერიმენ-
 ტები როგორც წყლით გაჯერებულ, ასევე ნავთობით გაჯერებულ გრძივ, კერნის მოდელებზე,
 (ნიმუშებზე), აგრეთვე დიდი ტევადობის ნიმუშზე არაერთგვაროვანი შრედაშრის მოდელებისა-
 თვის სატამპონაჟო შედგენილობის განაწილების სელექციურობის შესწავლის მიზნით. ტევადი
 (მოცულობითი) ნიმუში წარმოადგენს ორგრძივი ნიმუშის ნაერთს სხვადასხვა შედგენილობითა
 და გაჯერების უნარით. მას აქვს როგორც საერთო, ისე ცალკე შესასვლელი სითხის ასაღებად.
 ექსპერიმენტების შედეგები ნაჩვენებია ცხრილში.

ფენის მოდელი (ნიმუში)	მოდელის შელწვევადობა, მკმ ²	წყალგაჯერება %	დატუმბვის (დაჭირხნის) წნევა, მპა/მ	შექმნილი კომპოზიციის წინაღობა, ერთეული	ნარჩენი წინაღობის ფაქტორი ერთეული
წყლით გაჯერებული	1,800	100,0	6,4	1086	205
ნავთობით გაჯერებული	0,1365	32,87	43,9	225	13
მოცულობითი	0,4528	100,0	30,7	7130	1426
	0,0676	34,02	31,4	2,3	2,5

ВНП ხსნარის დაჭირხნა მიმდინარეობს მაღალი წნევების დროს. ამასთან, ნავთობით გა-
 ჯერებულ კერნში ВНП-ს შეყვანა გაძნელებულია ჰიდროფობური ქანებისა და ВНП-ს ჰიდრო-
 ფილური შედგენილობის სხვადასხვა დასველებადობის გამო.

გელური სისტემები ხასიათდება ზღვრული ძვრის დაძაბულობით, რომლის გაზრდისას
 ხდება გელის დინება და ნაწილობრივი დაშლა, ამასთან ფილტრაციას ადგილი აქვს წნევის გან-
 საზღვრული გრადიენტის მიღწევისას, ე.წ. საწყისი წნევის გრადიენტის დროს, რომელიც წარ-
 მოადგენს წნევათა სხვაობას კერნის სიგრძის ერთეულის მიმართ.

ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, ВНП-ს ძვრული დაშლა 1,800 მკმ² აბსოლუტუ-
 რი შელწვევადობის მქონე წყლით გაჯერებულ კერნში ადგილი აქვს 0,24 მპა/მ დროს, რაც 24-
 ჯერ აღემატება წყლის ფილტრაციის წნევას. ВНП ძვრული დაშლა 0,136 მკმ² აბსოლუტური
 შელწვევადობის მქონე ნავთობით გაჯერებულ კერნში შეიმჩნევა 0,73 მპა/მ დროს, რაც 7,3-ჯერ
 აღემატება ნავთობის ფილტრაციას. პარამეტრული მონაცემების შედარებიდან ჩანს, რომ წყლით
 გაჯერებულ კერნში ВНП შენარჩუნებულია მტკიცედ და მისი ძვრული დაძაბულობა მაღალია,
 რაც მოწმობს, რომ ВНП-ს აქვს ეფექტური სელექციური იზოლაციის უნარი. წყლით გაჯერე-
 ბულ კერნში ВНП-415 ამცირებს ფაზურ შელწვევადობას წყალში ფილტრაციის საწყის მომენ-
 ტში 1085-ჯერ. ძვრული დაშლის შედეგად იშლება აგრეთვე გელისებრი სტრუქტურა და მისი
 ნაწილაკები კერნიდან გამოიღვენება. ამის შემდეგ ნარჩენი წინაღობის ფაქტორი წყლით გაჯერე-
 ბულ კერნში 205 ერთეულს შეადგენს.

ВНП-ს სელექციური მოქმედების დასადგენად ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტი ფენის მოცულობით მოდელზე, რომელიც შედგება ორი გრძივი სვეტისაგან, რომელთაგან ერთი არის მაღალშელწევადი წყლით გაჯერებული, მეორე დაბალშელწევადი ნავთობით გაჯერებული ქანის ნიმუში. ამ სვეტების აბსოლუტურ შელწევადობათა შეფარდება 7 ერთეულს შეადგენს. მოცემულ მოდელში საერთო შესასვლელის მეშვეობით შეყვანილ იქნა ВНП-ს კომპოზიცია. შედეგები მოცემულია ცხრილში.

წყლით გაჯერებულ სვეტში ВНП-ს დაჭირხნისას მასში შევიდა ორჯერ მეტი პოლიმერი, ვიდრე ნავთობით გაჯერებულ სვეტში.

ВНП-ს ძვრული დაშლა წყლით გაჯერებულ სვეტში მიმდინარეობს წნევის უფრო მაღალ გრადიენტებზე, ვიდრე ნავთობით გაჯერებულ სვეტში. ნავთობით გაჯერებულ სვეტში ფილტრაცია იწყება პრაქტიკულად ნავთობით დაჭირხნის დროს, კომპოზიციის ჩასხმამდე. ნარჩენი წინალობის ფაქტორი, რომელიც გვიჩვენებს შელწევადობის შეფარდებას ჩატუმბვამდე და შემდეგ განსაზღვრავს ВНП-ს ტამპონირების უნარს. ასე, მაგალითად, წყლით და ნავთობით გაჯერებულ სვეტებში ВНП-415-ის ერთდროულად დაჭირხნისას პოლიმერი ზემოქმედებს პრაქტიკულად მხოლოდ წყლით გაჯერებულ სვეტზე და ქმნის მასში წინალობას, რომელიც 1500 ერთეულის ტოლია. ამავე დროს ნავთობით გაჯერებულ სვეტში ფაზური შელწევადობა ნავთობის მიმართ 2,5-ჯერ მცირდება.

დასკვნა

საექსპლუატაციო ჭაბურღილებში ფენის წყლების სელექციური იზოლაციისათვის საქართველოში ფართოდ გამოიყენება სატამპონაჟო ნარევი დიზელის სათბობისა და ცემენტისაგან. ეს შედეგილობა წყალთან კონტაქტის შედეგად ქმნის ცემენტის ქვას იმ ფორმებსა და ნაპრალებში, სადაც შემოჭრილია წყალი. ეს ცემენტის ქვა დროთა განმავლობაში შეიძლება დაიშალოს და მისი გამოყენების ეფექტურობა შემცირდეს. ამიტომ უფრო საიმედოდ მიგვაჩნია ВНП-415 პოლიმერული დანამატის გამოყენება, რომელიც წყალთან შეხებისას გაჯირჯვდება და მოცულობაში შეიძლება გაიზარდოს 100-ჯერ და გადაკეტოს ის არხები, სადაც იმყოფება წყალი, ამასთან ხანგამძლეა და მყარი ნივთიერებაა. არ ახდენს ნეგატიურ გავლენას ნავთობშემცველ ზონაზე, უძლებს გამოდევნებული სითხის მაღალ ფილტრაციულ წინაობებს, ВНП ნაკლებად განიცდის თერმომეჩავეურ და მექანიკურ დესტრუქციულ ზემოქმედებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მაღალტემპერატურულ პირობებში გამოყენების დროს.

ლიტერატურა

1. Patel A. D. Reversible Invert Emulsion Drilling Fluids. A Quantum Leap in Technology. IADC/SPE 47772 Paper. 1998 IADC/SPE Asia Pacific Drilling Technology.
2. Ибрагимов Л.Х., Мищенко И.Т. Интенсификация добычи нефти. М., 1996.
